# იალქანი

№ 2. 2016 წ.



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

**სსიპ „აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრი“**

იალქანი - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის

აფქიო - კონა-კრებული ყველაზე პატარებისთვის

რედაქტორი - **ნანა ჭანტურია**

მხატვრული რედაქტორი - **ნუნუ ჯანელიძე**

პასუხისმგებელი მდივანი - **ვახტანგ ზაქარაია**

მხატვარი - **დალი მუხაძე**

„საგამომცემლო ცენტრის“ დირექტორი

**ირმა ირემაძე**

იალქანი - დაარსებულია 1996 წელს

აფქიო - დაარსებულია 2010 წელს

გამოცემა განახლდა 2014 წელს

**საგამომცემლო ჯგუფი:**
გენო კალანდია, სალომე კაკანაძე, ნატო კორსანტია, ნინო ვახანია, გელა ჩქვანავა,
ნუგზარ მგალობლიშვილი, ოთარ ქორდანია, სოსო ჭუმბურიძე, დიმა ჯაიანი.

**ყდის მხატვარი: დალი მუხაძე**



სოხუმის მთა

# აფხაზეთის გავლით

ესმა მანია



ეპისკოპოსი - პეტრე კონჭოშვილი

ალავერდელმა ეპისკოპოსმა, დეკანოზმა პეტრე კონჭოშვილმა 1899 წელს იმოგზაურა წმინდა მიწასა და ათონზე. თავისი მეტად საგულისხმო შთაბეჭდილებები მღვდელმთავარმა 1901 წელს გამოსცა. წიგნი "მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ" ანგარიშგასაწევ ცნობებს გვთავაზობს არა მხოლოდ ფაქტოლოგიის, არამედ ინტერპრეტაციის თვალსაზრისითაც.

მოგზაურობიდან ეპისკოპოსი აფხაზეთის გავლით (სტამბული-ოდესა-სოხუმი) დაბრუნებულა. ბუნებრივია, იქ არსებული ვითარება მის თვალსა და ყურს არ გამოჰპარვია. წიგნის დასასრულს ერთი ასეთი თავი მიუძღვნია აფხაზეთისთვის: "ქ. სოხუმის ქართველთა აწინდელი მდგომარეობა. სარწმუნოებრივი და ზნეობრივი".

ჩვენამდე მოღწეული ეპისკოპოსის პირადი არქივის რამდენიმე ერთეული დღეს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. აქვეა დაცული დასახელებული გამოცემაც.

გთავაზობთ მცირე ამონარიდს ამ ნარკვევიდან:

„სუხუმშია ორი ათასამდე ქართველთა ტომის ერი, რომელთაც სამშობლო ენა ქართული აქვთ. მრავალთა შემომჩივლეს, რომ მოკლებულნი არიან ისეთს სულიერს ნუგეშსა და საზრდოს, როგორიც არის მოსმენა სამშობლო ენაზედ წირვა-ლოცვისა, რომელსაც დამატკბობელი, განმაცხოველებელი და მაცხოვარებითა ძალა აქვს მორწმუნე კაცის გულზე.

ძალიან ადვილიც არის დაკმაყოფილება ამ საღმრთო მოთხოვნილებისა. აქაურს საკათედრო ტაძარში ჰმსახურებენ რამდენიმე ქართველნი სამღვდელონი. ნუთუ იმათ არ შეუძლიანთ, გამოსთხოვონ ნებართვა მწყემსთავარსა ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვისა? იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის ეკლესიებში მიღებულია საღმრთო წესად რამდენიმე ენაზედ წაკითხვა სახარებისა, როგორც დიდს დღესასწაულებში, აგრეთვე, ყოველდღიურს წირვაზედაც კი, როდესაც ჰხედავენ სხვა და სხვა ეროვნების მლოცველთა; მთელს საქრისტიანოში მიღებულია ეკლესიურის კანონით - ბრწყინვალე აღდგომის დღეს სხვა და სხვა ენაზედ წაკითხვა სახარებისა, და ყოვლად მიუცილებელად - სამშობლო ენაზედ და აი, უბედურება! ამ ნუგეშსა და ღვთიურ სიხარულს მოკლებულნი არიან აქაურნი ქართველნი.

ამაზედ მომეტებული უბედურება სულიერი განაღა იქნება, რომ კაცმა ქრისტეს აღდგომის დღეს ვერ გაიგონის სამშობლო ენაზედ: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“, მაშინ, როდესაც სულიერნი მწყემსნი თვისის ეროვნებისა თვალწინ უდგანან“.


მოგზაურობა
წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ
დეკანოზის პეტრე დავითის ძის კონჭოშვილისა,
იმპერატორის ნიკოლოზ I-სა
ტფილისი
1901




ქართული სიტყვის დიდოსტატის - ოტია იოსელიანის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ამშვენებს ნოველების კრებული «სვანური ნოველები». წიგნში შესულ 7 ნოველას შორის გამორჩეულია «მეწინავე».

ჯიხვი რქის სახით ავტორი ალეგორიულად გვიხატავს, როგორი უნდა იყოს ნამდვილი წინამძღვარი:

«წინამძღოლიც იმ ჯიშისა და ჯილაგისაა, რაც ჯოგი, იმ ხორცის, ძვლისა და სისხლის, ისე უჭირს და ულხინს, ისე წუხს და უხარია, ისე ითოშება და უხმება ჯუჭი. მაგრამ მეწინავემ ჭირთათმენა უნდა იცოდეს, თავი უნდა დაივიწყოს».

რამდენადაც «მეწინავე» საკმაოდ დიდი ნაწარმოებია და მისი სრულად დაბეჭდვა ჩვენი ჟურნალისთვის (ფორმატიდან გამომდინარე) შეუძლებელი, გადავწყვიტეთ, მკითხველისთვის იგი შემოკლებული სახით მიგვეწოდებინა.

მწერლის უფროსმა ვაჟმა ბაჩო (რამაზ) იოსელიანმა, რომელიც უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა ჩვენს თხოვნას, მართლაც შესანიშნავად გაართვა თავი ამ საქმეს.

მოგახსენებთ საინტერესო ფაქტის შესახებაც: «მეწინავეს» თან ახლავს წყალტუბოელი მხატვრის - ქალბატონ მზია ლექვთაძის გრაფიკული ილუსტრაციები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ნახატებთან დაკავშირებული ისტორია. მზია ლექვთაძემ, სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სამხატვრო ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა (გასული საუკუნის 80-იან წლებში), სადიპლომო თემად ოტია იოსელიანის «მეწინავე» აირჩია და მის სიუჟეტზე შექმნილი 5 გრაფიკული ილუსტრაცია მწერალს მიართვა (ამჟამად ილუსტრაციები დაცულია ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში).

როცა ბატონ ოტიას ნამუშევრები დაუთვალიერებია, განუყრელი სვანური ქუდი თურმე მოუხდია, მოწიწებით მუხლზე დაუდვია და უთქვამს: ქუდს მხოლოდ დედასა და მუზებს ვუხდი, წაუკითხავს და გაუგია; თან გულისწყვეტით დაუჩივლია, ეს ნახატები ადრე რომ მქონოდა, წიგნს მისით გავაფორმებდიო.

სასიამოვნოა, რომ ამ ილუსტრაციებს პირველად «ილქნის» მკითხველები იხილავენ.

დღევანდელ დღეს, როცა გლობალიზაცია ახშობს და აუფასურებს ეროვნულ ღირებულებებს, ჩვენი ჟურნალის რედაქციას მიაჩნია, რომ ოტია იოსელიანის «მეწინავე» უნდა ისწავლებოდეს მაღალ კლასებში; როგორც საპროგრამო ნაწარმოები, საზრდოსავით მიეწოდოს ახალგაზრდებს და არამარტო მათ.

ყური დავუგდოთ დიდი მწერლის სიბრძნეს და დიდმა და პატარამ გულზე დაიწეროს, რომ «ჯიხვებს საჯიხვეებს იქით არ ეცხოვრებათ!» და «ჯიხვები თუ საჯიხვეებში არ იქნებიან, მაშინ დედამიწაზეც არ იქნებიან!»

# მეწინავე

(იბეჭდება შემოკლებით)

ოტია იოსელიანი




რეხო როცა მეწინავე გახდა, მაშინ სამეწინაო ღონე შესწევდა მხოლოდ და არა ჭკუა. ის კი იცოდა, ჯოგისთვის რომ უნდა ეპატრონა, ჯიხვები არ დამშეულიყვნენ, რომელიმე მონადირეს არ მოეხელთებინა სათოფედ, ან მგლისა და დათვის არჩივი არ გამხდარიყო, არწივს ქარაფიდან უფსკრულში არ გადაეჩეხა...

იცოდა ის, რაც ყველა ჯიხვმა იცოდა. მის ადგილზე ყველა მათგანი ეცდებოდა, სამწყსოზე ეზრუნა და ყველაფერი ეღონა, რისი შემძლებელიც იყო.

იმის მოხერხება ჰქონდა და ძალაც მოსდევდა, ჯოგი აეყარა, მიუვალი ცხრა მთა და მწვერვალი გადაევლო, ეპოვა



ჯიხვისთვისაც ფეხდაუდგმელი თავშესაფარი და შეხიზვნოდა. ესვათ, ეჭამათ, დაესვენათ, ეკუნტრუშათ და არ სცოდნოდათ, მტერი რაა და მოყვარე. არავის ფრჩხილი არ წამოსტკენოდა, გამრავლებულიყვნენ და, მართალია, თხელი, მაგრამ მაინც ქონი დასდებოდათ...

...და არ სცოდნოდათ, რომ ჯიხვის ჯიში მონადირის თოფის დაგრძელებასთან და ტყვიის გახშირებასთან ერთად უნდა გამამაცებულიყო, გადაუხტომელზე გადამხტარიყო, ფეხდაუდგმელზე ასულიყო, გაუღწეველში გაეღწია და თავი დაეცვა.

თავი დაეცვა და გადაერჩინა იქვე, საჯიხვეებში. რეხოსაც იქვე უნდა ეზრუნა ჯოგზე იმნაირად, რომ მგლის მუხანათობისა და დათვის გამამაძაღლებისათვის მამაცობითა და მოხერხებით ეჯობნა, ფოთრი* უყურადღებოდ არ მიეტოვებინა, რომ უფსკრულის პირას არწივს მოეხელთებინა და გადაეგდო. მარილიან წყარომდე გზა ისე დაესწავლა, დღისით თუ სახიფათო იქნებოდა, ჯოგი ბნელ ღამეში დაერწყულებინა. სამწყსო საძოვარ-ბალახსა და ყვავილნარს დიდხანს არ შერჩენოდა, რომ ამასობაში შეუმჩნევლად მოახლოებული მტრისაგან თავის დაღწევა არ გასჭირვებოდა. ჯობდა, სანახევროდ ეშიმშილათ, მაგრამ იქ ეცხოვრათ, სადაც გაჩენის დღიდან ბინადრობდნენ.

**მტერი თუ შეიცვალა, სხვა გზა არაა, შენც უნდა შეიცვალო. მომხდური ყოველთვის იმის ცდაშია, გაჯობოს, ხელში ჩაგიგდოს** და ზოგმა ჩიჩიად, ზოგმა მწვადად, ზოგმა ტყავი ტყავად და რქა - ყანწად გინდომოს. მაგრამ მარტო ამისი ცოდნა არას გარგებს, თუ ხელს არ გაანძრევ და საქმით არაფერს ეცდები, ყელს ისე გამოგღადრავენ, დაპეტელებასაც ვერ მოასწრებ.

ან ამიტომ რომ ფეხი დაჰკრა და შენი ადგილ-სამყოფლიდან გადაიხვეწო, სად მიდიხარ, ვისთან?! უმტროდ და უმოყვროდ ვის უცხოვრია, რომ შენ სასწაული მოახდინო?..

**მტერი ისევეა აუცილებელი, როგორც მოყვარე. შიში რაა, საერთოდ რომ არ იცის, სიკვდილის იმასაც ეშინია. მშიშარა, მხდალი და ლაჩარი დამარცხებულია, დამარცხებული – დაღუპული. უშიშარი და ჩაუქიც იქნებ ყოველთვის ვერა, მაგრამ იმარჯვებს. ჯაბანი – ვერასოდეს. სიკვდილის შიში თანდაყოლილია, მისი მგელსაც ეშინია, დათვსაც და არწივსაც. გულოვნობასა და სიმამაცეს სწავლა უნდა, ისე, რომ კი არ გაგიჟდე და სიკვდილის შიში დაკარგო, არამედ შიში გქონდეს, მაგრამ ვერ დაგიმონოს, ვერ დაგაუძლუროს, იბრძოდე და იმარჯვებდე.**

**სიკვდილის შიშზე გამარჯვებას კი მტრის მეტი ვერავინ გასწავლის.**

დედ-მამა, და-ძმა და მოკეთე სულ იმას ჩაგჩიჩინებენ: თავს გაუფრთხილდი, არ დამღუპო, თავი არ დაიღუპოო! „არ დამღუპოო“ – მე არ დამღუპოო, რაკი უყვარხარ და უშენობას ვერ გაუძლებს, ვერ გადაიტანს; შენც შენს თავზე რომ არ იფიქრო და არ ინაღვლო, დედაზე ხომ უნდა იზრუნო, მამის ხომ უნდა ისმინო, მოყვასი ხომ უნდა გიყვარდეს და, ამდენად, თავს შუშასავით გაუფრთხილდე.




მგელსა და დათვს



* - ჯიხვის შვილი.



შეება კი არა, ბუნაგში ღრმად და თბილად უნდა მოეწყო, არ გაცივდე, არაფერი სნება შეგეყაროს და, ამდენად, ახლობელი და მოკეთე არ გაამწარო... თავს უფუფუნო, უფრთხოდე ყველაფერს, რაც სიცოცხლეს ემუქრება.

რამდენადაც მოახერხებ, კაი სვა, კაი ჭამო, გასუქდე და დაძაბუნდე, დადედლდე, გამთხლევდე და ყველაფერი იკადრო, ოღონდ მძორს, შენიანებისა და, შენდა სასიხარულოდ, არაფერი მოსწიო.

ასე „გადაირჩინა“ თავი ცხვარმა და თხამ; ერთ დროს, ალბათ, ისინიც არჩვი, ჯიხვი იყვნენ. ახლა მათ მტერი პატრონად ჰყავთ და ერთი მტერი იცავთ მეორე მტრისაგან – მგლისაგან. ერთი მტერი იცავს და დარაჯობს, რომ მხოლოდ მან შეჭამოს და მეორეს არ დაანებოს, თითქოს თხისთვის და ცხვრისთვის სულერთი არ იყოს.

**მტერს არ უნდა დაუზავდე, არ დაუმეგობრდე, ხელში არ ჩაუვარდე. მტერს უნდა მტრობდე და მაშინაა ის შენი ღირსებისა და ვაჟკაცობის წარმომჩენი.**

მტერი, რაღა თქმა უნდა, დაუნდობელია, არ ეზოგები. შენზე იზრუნებს კი არა, ათასნაირ ხერხსა და ხრიკს ხმარობს, რომ სიცოცხლე მოგისწრაფოს, მოგსპოს, გაგაცამტვეროს და ეს თუ იცი, გულზე ხელებს ხომ არ დაიკრეფ. **მტერია, კუნთს რომ გიმაგრებს და რკინის მუხლს გაბამს, ილესავს კბილებს და გალესვინებს რქას, ახტება ხრამს, რომ დაგეწიოს და ევლები უფსკრულს, რომ ვერ მოგწვდეს. მოგელავს მთაზე, უნდა მოგიხელთოს და კენწეროში ექცევი მწვერვალს – პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებ.**

ჯიხვი, გგონია, ბარში ვერ იცხოვრებდა, ან ტყეში მოკვდებოდა შიმშილით? სითბოში ვერ გაძლებდა, ან დაზვინულ თივას ვერ მოინელებდა? მაგრამ რად გინდა, უქარიშხლოდ, უყინვათოვლოდ და უმტროდ ჯიხვი აღარ იქნებოდა და...

**სადაც ღმერთმა გაგაჩინა და სამკვიდრო გიბოძა, იქ უნდა იცხოვრო და იარსებო. დრომ თუ მოიტანა, ბრძოლის ხერხები უნდა შეცვალო, თორემ ადგილი რომ შეიცვალო და სადღაც, უკაცრიელში გადაიხვეწო ან ვინმეს, შენზე უფრო ძლიერს, კარზე მიადგე და შეხიზნება მოინდომო, ე, მაშინ დაღუპავ თავს, ჯიშსა და მოდგმას. შენ შენი ადგილი გაქვს მიჩენილი და თავის გატანა იქ უნდა შეძლო, თორემ უკაცრიელი იმიტომაა უკაცრიელი, რომ იქ არსებობა არ შეიძლება. ძლიერიც იმიტომაა ძლიერი, რომ მან იღვაწა და იბრძოლა საამისოდ. კი არ გადახვეწილა, შენსავით რომ ვინმეს შეხიზვნოდა, ხიზნის ხიზნობას აპირებდი?**



შენი წინაპარი ათ ნაბიჯზე ხტებოდა იმიტომ, რომ მისი მტერი ცხრა ნაბიჯს იქით უფსკრულშივარდებოდა. ახლა თუ ისიც ათზე ხტება და გეწევა, თერთმეტს უნდა გადაევლო და გადარჩები, თორემ სადღაც შორეთში რომ გადაიკარგო და ათის მაგიერ ცხრაზე გადახტომა გაგიჭირდეს, ხომ უკუღმა მიგყავს ჯოგისა და ჯიშის საქმე.

რეხოს იმ ღამით ფერდის ქვეშ მოქცეული დაწახნაგებული ქვა არ მოუშორებია. რამდენი წათვლიმა, ქვამ იმდენჯერ ნეკნი კინაღამ




გამოუღო, იმდენჯერ აფიქრა და ათავცემა. წატეხილი ჩლიქიც ძალიან აწუხებდა, სატკივარი სატკივარს ემატებოდა და თავსატეხი – თავსატეხს.

გუშინ პირი არაფრისთვის დაუკარებია რეხოს და დღეს, ფერდებჩაცვენილი, უფრო ტანმჩატედ იყო, მაგრამ დილიდანვე დაღლილი და კუნთებმტკივანი. იმ ცალი წამტვრეული ჩლიქის გამო კოჭლობით არ კოჭლობდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ისე სტკიოდა, ფიქრს აწყვეტინებდა, გადახტომისას სიმძიმე მაინც სხვა ფეხზე უნდა გადაეტანა.

ტკივილის ატანასაც გადაჩვეულა...

**ტკივილის ატანა მაშინ შეგიძლია, როცა სულ გტკივა. ათასში ერთხელ ფრჩხილიც რომ წამოგტკივდეს, ისიც შეგაწუხებს. ტკივილს ხვედრივით უნდა შეურიგდე და შეძლო, უბედურებად არ გექცეს.**

დიდი ხნის ამბავია, ჯოგი რომ აქეთ მოჰყავდა, მაშინდელი. ათასი კლდე-ღრეს გარდა, ჟანგისფერი, თეთრი და რუხი მწვერვალებიც უნდა გადმოელახა. იქიდან ერთადერთი, გაუვალი ქვესკნელის გადმოსახტომზე ჯოგი გადმოესხა და ამ მიუვალ სიმაგრემდე ამოეღწია.

აი, მაშინ იყო, ყველაზე ბოლოს, ისევ გადმოშვებისას, მაღალი ნახტომი გააკეთა, უფსკრულზე ულამაზესი რკალი მოხაზა, რომ ყველას დაენახა, მათი მეწინავის ოსტატობა და ყოვლისშემძლეობა. მაგრამ სადაც პირველად დახტა, იმ ადგილს ოდნავ დასცილდა და ნაბზარში ცალი ფეხის ორივე ჩლიქი ჩაეჭედა, ისე ჩაეჭედა, რომ ორივე წატყდა. სისხლი თქრიალით წამოუვიდა და როგორი ტკივილი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ზედაც არ დაიხედა, არაფრად ჩააგდო და არც არავის შეუტყვია. **შენს ტკივილს შენ თუ მოერევი, სხვა როგორ გაიგებს.** მას მერეც რამდენი იარა. აქაც რომ ამოაღწია, სანამ წაეზრდებოდა, ხომ აწუხებდა, მაგრამ ახლა აღარც კი აგონდება; ეტყობა, მაშინ საკუთარი სატკივარი სატკივარი არ იყო.

**წუხილს სიამოვნებად ვერ აქცევ, მაგრამ არც ტანჯვად უნდა გექცეს!**

**მთელი ზაფხული იწვა რეხო დაწახნაგებულ, მუჭის ტოლა ქვაზე, ფერდებიდან რომ ნეკნებს აცლიდა და ღამეებს თვალღია ათევდა, რომ მეორე დღეს სცოდნოდა, რა ეკეთებინა, რაც ჯოგს მცონარობას, დილიდან საღამომდე ძოვასა და თბილ ბუნაგში წოლას გადააჩვევდა.**

ჯიხვებს ღია ცის ქვეშ, თოშსა და ქარ-შიშხათში ღამის თევა მეტისმეტად გაუჭირდათ. იმდენად გაუჭირდათ, რამდენადაც, მართალია, შარდითა და ნაკელით აყროლებული, მაგრამ, თბილი ბუნაგი იქვე ეგულებოდათ. დაღლილებს სიცივისაგან ძილი რომ გაუტყდათ, გვიან, ნაშუაღამევს თითო-ოროლა ფეხაკრეფით მაინც შეიპარა და მეწინავემ, სანამ მღვიმის წინ ქვა-ყორეზე მთელი ღამე მუხლჩაუხრელად არ დადგა, მანამდე ვერაფერი გააწყო.

**სითბოს მიჩვეული იოლად ცივდება: ახველებს, აცხიკვებს და სიცხეს აძლევს. ჭამას მიჩვეული ფაშფაშა კუჭი ცოტას აღარ სჯერდება. მოტეხილი, ნაღრძობი და ნაბეგვი ჯიხვსაც სტკივა და გულსაკლავად აპეტელებს.**




**მაგრამ მეწინავე, რომელსაც ხევში რა გაიფაჩუნებს და ცაზე რა გადაიფრენს, ის არ გამოეპაროს, ასეთ დროს ყრუ უნდა იყოს, ბრმა, გულის მაგიერ ქვა ედოს და ცრემლი კი არა, წატეხილი ჩლიქიდან გადენილი სისხლიც თოვლის ნაჟურად მიაჩნდეს.**

**მეწინავე ის უნდა იყოს, რაც ყველა, და ამავე დროს, არამც და არამც ის, რაც ყველაა.**

**მძიმეა, უსაშველოდ მძიმეა მეფის გვირგვინი, ბრიყვს ოქროთი და ბრილიანტით მოოჭვილი რომ ეჩვენება.**

# ჭუბურხინჯის ეკლესია
# XI საუკუნე


ჭუბურხინჯის ეკლესია

გალი მდინარეების - ენგურსა და ღალიძგას შუამდინარეთში მდებარე ქალაქია. ამავე დროს, ის რაიონული ცენტრიცაა. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალაქის სახელწოდება წარმოებულია სიტყვა „ღალი“-სგან, რომელიც მეგრულად მდინარეს (პატარა მდინარეს) ნიშნავს. „ღალის“ „გალად“ შეცვლას კი მეფის რუსეთის დროიდან ამ სიტყვის რუსულ ინტერპრეტაციას უკავშირებენ.

არქანჯელო ლამბერტის რუკის (1654 წ.) მიხედვით გალს გოგიელი ეწოდებოდა. გალი მოხსენიებული აქვს თავის ნაშრომში ფრანგ მოგზაურსაც – დიუბუა დე მონპერეს.

1705 წლიდან გალის რაიონის მფლობელია მურზაყან შარვაშიძე. მიიჩნევა, რომ ეს ადგილი სამურზაყანოდ იხსენიება, არა უადრეს, XVIII საუკუნის 50-იანი წლებისა.

საქართველოს ისტორიაში ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა მხარეს დაერქვა მფლობელის სახელი.

არქანჯელო ლამბერტის კოლხეთის რუკაზე მდინარეების – ენგურისა და ღალიძგას შორის აღნიშნულია 30-მდე ეკლესია. ამ ძეგლებიდან მეტ-ნაკლებად შენახულ ტაძრებს შორის ერთ-ერთია – სოფელ ჭუბურხინჯის ეკლესია.

ჭუბურხინჯი მეგრული ტოპონიმია და ნიშნავს „წაბლის ხიდს“.

* * *

გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში აღმართული ჯვარგუმბათოვანი ტიპის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა.

ძეგლის თავდაპირველი ნაგებობა განეკუთვნება XI საუკუნეს.

XIX საუკუნის II ნახევარში ადგილობრივი მრევლის ინიციატივით ტაძარი საფუძვლიანად გადააკეთეს და აკურთხეს წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელზე.

თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა ძველი ტრადიციის მიხედვით ტაძარს დღესაც წმინდა გიორგის ეკლესიად მოიხსენიებს.

ტაძრის შემორჩენილი ფასადის დათვალიერებისას ცხადად იკვეთება XI საუკუნის ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ცალკეული ნიშნები.


ჭუბურხინჯის ეკლესია

## 1869 წ.

ტელეგრაფის აპარატის გამომგონებელი - ვერნერ სიმენსი, რომელსაც საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობები აკავშირებდა, 1869 წლის ოქტომბერში მეორედ ჩავიდა სოხუმში.

უფრო მოგვიანებით, თავის სქელტანიან წიგნში ავტორი კავკასიის არც ერთ ქალაქზე არ საუბრობს ისეთი აღფრთოვანებით, როგორც «ულამაზეს სოხუმზე».

ვერნერ სიმენსმა სოხუმში დააარსა სატელეფონო-სააქციო საზოგადოება - «სიმენს-გალსკე», რომელმაც ამ ქალაქის გავლით სატელეგრაფო ხაზი გაიყვანა ევროპასა და ინდოეთს შორის.

1870 წლის 1 მაისს პეტერბურგმა მიიღო სოხუმიდან გაგზავნილი პირველი დეპეშა.

## 1885 წ.

ცნობილმა გერმანელმა ექიმმა, მეცნიერმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ - რუდოლფ ვირხოვმა, რომელიც 1885 წელს ეწვია სოხუმს, სინანული გამოთქვა:

«სოხუმში ჭაობები სრულიად დამშრალი რომ იყოს, ჩემს ავადმყოფებს ნიცას ნაცვლად ამ ქალაქში გავაგზავნიდი.»

## 1887 წ.

სოხუმს ეწვია გენიალური რუსი მხატვარი - ივანე რეპინი. თავისი მეგობრისადმი, ხელოვნებათმცოდნე ვ.სტასოვისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ:

«სოხუმით იმდენად მოვიხიბლე, რომ აქ მიწის ნაკვეთის ყიდვაც კი გადავწყვიტე; მერე გადავიფიქრე - სიშორის გამო ყოველთვის არ მექნება საშუალება, ჩამოვიდე აქ».

## 1888 წ.

ახალ ათონში დასასვენებლად ჩამოვიდა დიდი რუსი მწერალი - ანტონ ჩეხოვი. მეორე დღესვე მოინახულა სოხუმი და დაბინავდა ზღვისპირა სასტუმრო «იალტაში».

თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მწერალზე ქალაქმა, ეს მისი მეგობრისადმი - ა.სუვორინისადმი გაგზავნილი წერილიდანაც ნათლად ჩანს:

«დღეს დილიდან სოხუმის სტუმარი ვარ. ბუნება საგიჟემდე და სასოწარკვეთილებამდე განსაცვიფრებელია. აქ ჩემთვის ყველაფერი ახალია, ზღაპრულია, პოეტურია: ევკალიპტები, ჩაის ბუჩქები, კიპარისები, ფიჭვები, პალმები, გედები, მტრედისფერი წეროები და, რაც მთავარია, მთები, მთები და ასე დაუსრულებლად - ისევ მთები.

ქუჩის გაღმა ზეთისხილის, კედრებისა და კიპარისების ბულვარია, ბულვარს იქით - მუქლურჯი ზღვა. მე რომ ერთი თვე მაინც მეცხოვრა აფხაზეთში, ვფიქრობ, შევქმნიდი ჯადოსნურ ზღაპრებს. თითოეული ბუჩქიდან, მთების, ზღვისა და ცის ჩრდილებიდან ათასობით სიუჟეტი მიმზერს».

სოხუმის შთაბეჭდილებანი უდევს საფუძვლად მწერლის მოთხრობა - «დუელს».*

* - ინფორმაციები აღებულია ვალერიან ზუხბაიას წიგნიდან „სოხუმი“.



ბარონი დე ბაი

«იალქნის» წინა ნომერში (#1. 2016 წ.) მკითხველს მივაწოდეთ ინფორმაცია ფრანგი მოგზაურისა და ეთნოგრაფის - ბარონ დე ბაის 1903 წელს აფხაზეთში მოგზაურობისა და მის მიერ პარიზში გამოცემული წიგნის შესახებ.

ნაწყვეტი, სახელწოდებით - «აფხაზეთში. ერთი მივლინების მოგონებანი» - სოხუმიდან გაგრამდე მიღებული შთაბეჭდილებებით გვხიბლავს, ხატოვნად წარმოაჩენს საუკუნის წინანდელი ცხოვრების ფრაგმენტებს, გვიამბობს უკვე წარსულადქცეულ ტრადიციებზეც.

ბარონი დე ბაი საქართველოში იმყოფებოდა საფრანგეთის სახალხო განათლებისა და ხელოვნების სამინისტროს საგანგებო მივლინებით.

მას მეგზურობას უწევდა ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე - თედო სახოკია.

წინა ნომერშივე დავაანონსეთ, რომ უფრო ვრცლად მივაწოდებდით მკითხველს უცხოელი მკვლევარის მინიატურებს, შექმნილს აფხაზეთში.

# მინიატურები

ჩემი მეგზური იყო თავაზიანი მეგრელი, ბატონი სახოკია, რომლის გვარიც მისი კუთხის ენაზე „გვიმრას“ ნიშნავს.



Часть города Сухума послѣ послѣдней Турецкой войны. *

ამჟამად აფხაზები მცირერიცხოვანნი არიან, ვიდრე ძველად. 1864 წლის მონაცემებით, ანუ რუსეთ-თურქეთის ომამდე, მათი რაოდენობა დაახლოებით 150 000 იყო. 1877 წლის მონაცემებით მათი რიცხვი ომისა და ემიგრაციის გამო სამჯერ შემცირდა.

აფხაზური ფაცხა უფრო ქოხია; ხის მსუბუქი კარკასით, ტიხრებით, უფრო ხშირად, დაწნული და ტალახწასმული იელის ხის ტოტებისაგან. ჩალის სახურავი გამოზნექილია შემოსასვლელის მხარეს. ჩვეულებრივ, ჰაერი და სინათლე შემოდის მხოლოდ კარიდან, რომელიც საკმაოდ დიდია.

საცხოვრებლის შუაში, ზედ მიწაზე, არის ქვებით შემოფარგლული კერა; კვამლი მთელ შენობაშია მოდებული და გასასვლელს მხოლოდ გრძელი ბალახებისგან გაკეთებული სახურავის ხვრელში პოულობს. როდესაც შორიდან ხედავ კერიაანთებულ სახლს, შეიძლება, იფიქრო, რომ მას ცეცხლი აქვს წაკიდებული.



* - სოხუმის ხედი XIX ს.-ში გამოცემული წიგნიდანაა - (Географическiй очеркъ Абхазiи).

კეთილშობილი აფხაზები, ესე იგი, თავადები, თავიანთ შვილებს თვითონ არ ზრდიან: ეს არის მათთვის საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვა. ბავშვს გააძიძებენ გლეხთან, რომელიც ამით სასარგებლო მფარველობასა და ერთგვარ ნათესაურ კავშირს მოიპოვებს. მართლაც, ძიძიშვილი ძმები და დები ღვიძლ და-ძმებად ითვლებიან.

მათი ძირითადი საკვებია ჭადის ფქვილი, რომლისგანაც ფაფის მაგვარ რაღაცას აკეთებენ.* მას ძალიან ცხელს მიირთმევენ, შიგ ჩასობილი თეთრი ყველის პატარა ნაჭრებით, რომელიც რბილდება სიმხურვალის გამო.

როდესაც აფხაზი კვდება, ოჯახის რომელიმე ქალი ამზადებს გარდაცვლილის საყვარელ კერძს და დგამს მის თავთან, რათა საიქიოს მას არ მოაკლდეს საჭმელ-სასმელი. თუ მკვდარი მწეველი იყო, კერძების გვერდით დებენ მის მოკიდებულ ჩიბუხს.

არავინ არის მოწვეული, მაგრამ ყველა ისწრაფვის, უკანასკნელად გამოეთხოვოს მას. მოზარე ქალები კუბოს გარს ერტყმიან. კართან, ჯორკოზე, მოსული კაცები ტოვებენ თავიანთ თავსაბურავს, ნაბადს, იარაღსაც, რომელსაც იხსნიან სახლში შესვლამდე.

განმკარგულებლის ფუნქციების შემსრულებელი ახალგაზრდა კაცი მიდის მათ შესახვედრად და წელზე ხელმოხვეულები შეჰყავს ისინი სახლში. მოზარე ქალები მაშინვე იწყებენ გოდებას. კაცები შუბლზე ირტყამენ ხელს; უწინ ამას ტყავის ნაჭრით აკეთებდნენ.

დავუმატოთ ისიც, რომ ახალგაზრდა ჯვარდაწერილ ქალს არ შეუძლია, დაიტიროს ქმარი; არც ახალგაზრდა ჯვარდაწერილ კაცს შეუძლია, დაიტიროს ცოლისა ან შვილების დაკარგვა.

ყველა დამსწრეს სამგლოვიარო სუფრას მუქთად უმართავენ.



Панорама из парка: “Временная гостиница”. Ресторан “Гагрипш”. “Новая гостиница”. 1905 год.

მას შემდეგ, რაც იმოგზაურებთ აფხაზეთში, სადაც კომფორტი არ არსებობს და საღამოს ჩახვალთ გაგრაში, ფერიების ქვეყანაში, თავი აღმოსავლურ სამოთხეში გეგონებათ. ახალი ორიგინალური შენობები ელექტრონის შუქს აფრქვევენ მთვარის სინათლეზე მოლაპლაპე ზღვასთან. ჩრდილები ადიდებს პალმებსა და ეგზოტიკურ ხეებს, თბილი ატმოსფერო ყვავილების დამათრობელ სურნელს გამოყოფს.

თერმომეტრი 20-ს აღნიშნავს; კალენდარი - ნოემბრის თვეს, ხოლო ბარომეტრი - კარგ ამინდს.

გაგრის სასტუმრო თანამედროვე და კეთილმოწყობილი სასტუმროების რიცხვს განეკუთვნება; ძალიან ლამაზი რესტორნით, მის თავზე აღმართული უზარმაზარი საათით, რომლის ციფერბლატი შორიდანაც კარგად მოჩანს.

დიდი სასადილო დარბაზის ფერადი ვიტრაჟებიდან მოქეიფე ხალხი გაჰყურებს ზღვის ლამაზ პეიზაჟს. აქ ყველაფერი მდიდრულია და, ამავე დროს, სუფევს შინაურული ატმოსფერო.

* - საუბარია ღომზე (რედ.).



ჯემალ გამახარია

«იალქნის» ახალი რუბრიკა «ბჭეთა მცველნი» თავს მოუყრის საქართველოსა და «ქართულის» სახელით კოდირებულ იმ ეპიზოდებს, ნაცნობსა თუ შედარებით გაუხმაურებელს, ერთმანეთს ხშირად რომ უნდა მოვუყვეთ.

მაგრამ ჩვენი სურვილია, ახალმა ფორმატმა წარმოაჩინოს დროითა და ადამიანებით დასათაურებული ის უამრავი თავმოსაწონი ისტორია, აფხაზეთში რომ დაგვაბრუნებს, გაგვახსენებს, შესაძლოა, შორეულ, მაგრამ მშობლიურ წარსულს.

VIII ს.-ის 30-იან წლებში, როცა შეუბრალებელი მურვან-ყრუ შემოიჭრა საქართველოში, გადამწყვეტი ბრძოლა აფხაზეთში მოხდა.

ქართლის მეფეს - მირსა და მის ძმას - არჩილს უდიდესი განსაცდელი ელოდათ. სიზმარში არჩილს გამოეცხადა ღვთისმშობელი, რომელმაც შეაგულიანა და ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლის გზა დაულოცა.

აფხაზეთის ერისთავ ლეონთან ერთად უფალს მინდობილმა ძმებმა მცირედი მხედრობით ანაკოფიასთან (ახლანდელი ახალი ათონი) უკუაქციეს კიდეც დამარცხებული არაბები.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორის, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის - ბატონ ჯემალ გამახარიას საინტერესო პუბლიკაცია სწორედ სარწმუნოებისათვის წამებულ პირველ ქართველ მირონცხებულ არჩილ მეფეზეა.

თბილისიდან 40-იოდე კმ-ში, ერწო-თიანეთშია არჩილ მეფის მიერ აგებული ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (ადრე წოდოკრას მონასტერს ეძახდნენ, მასთან მიმდებარე ამ სახელწოდების სოფლის გამო).

იქ ჩასულები მოვიხიბლეთ, მართლაც რომ, ღვთით მადლმოსილი შემოგარენით, ტყისპირა სიმწვანით. ვიდექით ტაძრის ეზოში, საიდანაც, სალოცავის სიმაღლიდან ჰორიზონტამდე, იშვიათი პეიზაჟი გადაიშალა - ჩამავალი მზის საუცხოო სალებავებით შეფერილი და ნისლში გახვეული კავკასიონის ქედით.

როგორც აგვიხსნეს, არჩილ მეფეს ამიტომაც აურჩევია ეს ადგილი თავის საზაფხულო რეზიდენციად.

დიდ ღვაწლში არიან აქ თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის მღვდელმთავარი, მეუფე მიქაელი, დიდმოწამე არჩილ მეფის მამათა მონასტრის (ეს ტაძარიც ამ ტერიტორიაზეა) წინამძღვარი - კეთილმოწესე მამა ნეოფიტე, მღვდელ-მონაზონი შიო, სხვა მამები - ბერ-დიაკონი ევაგრე, ბერები - თეოდორე, იოათამი, ისიდორე, მორჩილი - თამაზი.

საინტერესო დეტალიც: მთელს ეპარქიაში აფხაზეთიდან დევნილი ერთადერთი ბერი - მამა ისიდორე, სოხუმელი მამუკა კარტოზია, სულ რამდენიმე წლის წინათ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომელი იყო.

ფოტოებიც, რომელიც ახლავს პუბლიკაციას, მისი გადაღებულია.

# საქართველოს პირველი წამებული მეფე - არჩილ II

ჯემალ გამახარია

## VIII საუკუნე - არაბების დამარცხება ანაკოფიაში

ქრისტეს რჯულისა და მამულისათვის ბრძოლაში თავშეწირულ მოწამეთა შორის განსაკუთრებული სიდიადით ბრწყინავს საქართველოში პირველი წამებული მეფის – არჩილ II-ის სახელი.

არჩილის მეფობის წლები – 738-761 წ.წ. – არაბობის პერიოდს ემთხვევა.



დიდმოწამე არჩილ მეფე

არაბთა შემოტევები მეტადრე გაძლიერდა მამამისის, სტეფანოზ III-ს დროს.

ჯერ კიდევ VII საუკუნის ბოლოსათვის არაბების ხელში იყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველო (ქართლიც, ეგრისიც). მაგრამ ომები ეგრისისათვის არაბებსა და ბიზანტიელებს შორის შიგადაშიგ მწვავდებოდა. ბუნებრივია, ეგრისიდან არაბების განდევნას და იქ თავისი გავლენის აღდგენას იმთავითვე ცდილობდა ბიზანტია.

ამ მიზნით, ბიზანტიის კეისარმა ფილიპიკოსმა ქართლის ერისთავს, სტეფანოზ III-ს ეგრისის ერისმთავრობაც უბოძა. ამის შემდეგ სტეფანოზ III უფროს ვაჟთან – მირთან ერთად ეგრისში გადავიდა, ქართლში კი უმცროსი შვილი – არჩილი დატოვა.

ეს იყო 712 წელს.

714 წელს ქართლში შემოჭრილი არაბი სარდალი – მალიქი ეგრისშიც გადავიდა. ნოქალაქევის ციხე-გოჯთან გამაგრებულმა ბიზანტიელებმა ფაზისისაკენ დაიხიეს.

ქართველთა ლაშქარმა კი სტეფანოზ III-ის, მირისა და ქართლიდან გადმოსული არჩილის სარდლობით თავი აფხაზეთს შეაფარა.

გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ანაკოფიასთან (დღევანდელი ახალი ათონი). ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს აქ მოსული არაბები.


**ტაძრის ეზო -
გაზაფხულის მახარობელი ენძელები**

## მურვან ყრუს შემოსევები ქართლსა და აფხაზეთში

ანაკოფიაში მოპოვებული გამარჯვებით, აგრეთვე, ბიზანტიის კეისრის მეცადინეობით აფხაზეთი არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლდა. მოგვიანებით ბიზანტიის კეისარმა მირსა და არჩილს ერთდროულად ორი სამეფოს - ეგრისისა და ქართლის გვირგვინი გამოუგზავნა.

თუმცა არაბები ჯერ კიდევ რჩებოდნენ ეგრისში.

ამ მიზნით ძმები ვერც ქართლსა და ვერც ეგრისში თავს მყარად ვერ გრძნობდნენ.

735 წელს ქართლს შემოესია დაუნდობლობით ცნობილი არაბი სარდალი - მურვან ყრუ, რომელმაც ააოხრა ეს კუთხე, 736 წელს კი თბილისის საამიროც დააფუძნა.

არაბმა სარდალმა „შემუსრნა ყოველი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა." ამის შემდეგ გაეშურა აფხაზეთისკენ.

აფხაზეთისკენ მიმავალმა მურვან ყრუმ წამებით სიცოცხლეს გამოასალმა არგვეთის მთავრები, შემდგომ წმინდანებად შერაცხულნი - დავით და კონსტანტინე მხეიძეები.

ამ დროს ქართლში მყოფ სტეფანოზსა და არჩილს დადევნებული მურვან ყრუ ეგრისშიც გადმოვიდა; აიღო ციხე-გოჯი, მოაოხრა შიდა ეგრისი, გადალახა კელასური, გაანადგურა ცხუმი და 737 წელს მიადგა ანაკოფიას.

აქ იმყოფებოდნენ მირი და არჩილი ათასამდე მებრძოლით, მათთან იყო აფხაზეთის ერისთავი ლეონიც ორიათასიანი ლაშქრით (სტეფანოზი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო).

ღვთის შემწეობით, ამჯერადაც ანაკოფიის ციხესთან არაბები დამარცხდნენ და ქართველ-აფხაზთა ლაშქარმა, ძმების მეთაურობით, დროებით უკუაქცია მტერი.

**ანაკოფიასთან მიღებული ჭრილობებისგან ეგრისის მეფე - მირი მალე გარდაიცვალა.**

## საიდან მოდის მდინარეების სახელწოდებები - „აბაშა" და „ცხენისწყალი"?

საბოლოოდ, ქართველები არაბებთან ბრძოლაში მაინც დამარცხდნენ.

ეს გამარჯვება არაბებს 38 ათასი მეომრის სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. აქედან 35 ათასი მუცლის სენით დაიღუპა, რაც უფლისა და ანაკოფიაში დასვენებული ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის შემწეობას მიეწერებოდა.

არაბებმა კოდორის ხეობაც დალაშქრეს და ციხე-გოჯში დაბრუნდნენ, სადაც თავს დაატყდათ ახალი უბედურება.

ადიდებულმა მდინარეებმა აბაშ-არაბთა 23 ათასი მეომარი, აგრეთვე, 35 ათასი ცხენი იმსხვერპლა. ამის გამო ერთ პატარა მდინარეს, რომლის ნაპირზე გაწყდნენ აბაშები, „აბაშა" ეწოდა, ხოლო მეორე მდინარეს, რომელმაც არაბთა ეტლები და ცხენები შეიწირა, „ცხენისწყალი".

მურვან ყრუმ (ქართლთან ერთად) დედაბუდიანად ააოხრა გურია, აჭარა და მთელი შავიზღვისპირეთი.


**ტაძართან მისვლამდე
ერთ-ერთი წიფლის ფუღუროდან
დანახული პეიზაჟი**

## არჩილის გამეფება ეგრისში

738-739 წლებში ბიზანტიის კეისარმა ლეონ III-მ ერისთავ ლეონს აფხაზეთი მემკვიდრეობით გადასცა; ამასთანავე, კეისარმა მას „მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა" პატივისცემა მოსთხოვა.

ეგრისში კი მეფე არჩილი გამეფდა. მისი რეზიდენცია ჯერ იყო ციხე-გოჯში, შემდეგ კი ქუთაისში.

აფხაზეთიდან გამგზავრებისას არჩილმა მადლობა გადაუხადა ერისთავ ლეონს გაწეული სამსახურისთვის და ნებისმიერი თხოვნის დაკმაყოფილებას დაჰპირდა.

ლეონმა კი არჩილს ქვეშევრდომად მიღება სთხოვა:

„შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, ჩემიცა ესე შენადვე იყოს".

სიკვდილის წინ მირმა თურმე არჩილს, თავის ძმას, ანდერძად დაუტოვა, ჩემი ქალიშვილები (ჰყავდა 7 ასული) ქართლის ერისთავებს მიათხოვეო. ლეონის სურვილიც ეს იყო: იმ ექვს ქართლელ ერისთავთან ერთად ისიც „შვილად და ძმად“ მათ შორის ყოფილიყო („შემრთე მეცა“), ვისაც მეფე არჩილმა მირის ქალიშვილები მიათხოვა.

არჩილმა მეშვიდე ძმისშვილი - გურანდუხტი მართლაც ლეონს მიათხოვა და მასვე გადასცა ეგრისის „გვირგვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთვის. და ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს (მორჩილებდეს - ჯ.გ.) ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა“.

VIII საუკუნის ბოლოდან ამ გვირგვინს კანონიერად და ღირსეულად ატარებდნენ ლეონის მემკვიდრენი - ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანებული სამეფოს ხელმწიფენი.

ეგრისში არჩილმა 12 წელი იმეფა. არაბთა ხალიფატში მიმდინარე პროცესებსა და შიდაომებს ის მუდმივად თვალ-ყურს ადევნებდა.

750 წ. აბასიდებმა* დაამხეს მურვან ყრუ და სიკვდილითაც დასაჯეს.

ამ დროს მეფე არჩილი და მისი უმცროსი ვაჟი - ჯუანშერი ქართლში გადავიდნენ. ეგრისი კი სამართავად უფროს ვაჟს - იოანეს გადაეცა.

იურიდიულად და ფაქტობრივად არჩილი იმჟამად სრულიად საქართველოს მეფეა. მან არაბებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება მოახერხა და, ისევე, როგორც ეგრისში, ქართლშიც ფართო აღმშენებლობითი საქმიანობა გააჩაღა, ააგო არაერთი ციხე-სიმაგრე და ეკლესია-მონასტერი.

## მეფის მოწამეობრივი აღსასრული

750-იანი წლების ბოლოს ქართლში კვლავ არაბთა თარეში განახლდა - „კუალად მოვიდა ჭიჭნაუმ, ... მოაოხრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა და მიმართა შესვლად კახეთად, რათამცა მოაოხრა და ყოვლითურთ უმკვიდრო იყო“.

უაზრო სისხლისღვრას არჩილ მეფემ დამპყრობელთან მოლაპარაკება არჩია, რათა „ითხოვოს მისგან მშვიდობა ქუეყანისა და დაცვა შეურყეველად ეკლესიათა და არა დაპატიჟება დატევებისათვის სჯულისა“.

ასიმ ჭიჭნაუმმა მეფე არჩილი პატივით მიიღო და გამაჰმადიანება შესთავაზა.

კატეგორიული უარის შემდეგ არჩილი საპყრობილეში ჩასვეს.

ამ დროს ასიმს მიეწოდა ინფორმაცია სტეფანოზის, უფრო ადრე კი, 627 წელს, საქართველოში ბიზანტიის კეისრის - ჰერაკლეს შემოსევისას მის მიერ ვითომ აქ დაფლული საგანძურის არსებობაზე. საკუთარი სამეფოსა და მამისეული ქონების შენარჩუნების სანაცვლოდ, ბიზანტიელთა ავლა-დიდებასთან ერთად ჭიჭნაუმმა არჩილს კვლავ მოსთხოვა გამაჰმადიანება.

მიიღო რა ამჯერადაც მტკიცე უარი, ასიმსა და მეფე არჩილს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

„მიუგო და რქუა ასიმ: შენ უკუე იყავ დაცემასა მას სარკინოზთასა აფხაზეთს შინა?



**დიდმოწამე არჩილ მეფის მამათა მონასტერი (VIII ს.)**

რქუა წმინდა არჩილ: მე ვიყავ მაშინ, რაჟამს დასცნა იგინი ღმერთმან.

რქუა ასიმ: რომელმან ღმერთმან დასცნა სარკინოზნი?

მიუგო წმიდამან არჩილ და რქუა: ღმერთმან ცხოველმან, რომელ არს შემოქმედი ცისა და ქვეყნისა და რომელი-იგი მოვიდა ზეცით ქუეყნად ხსნისათვის ნათესავისა კაცთასა, და სიკვდილითა თვისითა აღგუადგინა და უკვდავება მოგვანიჭა; მან უკუე დასცნა და დაამდაბლა იგინი“.

განრისხებული ჭიჭნაუმის ბრძანებით, 761 წლის 20 მარტს არჩილს თავი მოჰკვეთეს.

მემატიანის თქმით, წმინდა მეფე არჩილმა „აღირჩია სიკუდილი უკვდავების მომატყუებელი (მომნიჭებელი-ჯ.გ.), შეცვლა მცირედისა ჟამისა ესე მეფობა საწუთოსა სიხარულად საუკუნოდ.“

იმავე ღამეს ერთგულმა აზნაურებმა მეფის ცხედარი ფარულად წაასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს „ნიტკორას, მის მიერ აღშენებულ ეკლესიასა“ (მდებარეობს თიანეთის რაიონის სოფელ ნოდოკრაში).

**ქართულმა ეკლესიამ მეფე არჩილი წმინდანად შერაცხა; მისი ხსენების დღედ დადგინდა 21 ივნისი (4 ივლისი).**

**წმინდა არჩილის მიერ აშენებული ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი 2003 წელს აღსდგა; 2005 წლიდან იქ მამათა მონასტერი ფუნქციონირებს.**

მეფისვე აგებულ ტაძარშია მისი სარკოფაგიც.



* - არაბთა სახალიფოს დინასტია.

# ინდიელი გოგონას ლოცვა, ჰეროყში გაგონილი

იოსებ ნონეშვილი



ღმერთო, მიშველე,
დავრჩე ინდიელად,
ღმერთო, ნუ იქნები
გულმოსული!..
თორემ წვეთ-წვეთობით
მივსებს ნელა
ჩემს სულს
ცთუნებანი
უცხო სულის.

მამაზეციერო,
შევასრულო, მინდა,
გიყვარდესო დედა! -
ეს ღვთიური მცნება.
მაგრამ დედაენა
თუკი დამავიწყდა,
აბა, დედაჩემი
როგორ მეყვარება?..

რაგინდ კარგი იყოს,
მე სხვას არ ვინდომებ,
რაგინდ კარგი იყოს,
სხვას არ ვინატრებდი!
ჩემგან მამა-პაპის
სულს ნუ გამოდევნი,
ღმერთო,
დამიტოვე
ენა წინაპრების!



ღმერთო, ჩემი ხალხი
ვის რას ედავება?!
ნატრობს, ბედნიერი
იყოს ყველა ერი!
ღმერთო,
ნუ წაართმევ
ჩემს ხალხს
დედაენას,
ქვეყნად ყველა ენა
არის შენსმიერი!

ჩვენ ჩვენი ენა გვაქვს,
ჩვენი ადათ-წესი,
ვაგლახ, ჩვენი წესი
ყველას როდი ესმის?!

ღმერთო,
ნუ ჩაქუფრავ
ჩემს ცას
ბინდის ფერად...
ღმერთო,
მიშველე,
დავრჩე ინდიელად!

ლექსი დაწერილია 1978 წლის 14 აპრილს

«ვმუშაობ ერთ-ერთ კერძო კოლეჯში ასისტენტ-პროფესორად და ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ჩემს სტუდენტებს მსოფლიო ისტორიისადმი ინტერესი გავუღვივო და ვასწავლო ის წარსული, რომელიც ყველასთვის მემკვიდრეობად ითვლება. ვცხოვრობ სამსახურთან ახლოს, აჰმადის საგუბერნიო ტერიტორიაზე, უბანში, რომელსაც ჰქვია - ფინტასი».

ასე იწყებს თავის მონოლოგს პუბლიკაციის ავტორი, ჩვენი თანამემამულე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი - შალვა კიკალიშვილი.

5 წლის იყო, სოხუმი რომ დაეცა.

წლების შემდეგ ბავშვობის ქალაქსა თუ წარმოსახვაში გაბნეული ომის ეპიზოდები შთამბეჭდავ მოგონებად შეკრა ავტორმა და «იალქანმაც» მაშინ «28-ე დღით» გაიცნო ახალგაზრდა პროზაიკოსი. მკითხველს კი დაამახსოვრა თავი გამორჩეული წერისა და ფრაზის ფლობის კულტურით. ერთი წლის წინათ თსუ-ში შედგა შალვა კიკალიშვილის რომან «ჩატეხილი მდინარის» პრეზენტაცია. «ბონდის ხიდი» დიდი გზის დასაწყისია.



შალვა კიკალიშვილი

ამჟამად შალვა კიკალიშვილი ცხოვრობს და მოღვაწეობს არამარტო დასავლეთ აზიის, მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს სახელმწიფოში, მაგრამ ტერიტორიით ძალზე პატარა არაბულ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკას ნავთობის უდიდესი მარაგი განსაზღვრავს, სადაც, როგორც სოციალური ქსელი გვამცნობს, მინიმალური პენსია 3000 დოლარია.

«სტერეოტიპებში დამალული ქუვეითი» შალვა კიკალიშვილმა «იალქნის» თხოვნით დაწერა, რისთვისაც გამოვხატავთ განსაკუთრებულ მადლობას.

საინტერესოა ქართველი ექსპატრიანტის თვალით დანახული და განცდილი ელდორადოს სადარი ქვეყანა, მსოფლიო ყურადღებას თავბრუდამხვევი ლეგენდებითაც რომ იქცევს.

# სტერეოტიპებში დამალული ქუვეითი*

შალვა კიკალიშვილი

### ქვეყანა, სადაც ნავთობი ყველა მეტრზე არ ამოდის

ბავშვობა-ყმაწვილკაცობაში ხშირად ვხუმრობდით მეგობრები - ამდენი და ამდენი ქუვეითური დინარი მოგვცა ნეტავ. მაშინ ალბათ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ წლების შემდეგ ზუსტად ქუვეითში მომიწევდა ცხოვრება და მუშაობა. შორიდან ეგზოტიკად ქცეული და სტერეოტიპებში დამალული ქუვეითი დღეს ჩემი სამყოფელია.

ქუვეითი პატარა ქვეყანაა, 17,818 კვ/კმ-ით (საქართველოზე სამჯერ ნაკლები). მოსახლეობას შეადგენს 1,3 მლნ. ადგილობრივი მცხოვრები და 3 მლნ.-ზე მეტი ექსპატრიატი. თანაფარდობა ძალიან დიდია. სწორედ ეს მიგრანტები წარმოადგენენ ქუვეითის მუშა-ხელს, მთავარ ძალას.

ვალუტა - ქუვეითური დინარი (1 დინარი 7,67 ლარს უდრის), დედაქალაქი - ელ ქუვეითი, ენა - არაბული, რელიგია - ისლამი. არიან სუნიტებიც და შიიტებიც.

ცუდ ამინდს აქ უკიდურეს სიცხეს ვეძახით. ამას თუ ტენიანობა დაერთო, საერთოდ გარეთ ვერ გახვალ. წელს, ივლისში, ოფიციალური მონაცემებით 54 გრადუსი სიცხე იყო ცელსიუსის შკალის მიხედვით. ამ დროს გარეთ სასუნთქი ჰაერი არ რჩება ხოლმე.

აქაური არქიტექტურაც ზუსტად ამინდზეა მორგებული. ძალიან იშვიათია აივნიანი სახლები (არადა „აივნიანი ქალაქიდან" პირდაპირ აქ რომ ჩამოდიხარ, გეხამუშება).

იშვიათია ქუჩები, ადაპტირებული იყოს ფეხით მოსიარულეებისთვის. მაღალი ტენიანობის პირობებში (90%-მდეც) წელიწადში 7-8 თვე აუტანელი სიცხეებია. სწორედ ამის გამო გარეთ ფეხით სიარული ფაქტობრივად წარმოუდგენელია.

რა თქმა უნდა, არის რამდენიმე სკვერი, სადაც შეიძლება გასეირნება და სამაგალითოდ რამდენიმე ხეც კი იჭყიტება ალაგ-ალაგ. ასეთი პარკების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ნარგავთა ხელოვნურობაა. მიუხედავად ამისა, როდესაც დრო გვაქვს, მაინც ვსტუმრობთ მათ. საყვარელი ადგილია „მარინა მოლთან" მდებარე პატარა ბულვარი სანაპირო ზოლის გასწვრივ.

ქუვეითს არაბეთის ყურე ესაზღვრება, თუმცა საცურაო პლაჟები პრაქტიკულად არ არის





* - მასალას თან ახლავს ავტორის ფოტოები.



(მხოლოდ რამდენიმე სასტუმროს აქვს პრივატიზირებული). არც ადგილობრივი ადათი და რელიგია უწყობს ამას ხელს და არც ამინდი. წყალს ნავთობტანკერებიც აბინძურებს და ყურეში დამდგარი წყალიც არ იზიდავს ხოლმე ცურვის მოყვარულთ.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი მეტად უსუსური და განუვითარებელია. მას, ძირითადად, აზიიდან ჩამოსული ექსპატრიატები იყენებენ. სისუფთავით არცერთი ავტობუსი არ გამოირჩევა და უკიდურეს სიცხეში ავტობუსით გადაადგილება ძალიან რთულია. ტაქსების მხოლოდ მიგრანტებისთვის მუშაობს, რადგან ადგილობრივების აბსოლუტურ უმრავლესობას ავტომობილი ჰყავს. შესაბამისად, ავტობანებზე ხშირია გრძელი საცობები. ასევე, ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები, რომლებსაც, ყველაზე ხშირად, კვლავ ადგილობრივები ეწირებიან. გარკვეულწილად, ეს განპირობებულია კანონებისა და წესებისადმი დაუდევარი მიდგომითაც.

სახელმწიფო სტრუქტურები გამოირჩევა მოუწესრიგებელი ბიუროკრატიული მანქანით. ერთი საბუთის გამო უამრავჯერ გიწევს მისვლა. მაგრამ თუ გყავს მომრიგებელი, როგორც აქაურები უწოდებენ „ვასტა“, მაშინ საქმე გაცილებით მარტივია.

სტერეოტიპული მიდგომა, თითქოს ყველა ქუვეითელი მილიონერია, მცდარია. ადგილობრივებში სიღარიბე არ იგრძნობა. თუმცა ორიოდე კვირის წინ ერთ-ერთი ინტერნეტ-გამოცემა წერდა, რომ 125.000 ქუვეითელი ფინანსურ სტრესს განიცდის. სავარაუდოდ, კვლევა შედგენილი იყო ქუვეითური სტანდარდებით და ის ხალხი სწორედ ქუვეითელ მდიდრებთან შედარებით წარმოჩინდნენ „ეკონომიკურ სიდუხჭირეში“.

რახან ეს სტერეოტიპი დავანგრიეთ, კიდევ რამდენიმეს შევეხოთ: ნავთობი ყველა მეტრზე არ ამოდის და არ ჩუხჩუხებს, როგორც ჩვენში ჰგონიათ. არის გარკვეული გეოგრაფიული მდებარეობა, საიდანაც იტუმბება შავი ოქრო. ნავთობისგან მოსულ სარგებელს ადგილობრივები ნამდვილად გრძნობენ.

აქვე ერთი-ორი არაბული სტერეოტიპის შესახებ: ყველა ტერორისტი არაბი არაა და ყველა არაბი მუსლიმი (მაგალითად, ლიბანში ბევრია მართმადიდებელი ქრისტიანიც).

ვაგრძელებთ სტერეოტიპების მსხვრევას: ადგილობრივების უმრავლესობა კერძო ან სამთავრობო სტრუქტურებში (ძირითადად, მაღალ თანამდებობებზე) პოულობენ სამსახურს. არიან იშვიათი გამონაკლისებიც, რომლებიც, ასე ვთქვათ, არაპრესტიჟულ სამუშაოსაც არ თაკილობენ. სწორედ ასეთია ჩემი სტუდენტი. თავიდან ბილეთებს ყიდდა პლანეტარიუმში, შემდეგ მიმტანადაც მუშაობდა, თავისი მეგობრის სასტუმროში მიმღებად და საერთოდ ძალიან თანამედროვე ბიჭია. აზროვნებს პროგრესულად და ცდილობს, დამოუკიდებლად იცხოვროს. უყვარს ხატვა და ოცნებობს გამოფენაზე, რომელიც უნდა, რომ მალე მოაწყოს.

## ის, რაც ხელშეუხებელია

ცხოვრების დონე, რა თქმა უნდა, ძალიან მაღალია. ადგილობრივებს საკუთარი მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს. ფინანსურად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქუვეითელები ფინანსურად შეძლებულები არიან. აქაური საპენსიო ფონდი, საქართველოსთან შედარებით, კოლოსალურია. თვიური პენსია დამსახურების მიხედვით რამდენიმე ათას დოლარამდეც შეიძლება ავიდეს. ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც კერძო სექტორში დასაქმებულ ქუვეითელებს მთავრობა დანამატს უხდის წასახალისებლად.

განათლება პრაქტიკულად უფასოა, ვისაც შესაბამისი სურვილი და ამისათვის საჭირო ჯი-პი-ეი აქვს. ასევე, შესაძლებელია, ნებისმიერმა ქუვითელმა მარტივად მიიღოს საზღვარგარეთ სწავლების დაფინანსება. სრულიად უფასოა ადგილობრივებისათვის სამედიცინო მომსახურებაც.





ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ კვების ინდუსტრია ყველაზე მაღალ დონეზეა. მსოფლიოში ცნობილი ბრენდების უმრავლესობას აქვს თავისი ფილიალები ქუვეითში. აქ საუბარი არაა მხოლოდ სწრაფი კვების ობიექტებზე. არის ძალიან მაღალი დონის რესტორნები, ნამდვილად რომ ღირს მონახულებად.

ტრადიციული ქუვეითური სამზარეულო მრავალფეროვანია. იგრძნობა ინდოეთის გავლენა. ხშირად იყენებენ ბრინჯს, შეზავებულს სხვადასხვა სანელებლით. უყვართ ყველა სახის ხორცი (გარდა ღორის ხორცისა - რაც რელიგიიდან გამომდინარეა). აღსანიშნავი კერძებია: მაჩბუსი, მურაბიანი, მაგლუუბა, ბირიანი და ა.შ.

საინტერესო ტრადიცია აქვთ ქორწინების დროს. ბიჭის ოჯახი მიდის გოგოს ოჯახთან სარძლოს შესათვალიერებლად (ხშირად სწორედ ოჯახი არჩევს სარძლოს და არც არაფერს ეკითხება უშუალოდ ჩართულ მხარეებს). თუ მოლაპარაკება მშვიდობიანად ჩაივლის, თანხმდებიან დაურზე ანუ გადასახადზე, რაც ბიჭის ოჯახმა გოგოს უნდა გადაუხადოს. ბიჭის მიერ გადახდილი ფული გოგოს ოჯახისათვის გარანტიაა იმისა, რომ მათი შვილი კარგად იცხოვრებს. რაც უფრო ლამაზია საპატარძლო, დაური მით მეტია. ყველაზე ნაკლებად ქალიშვილის ხასიათი ფასობს.

ამდენად, კონკრეტული თანხა არ არის დადგენილი დაურისთვის (ითვალისწინებენ ოჯახის შესაძლებლობასაც). კაცები და ქალები ცალ-ცალკე კარავში აღნიშნავენ ქორწილს. ყველა ცდილობს, ტრადიციულ სამოსში გამოეწყოს.

მთავრობა ამ პროცესებშიც ჩართულია და გამოყოფილია სპეციალური ბიუჯეტი, სოლიდური თანხა, რომელსაც ის უხდის მექორწილეებს.

რაც შეეხება ჩაცმულობას, რომელიც არ არის აპრიორი ფუნდამენტურ-ისლამური: გხვდებიან, როგორც სრულიად დაფარული ნიღბითა და აბაიით შემოსილი ქალები, ასევე, ევროპულ ყაიდაზე გამოწყობილებიც.

აღსანიშნავი ფატქი: აბაიით შემოსილი ქალები ხმარობენ დიდი რაოდენობის მაკიაჟს, რაც პირველივე წამიდან თვალში საცემია. ამას აკეთებენ ყურადღების მისაქცევად, ცდილობენ, მაქსიმალურად გამოკვეთონ სახის ნაკვთები და ხაზი გაუსვან თავიანთი სილამაზის დადებით მხარეებს.

ბიჭები უფრო სიამაყით ატარებენ ტრადიციულ სამოსს - დიშდაშას.

ლოცვა გამთენიისას იწყება. ამას მეჩეთიდან მოვარდნილი ხმა იუწყება. ლოცულობენ დღეში 5-ჯერ. ყველა შენობაში არის სპეციალური სალოცავი ოთახები, ქალებისა და კაცებისთვის ცალ-ცალკე. ყოფილა შემთხვევები, სტუდენტები ლექციის დროს გარეთ სალოცავად გასულან და მალევე დაბრუნებულან. ამ შემთხვევაში ვერ აუკრძალავ მათ გარეთ გასვლას.

დიდ პატივად ითვლება მექაში მდებარე ალ მასჯიდ ალ ჰარამის მეჩეთში ქააბას მოსალოცად წასვლა. ეს მუსლიმთა ერთ-ერთი აუცილებელი და სავალდებულო რიტუალია, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ ყველა მორწმუნემ უნდა შეასრულოს. ქააბას დროს გარდაცვალება კი ყველაზე დიდ პატივად ითვლება. თუ ამ დროს ვინმე მექაში გარდაიცვალა, იგი აუცილებლად მიეახლება ალლაჰს - ასეთია რწმენა, რომელიც ძალიან ჰგავს ჩვენში გავრცელებულ ბრწყინვალე შვიდეულში გარდაცვალებისადმი დამოკიდებულებას.

გარდაცვლილს მზის ჩასვლამდე კრძალავენ ან 24 საათის განმავლობაში. გლოვა შეიძლება შემდგომშიც გაგრძელდეს. ამისათვის სპეციალური დაწესებულებებია, სადაც კაცები და ქალები ცალ-ცალკე გლოვობენ. მსურველებს შეუძლიათ მისვლა და მისამძიმრება.



ადგილობრივები ოფიციალურად არ აღნიშნავენ ახალ წელს. ისლამური ახალი წელი ოქტომბერში დგება. არც ამ დღეს აღნიშნავენ და, რა თქმა უნდა, სრულიად ჩვეულებრივი დღეა 31 დეკემბერიც. არავითარი განწყობა და მინიშნებაც კი არ არის იმისა, რომ ახალი წელი მოდის ან ძველი მიდის. მაღაზიებში იყიდება ხელოვნური ნაძვის ხეები და მორთულობა, რომლებსაც მხოლოდ მიგრანტები ყიდულობენ. სხვა მხრივ არავითარი მორთულობა და მოკაზმულობა ამ დღეს არ ახლავს.

## კუნძული, სადაც ქართველმა არქეოლოგებმაც იმუშავეს



ქვეყანაში არის რამდენიმე საინტერესო მუზეუმი, რომლებიც მეოცე საუკუნის 80-იან წლებში დაარსდა.

არის ეროვნული მუზეუმიც. რამდენიმე თვის წინ საქართველოს საელჩოს ინიცირებითა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ჩართულობით ეროვნულ მუზეუმში მოეწყო ქართულ-არაბული ხელნაწერების გამოფენა. გამოფენას სამეფო ოჯახის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ქუვეითელები ამაყობენ თავიანთი ყველაზე თვალსაჩინო ძეგლით - კუნძულ ფაილაკათი (იგივე ფაილაჩა - ქუვეითურ დიალექტზე). ვარაუდობენ, რომ სახელი ფაილაკა მოდის ბერძნული - ფილაკიოდან, რომელიც ავანპოსტს* ნიშნავს.

ისტორიის თანახმად ალექსანდრე მაკედონელმა აქ მოახდინა კოლონიზაცია და კუნძულს იკაროსი დაარქვა. იგივე სახელი ჰქონდა ერთ-ერთ ბერძნულ კუნძულს ეგეოსის ზღვაში. დღეისათვის ფაილაკა არქეოლოგებისათვის საინტერესო ძეგლად ითვლება. აღსანიშნავია, რომ საქართველოდანაც რამდენიმე არქეოლოგიური ჯგუფი იყო ჩამოსული გათხრების ჩასატარებლად.

## როდის იწყებ ხმაურს?

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი საქმიანობა განათლების სფეროს უკავშირდება. ყოველდღიური შეხება მიწევს აქაურ ახალგაზრდებთან. უდიდესი ნაწილი თავაზიანია და საკმაოდ პატივისცემითაც გეპყრობიან. საქართველოს შესახებ ბევრს სმენია, ძალიან ბევრიც სამოგზაუროდ დადის ჩვენ ქვეყანაში და, პირდაპირ რომ ვთქვა, აღფრთოვანებულები არიან.

ძირითადად, საურთიერთობო ენა ინგლისურია, რადგან ქვეყანაში 3 მილიონზე მეტი მიგრანტი ცხოვრობს. ჩემი კოლეჯის კონკრეტული მაგალითითაც, თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ექსპატრიატია - უმეტესწილად არიან არაბული ქვეყნებიდან, თუმცა, ასევე, მრავლადაა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპიდანაც, გვყავდა რამდენიმე ამერიკელიც და 2 ქუვეითელიც.

სამუშაო დღე დილის 8 საათზე იწყება. შესაბამისად, ადრიანად გაღვიძებაა საჭირო. მზე კიდევ უფრო ადრე ამოდის და ყველა ვარიანტში გასწრებს ადგომას. აქაურობა სტაბილურია. სტაბილურად ერთი და იგივე ხდება ყოველ დღეს. გასართობ-საკეთებელიც ცოტაა, მაქსიმუმ - კინოთეატრში წახვიდე.

სხვათა შორის, ფილმები მკაცრი ცენზურის წნეხის ქვეშაა. ამოჭრილია ყოველგვარი სექსუალური სახის სცენები, ალკოჰოლის მოხმარების კადრები (ალკოჰოლი კანონით აკრძალულია); რამდენჯერმე გაფერადებული მსახიობებიც კი მინახავს. სიტყვა „გაფერადებული“ პირდაპირი მნიშვნელობით ვიხმარე - კადრებზე სადებავს უსვამენ, რათა დაფარონ ზედმეტი სითამამე: კოცნა, დეკოლტე, მოურიდებელი ხელის გადახვევაც კი.

ძირითადად მაინც წიგნებითა და კომპიუტერული თამაშებით თუ გაიყვან დროს. ახალჩამოსული ვაფასებდი სიჩუმეს, მაგრამ ეს სიჩუმე იმდენადაა მოდებული ყველაფერს, რომ საბოლოოდ გბეზრდება და იწყებ ხმაურს.

მოკლე აღწერილობით ასეთია ქუვეითი. აქ ყოფნა ჭირს იმდენად, რამდენადაც გიწევს სტაბილურად ერთ ადგილზე ყოფნა, შესაძლოა, მომაბეზრებელიც კი იყოს; თუმცა ხარ შედარებით კომფორტულად. არ გაწუხებს არავინ და არც შენით იწუხებენ დიდად თავს.



დაახლოებით 40 ქართველია ქუვეითში. ზოგი ჩემსავით ლექტორ-მასწავლებელია, ზოგიერთი სატელეკომუნიკაციო კომპანიებში მუშაობს, არიან სილამაზის სალონებში დასაქმებულნიც.

ერთმანეთს ვიცნობთ. ხშირად გვაქვს შეხვედრა-შეკრებები, რომლებსაც მუდამ თან ერთვის ნოსტალგიური საუბრები ჩვენ ქვეყანაზე, სადაც აუცილებლად დავბრუნდებით და იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი ქვეყანა არ გაგვიცრუებს იმედს და სათანადოდ მიგვიღებს.

* - სადარაჯო პოსტი მტრის პოზიციის პირისპირ.

# ორბელიანთა ოჯახი



სულხან-საბას მშობლები - თამარ და ვახტანგ ორბელიანები

ორბელიანები ანუ ორბელიშვილები - «ნათესავით ბარათაშვილები» იყვნენ, ხოლო თვით ბარათაშვილების წარმომავლობას უკავშირებენ ქავთარ ქაჩიბაძის ძეს - ბარათას (XV ს.).

ორბელიანები, იგივე, «ბარათაშვილ-ორბელიშვილები» მეტად მდიდარი, გავლენიანი დიდგვაროვანნი იყვნენ. ტერიტორიულად მათ ეჭირათ «მოწინავე სადროშოს», ქვემო ქართლის დიდი ნაწილი.

ორბელიანთა «ძველი და მოუშლელი სამკვიდროა» - სოფელი ტანძია (დმანისის მახლობლად). დმანისი შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი ეკონომიური და კულტურული ცენტრი იყო, XVII საუკუნეში კი უკვე თითქმის ნანგრევებს წარმოადგენდა.

სულხანის მამა - ვახტანგი, ნიჭიერი მწიგნობარი, დიდი ფეოდალი და გავლენიანი ხელისუფალი იყო; ამასთან, ასრულებდა თბილისის მდივანბეგის თანამდებობას. მისი და - როდამი - ქართლ-კახეთის მეფის - ვახტანგ V-ის მეუღლე იყო.

სულხანის დედა - თამარი - არაგვის მთავრის - დიდი ნუგზარ ერისთავის შვილიშვილი იყო. ორბელიანების დიდ ოჯახში (სულხანს ჰყავდა 7 ძმა და 3 და) სულხანის გარდა დაიბადნენ: ცნობილი პოეტები - ნიკოლოზ თბილელი და დემეტრე ორბელიანი, გამოჩენილი კალიგრაფი და სასულიერო მოღვაწე - ზოსიმე (იგივე ზაალი).

მწიგნობარი მამის გარდა, სულხანის აღზრდაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მისმა მამიდაშვილებმა - ძმებმა - მეფე გიორგი XI-ემ, ცნობილმა პოეტმა - არჩილმა და ფილოსოფოსმა და მწერალმა ლევანმა (ვახტანგ V-ისა და როდამის შვილებმა).

მართალია, სულხან-საბას ოჯახს ჰქონდა სასახლეები ტანძიასა და თბილისში, მაგრამ მემკვიდრეობის მიღებისას სულხანს წილად ერგო უძველესი ნაქალაქარი დმანისი, სადაც უმეტესად ცხოვრობდა. ბერად შედგომის წინ სულხანს თავისი წილი საბატონო - დმანისის ხეობა - უჩუქებია ძმებისთვის.



## ღმერთობელი მეფე და მისი ვაზირი

### იგავი

სულხან-საბა ორბელიანი

იყო ერთი მეფე. ღმერთობას ჩემულობდა და ვერცა ვინ ეტყოდა, რომ ღმერთი არა ხარო. ერთი ჭკვიანი და კარგი ვაზირი ჰყვა.

მან მოახსენა: რადგან შენ ღმერთი ხარ, მაშა მე შენი ანგელოზობა მიბოძეო! უბოძა მან ღმერთმან თავისი ანგელოზობა.

გამოხდა ხანი. უბრძანა მან ღმერთმან თვისსა ანგელოზსა: მოდი, ერთი სასწაული ვქმნათო!

მისმან ანგელოზმან მოახსენა: თუ მისმენ, უცხოსა და კარგს სასწაულს გაქნევინებო!

## — ყ —

**ყაბაჩა (ვეფხისტყაოსანი)** – ლაბადა, რომელსაც სპარსთ ქალნი იცმენ (მოკლე კაბა)

**ყავა** – მარცვალია იამანური

**ყავარი** – თხელი და ვიწრო ფიცარი

**ყავყავი** – ყრიალი (ყვირილი) კაცთა

**ყაზილა** – მეძებრისა და თართისგან (საცხვარე ძაღლი) შობილი

**ყათარი** – ჯორი

**ყალამა** – სპარსულია; ქართულად – ხუჭუჭი

**ყალაღანი** – უგვარო, მაღალი და სუსტი

**ყალბი** – რიოში

**ყამარი** – მთვარე (ცთომილნი)

**ყანობირი** – ყანები

**ყანწი** – წედა

**ყაპი** – პირველი თოვლი

**ყაპუზუნა** – მაიმუნი, ქია

**ყარანა** – ნიბლია (მგალობელი)

**ყარყუმი** – თეთრი ბეწვი

**ყაპყაპი** – ყვავი

**ყაფარი** – აღმართი

**ყდა** – წიგნის საგვერდული

**ყვიბარი** – მომცრო ჭური

**ყვლივი** – ყულივი (მხრის ძვალი)

**ყია** – ყელის ყარყანტო

**ყინტორი** – წყაროს ყინული

**ყიპყიპი** – ფრინველთ ხმიანობა

**ყიფი** – ამაყი

**ყლანტნი** – წყალში კენჭის ჩაგდების ხმა

**ყრჩუ** – ადგილი ვიწრო, ცხელი

**ყუმბარა** – ბუმბა, შავცეცხლი

**ყუნცი** – ძაღლის უკანა ფერხზედ ჯდომა

**ყურთა გლეჯა** – ალაფალა (ყვირილი)

**ყურცემული** – მორჩილი, ყურის მიმგდები

**ყუყა** – მეტად შავი

დაუჯერა და დააცლევინა სახლები მეფისა. სრულად ნეხვითა და ცხოვართა და ზროხათა ფაშვითა ფალანგით* აავსებინა. გამოიხშა კარი. ზაფხულის ჟამი იყო.

ათი დღე დაიყოვნა. მეათერთმეტე დღეს მოეიდნენ: ჩვენი ნაქნარი სასწაული ვნახოთო!

დაალეს კარები. ნახეს: სულ მატლი, ჭია და ფუნდურა** დაჰხვეოდა და დია აყროლებულიყო.

მეფემან უთხრა ვაზირსა: ეს რა გვარი სასწაულიაო?

ვაზირმან მოახსენა: შენ რომ ღმერთი ხარ და მე შენი ანგელოზი, ჩვენგან ესეც დიდი სასწაულის ქმნა არის და არც უფროსი გამოგვეიაო!



* - შიგნეულობა.
** - ნეხვის ჭია.



არქიმანდრიტი
სერაფიმე (ჭედია)

«საპატრიარქოს უწყებანის» ერთ-ერთ ნომერში საინტერესო ინფორმაცია ამოვიკითხეთ, რომ «იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ათსაუკუნოვანი წყვეტის შემდეგ პირველად აღევლინა წირვა ქართულ ენაზე».

ალბათ, მკითხველი ხვდება, რომ პუბლიკაცია, რომელსაც «იალქნის» უკვე ტრადიციული რუბრიკა «კირიე ელეისონ» წარმოგიდგენთ, იერუსალიმის მონასტერთან დაკავშირებულ ამ ექსკლუზიურ თემას განავრცობს.

შევხვედით კიდეც სვეტიცხოვლის, უამრავი სიწმინდით დავანებული ამ ტაძრის მოსაყდრეს, არქიმანდრიტ* სერაფიმეს (ჭედია), ვინც იმ ქართველ სასულიერო პირებს შორის იყო, რომელთა თანამწირველობით საუკუნეების შემდეგ წმინდა მიწაზე აღესრულა ქართულად წირვა-ლოცვა.

«აქ, დედამიწაზე, მადლის მიხედვით ყველაზე წმინდა ადგილია სვეტიცხოველი»,** სადაც სიდონია გულზე მიხუტებული მაცხოვრის კვართით განისვენებს და სადაც მეფე მირიანმა ააშენა ეს ტაძარი; ქართლის გაქრისტიანების შემდეგ იგივე მეფეს უკავშირდება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ტერიტორიების შესყიდვა და იქ (წმინდა ნინოს რჩევით) სამლოცველოს აგება.

ამ ეზოშივეა შემონახული ნარგავის მისტიკური ადგილიც, სადაც ბიბლიური ლოტის მიერ გაზრდილი ხისგან დამზადდა ჯვარი, რომელზეც გააკრეს მაცხოვარი.

მოილოცო ეს სასწაულთმოქმედი ქრისტიანული სავანე, ჯერ კიდევ აბრაამის შთამომავლებთან დაკავშირებული და მერე ასეთი უფლისმიერი სათნოებით ესაუბრო მრევლს, ეს განსაკუთრებულ მადლს სძენს ჩვენი ჟურნალის ფურცლებს.

გამორჩეული ამაგის გამო მამა სერაფიმეს უდიდეს მადლობას ვსწირავთ.

«ძილის დრო არ არის. ვისაც ჯვარი არ აულია, უნდა მოძებნოს. მაგრამ ესეც გახსოვდეთ: ვინც ჯვარს გვაჭერინებს, ის გვეხმარება, ისაა ჩვენი შემწე. უფალი მოწყალეა - ასატანზე მეტი სიმძიმის ჯვარს არავის აძლევს. ჩვენი ხსნა ჯვარშია».

ეს ფრაგმენტი, აფხაზეთიდან დევნილი ქართველის, მამა სერაფიმეს იმდღევანდელი საკვირაო ქადაგებიდანაა.

# რაც ვერ შევძელით

არქიმანდრიტი სერაფიმე (ჭედია)

ჯვრის მონასტრის ისტორია ბიბლიურ ლოტს უკავშირდება. ღვთისგან შენდობის მისაღებად მას დაურგავს სამი ხმელი ტოტი - ფიჭვის, ნაძვისა და სოჭის. ყოველ დღე რწყავდა მათ. ღვთისგან პატიების ნიშნად ამ ტოტებმა გაიხარეს და ერთ ხედ აყვავდნენ. მოგვიანებით იგი სოლომონის ტაძრის მშენებლობის დროს მოჭრეს და მდინარეზე გადეს ხიდად. ღვთის განგებით ამ ხისგან დამზადებულ ჯვარზე გაეკრა მაცხოვარი.

ის ადგილი, სადაც ეს ხე გაიზარდა, მირიან მეფეს შეუსყიდია და იქ სამლოცველო აუგია. V საუკუნეში წმიდა მეფე - ვახტანგ გორგასალს სამლოცველო გაუდიდებია და დაუმშვენებია. ვახტანგს ტაძრის მცველად დაუტოვებია 600 ქართველი, რომლებიც დროთა განმავლობაში გამაჰმადიანდნენ.

მონასტრის აღორძინების პერიოდი იწყება XI საუკუნიდან. იგი ქართველთა სულიერების, რელიგიური და კულტურული მოღვაწეობის ცენტრი ხდება. მონასტერს დიდ ყურადღებას აქცევდა თამარ მეფე; აქ სიცოცხლის ბოლო წლებში მოღვაწეობდა შოთა რუსთაველიც. ტაძარში, იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფრესკებს შორის, შემონახულია მისი პორტრეტიც.



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

საქართველოს ისტორიაში თითქმის არ არის მეფე და დიდებული, მონასტრის გაძლიერებასა და აღორძინებაზე რომ არ ეზრუნოს.

უცხოეთის არც ერთ ქართულ სავანეში არ არის შემორჩენილი იმდენი ქართული წარწერა, რამდენიცაა ამ ტაძარში.

ჯვრის მონასტერი საბოლოოდ XVIII საუკუნეში დავკარგეთ, როცა ქართველ მოღვაწეთა რიცხვი აქ საგრძნობლად შემცირდა. საქართველოში მაშინ მძიმე პერიოდი იდგა.

* - დიდი მონასტრის წინამძღოლი.
** - მამა გაბრიელის სიტყვები.

ძალიან გაჭირდა მონასტრის შენახვა. ქართველთა გავლენა თანდათან შესუსტდა და ბოლოს ბერძენთა ხელში გადავიდა სხვა ქართულ სავანეებთან ერთად.

მონასტრის მოზაიკაზე იყო ლითონის ფირფიტა, წარწერით: „ქართველნო, დექით მტკიცედ და შეურყევლად“.

ვერ შევძელით...

ქართველებისთვის ეს სიწმინდე ძალიან ძვირფასია, მისი დაკარგვა ძალიან მტკივნეული.



იერუსალიმი. იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფრესკებს შორის შოთა რუსთველის პორტრეტი

## პირველად ათი საუკუნის შემდეგ

თამარობას ჯვრის მონასტერში წირვის ჩატარება მონასტრის წინამძღვრის, იღუმენ კლავდიუსის ინიციატივა იყო. უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის - ილია II-ის კურთხევით გადაწყდა თამარ მეფის ხატის დაწერა და მისი მონასტრისთვის საჩუქრად შეწირვა.

ხატი ხატმწერმა იაგო უგულავამ აღდგომის მარხვაში დაწერა. მისი შექმნისას გათვალისწინებულ იქნა მონასტრის ინტერიერი და ფერთა გამა. ხატი იერუსალიმში 2016 წლის 9 მაისს მომლოცველთა ჯგუფთან ერთად ჩამოვაბრძანეთ.

თამარობის წინა დღეს ხატთან ერთად იერუსალიმისა და პალესტინის პატრიარქს, უნეტარეს თეოფილეს ვესტუმრეთ. მან დიდი სითბოთი და სიყვარულით მიგვიღო, თამარობა წინასწარ მოგვილოცა, სამახსოვრო საჩუქრები გადმოგვცა და ჩვენ და სრულიად საქართველო დალოცა.

14 მაისს ყველანი ძალიან ვღელავდით. **საუკუნეების შემდეგ თამარობის საზეიმო წირვა პირველად აღევლინებოდა ქართულ ენაზე.**

ტაძარში შესვლისთანავე თითქოს ყველა დაძაბულობა მოიხსნა, აქ ყველაფერი ქართული იყო, აქ მოღვაწე მამების შემწეობაც იგრძნობოდა. ყველას ბედნიერი ღიმილი ეხატა სახეზე.

**მამა კლავდიუსმა აღნიშნა კიდეც, თქვენ რომ გიყურებთ, ვგრძნობ, რომ ცა და დედამიწა ერთიანად დღესასწაულობსო.**

წირვას რუსთაველი მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი) აღავლენდა, დეკანოზ ანდრიასთან (ჯაღმაიძე), ბერ-დიაკონ იოანესთან (კობაიძე) და ბერძენ სასულიერო პირებთან - იღუმენ ბართოლომეოსთან და მღვდელ-მონაზონ ქრისტოდულოსთან ერთად. წირვაზე სვეტიცხოვლის მგალობელთა გუნდი გალობდა.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო დედა ნინოს (თალაკვაძე) ღვაწლი ამ მონასტერში. იგი გასული წლის სექტემბრიდან ცხოვრობს აქ და ქართველ მომლოცველებს მონასტრის ქართულ სულთან აზიარებს.

წირვის მერე სამადლობელი პარაკლისი გადავიხადეთ. რაღა დავმალო და ყველას გვქონდა სურვილი, რომ ეს მონასტერი, რომელიც ჟამთა სიავით დავკარგეთ, ისევ დაგვბრუნებოდა. ამისთვის, ალბათ, ბევრი ლოცვა დაგვჭირდება.

წირვის მერე ტრაპეზი გაიმართა. იერუსალიმის წმინდა მიწაზე ქართული სუფრა გაიშალა, ქართული კერძებითა და ქართული სადღეგრძელოებით, ქართული სუფრული სიმღერითა და გალობით. ბედნიერნი იყვნენ იქ მცხოვრები ქართველები, სიხარულს ვერ იტევდნენ. მათთვის ეს დღე საქართველოსთან ზიარება იყო.

დღე იწურებოდა და განშორება არ გვინდოდა. გვიძნელდებოდა დატოვება იმ მონასტრის, მამასავით რომ მიგვიღო. მაგრამ იქ **წმიდა თამარის ხატს ვტოვებდით, რომელიც მეოხებას გაგვიწევს ღვთის წინაშე, წმინდა მიწაზე კი ამ ქართულ სავანეში, აუცილებლად კიდევ დაგვაბრუნებს.**



ქართული და ბერძნული წარწერები ჯვრის მონასტრის შესასვლელთან

# უფალი ტკივილმა მაპოვნინა



კოდორის ხეობა

დავიბადე და გავიზარდე აფხაზეთში. ეს ის მხარეა, სადაც ჩემი პიროვნული ჩამოყალიბება მოხდა. მასთან არის დაკავშირებული ჩემი მოგონებების ძირითადი ნაწილი თავისი სიხარულებითა და იმედებით, იმედგაცრუებებითა და ტკივილებით.

**დავიბადე ყველაზე ლამაზ სოფელში, სადაც ყველაზე ლამაზი დილა თენდებოდა, სადაც ყველაზე ლამაზი სანაპირო იყო და ყველაზე დიდი და თბილი მზე ამოდიოდა.** მეგობრებთან ერთად ხშირად ვხვდებოდით აისებსაც და დაისებსაც.

**არსად ისეთი იმედისმომცემი გაზაფხული არ იცის, როგორც იქ, არსად არის ზაფხული ისე თბილი, როგორც იქ, არც შემოდგომაა ისე მრავალფეროვანი და მდიდარი და არც ზამთარი ისეთი ნოტიო და რბილი, როგორც აფხაზეთში.**

ულამაზესი ხედებია ყველგან. **ხეობებს აშკარად ეტყობათ, რომ მათი შექმნისას ღმერთს არანაირი სიუხვე არ დაუშურებია.**

ვის არ ხიბლავდა ბზიფისა და კოდორის ქედები, ულამაზესი ბიჭვინთა, ათონი, რიწის ტბა, ამტყელის ხეობა, ავადჰარა სამკურნალო წყლებით, ბესლეთი თავისი უძველესი ხიდით, კელასური ისტორიული კედლითა და ტაძრებით; გვეამაყებოდა შუა საუკუნეების ძეგლები: მოქვი, ბედია, ილორი, ლიხნი, ბიჭვინთა, განთიადის ბაზილიკა... ქარცეცხლგამოვლილი ეს ტაძრები თავმომწონედ გვახსენებდნენ ჩვენს ისტორიას და ყველაზე მთავარს – ღმერთის არსებობას.

მაშინ ეს არ გვესმოდა...

ჩემი სკოლის ეზოში VI საუკუნის ტაძარი იდგა. ყოველდღე შევდიოდით ამ ტაძარში; ხან სანთელს დავანთებდით, ხან იქ დასაფლავებულ მამათა საფლავის ქვებს გადავწმენდდით. უფრო ხშირად, სულაც ისე შევდიოდით, ვიდექით და გუმბათს ავყურებდით მდუმარედ. საოცარი მადლი იგრძნობოდა, რაღაც ძალა არ გვიშვებდა და გამუდმებით ისევ გვეძახდა. მიყვარდა ეს ტაძარი. მის გარეშე ვერც ბავშვობასა და ვერც აფხაზეთს ვერ ვიგონებ.

მერე იყო ომი – შიში, ახლობლებისა და მეგობრების სიკვდილი, ტკივილი, აფხაზეთის დაკარგვა, გაურკვევლობა, დევნილობა. ეს უმძიმესი სულიერი ტკივილია.

სწორედ ამ ტკივილმა მაპოვნინა ღმერთი. ის, რასაც იქ, ქვეცნობიერში ვეძებდი და ვესწრაფვოდი, აქ აღმოვაჩინე. ღმერთი ყოველთვის მოგვიწოდებდა თავისკენ. ხშირად მწუხარებას უფრო მიჰყავს ადამიანი უფალთან. დაფიქრებული ადამიანი ღმერთს უკავშირდება. მთავარია, ჩვენ შევძლოთ ღვთის ნების ამოცნობა და აღსრულება.

დღეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოადგილე ვარ. ვიცი, აქამდე აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეულმა ტკივილმა და განსაცდელმა მომიყვანა.

მე მონაზონი ვარ. **მონაზონი მხედარია, რომელიც წინა ხაზზე იბრძვის. ამ ბრძოლაში ძალას მმატებს იმის გახსენება, რომ აფხაზეთი დასაბრუნებელია.**

**მორჩილებით, თავმდაბლობით, სიყვარულით ამას მივაღწევთ!**



სოხუმის სანაპირო ღამით

ელა გოჩიაშვილი

## სანიშნობელი

რა გაშინებს, მასპინძელო,
შეგიყრია სოფელი?!
ფშავში მაინც რა დამკარგავს...
მარად ჩემთან მყოფელი,
დგას ძახველი -
ფშავის სევდა -
ჩემი სანიშნობელი.

## ნეტავ, არ გაგღვიძებოდა...

ნეტავ, არ გაგღვიძებოდა,
ისევ ძილქუში გდებოდა,
ჩემო ნიბლია სამშობლოვ...
შენ ხომ წაგილო ალალმა, -
მტრისას! და მტერსაც აშორის!

## გვიან ავწონე

ბალში კი არა, ძეძვის საწოლზე
დავლალე, თურმე, დარდის ჩიტები...
მე ლოდის დინგიც გვიან ავწონე
და საკუთარი მარგალიტებიც.

## კედელი

არავის უნდა, უჩუმარ კედელი იყოს,
და ყველას უნდა, იყოს ჩუქურთმა?!
ვინმე ხომ უნდა დაწვეს ბილიკად
მწვერვალისაკენ... ცისკენ...

ვინმე ხომ უნდა დამთავრდეს ჩუმად,
უსახელოდ და უზარზეიმოდ,
ვინმე ხომ უნდა ჩადგეს საძირკვლად,
ვისაც არასდროს გადააბრწყინებს
ალტაცებული თვალების შუქი;
და მხოლოდ თვითონ ემახსოვრება,
რომ ამოდენა მშვენიერება
მის მკერდზეა დაშენებული...

რად არ გვყოფნის ჩვენივ თავი,
რად არ ვიცით ნამდვილი შენირვა?
რატომ დაჰყვა ასეთი გემო თაყვანისცემას -
მაცდური, ბრმა და დაუშრეტელი?
რომ ყველას უნდა, ხმამაღალი ჩუქურთმა იყოს,
და არვის უნდა, იყოს კედელი.



# ბატონი ხმა

ნუნუ ჯანელიძე



ხმა პირველად მიტოვებული სახლის ნახევრადბნელ სარდაფში მომესმა, როცა, ის იყო, ჩავედი, ჩავიყუნცე და ბეტონის იატაკზე დაყრილი ნივთების დათვალიერებას შევუდექი. სადღაც ძველი ძრავა მეგულებოდა. ვიფიქრე, დავშლი, ეგებ ალუმინი ჰქონდეს, ან სულაც ჯართში ჩავაბარო და კიდევ ერთი დღის დასალევის ფული ვიშოვო-თქვა. სარდაფში სინესტის სუნთან ერთად უსიამო სიჩუმეც იდგა. და ამ სიჩუმეში, უცებ, „ჯემალ"-ო, მომესმა, შევკრთი, მივიხედ-მოვიხედე, არავინ ჩანდა.

ცოტა ხანში ისევ ხმამაღლა, გარკვევით ჩამესმის ჩემი სახელი. ხმა თითქოს ჩემი არსებიდან გამოდის გარეთ და მყისვე უკან მიბრუნდება. ამნაირი რამ მხოლოდ წიგნებში წამეკითხა და ვფიქრობ, რაღაც მეჩვენება და ვაზვიადებ-თქვა. მაგრამ ხმა მარტო დაძახებით არ კმაყოფილდება, პირდაპირ კაცივით მიწყებს ლაპარაკს:

- ჯემალ, ამიერიდან მე ვარ შენი ბატონი და რასაც გეტყვი, უნდა დამიჯერო! გამომყევი!

ძალიან შეშინებული ვარ, ვფიქრობ, სმისგან მოლანდებები დამეწყო. გულში პირობას ვდებ, ახლა თუ გადავრჩი, მერე მე ვიცი, როგორ მოვიქცევი-თქვა.

- რა მოლანდებები, ჩემთან ხუმრობა არ გაბედო! – თითქოს ჩემს ფიქრებს ეპასუხება ხმა.

მაინც უსაქმოდ მყოფი ვიღებ გადავწყვიტილებას, ხმას ავყვე, ვნახო, რას წარმოადგენს.

ხმას, ისე, კარგი შეგირდი ვყავარ. საითაც უნდა, იქით მიმაქანებს. მეც მომწონს უკვე მასთან თანამშრომლობა. მიიოლებს ცხოვრებას, ყველაფერს თვითონ მკარნახობს, ტვინის ჭყლეტა არაფერზე მჭირდება.

ერთი ხანი ხმა მერე არ მეხმიანებოდა. ვფიქრობდი, ყველაფერი მხოლოდ მეჩვენებოდა-თქვა. თანდათან ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდი, წვერის გაპარსვაც დავიწყე, ღიმილის კონტურებიც დამაჩნდა სახეზე. მეგონა, ყველაფერი დასრულდა. ამის გაფიქრება და ისევ მესმის ხმის სისინი:

- ჯემალ, გამომყევი!

არ მინდა, მაინც მივყვები. ხალხმრავალ მოედანზე გავდივარ.

- სამჯერ დაარტყი წრე შადრევანს! - მიბრძანებს ხმა.

- უფრო სწრაფად! - მაჩქარებს კიდეც.

მესამე წრეზე უკვე თავაწყვეტით მივრბივარ. ხალხი გაოცებული მიყურებს.

ბოლოს აქოშინებული ქვის ფილაქანზე ვჯდები, მაგრამ სულის მოთქმას ვინ გაცლის?!.



- ადექი და შადრევანში ჩადექი! - სულთამხუთავივით დამძახის ხმა.

ქანცგაწყვეტილი მივბობღავ შადრევანში. ბავშვები ჟივილით აწყდებიან იქაურობას.

- წამოდი! - მეძახის ხმა.

დაღლილი და გაწუწული მივყვები ჩემს ბატონს. მთელი ქალაქი მე მომჩერებია. ხმა დროდადრო თავს მახსენებს, ხან წინ წასვლას, ხან უკან დაბრუნებას და ხანაც ასკინკილით სიარულს მაიძულებს.

სახლში გვიან ვბრუნდები, ძალაგამოცლილი. არაფრის თავი არ

მაქვს. გათენების მეშინია. დილით უხალისოდ ვდგები.

- ჩაიცვი! – ხმა ისევ თავს დამდგომია.

- კიდევ ჩაიცვი! - რაღაც არ მოსწონს ჩემს ჩაცმულობაში.



შუა ზაფხულია, მაგრამ ხმის კარნახით ჯერ პიჯაკს ვიცვამ, მერე ლაბადას და სახლიდან გავდივარ. ოფლი ხვითქად გამდის, მაგრამ გახდას ვერ ვბედავ, ალმურადენილი წინ მივიწევ. რომელიღაც მხედართმთავრის ცხენიან ძეგლთან ვდგავარ და ხმის ახალ გადაწყვეტილებას ველოდები.

- ადი! - მიყვირის ხმა.

- სად ავიდე, როგორ ავიდე! – უსასოოდ, ლამის, ვტირი.

- ადი, თუ თავი არ მოგძულებია! - ძალადობს ხმა ჩემზე.

ჰო, მომძულებია, მომძულებია და რის ვაი-ვაგლახით ვიწყებ ძეგლზე ასვლას. არ ვიცი, როგორ, მაგრამ მალე ცხენსა და მხედარს შუა ვარ მოკალათებული. ქვევით თავშეყრილი ხალხი ქოთქოთებს. ჩამოდი, ჩამოდიო, ხელს მიქნევენ.

მინდა, მაგრამ ვერ ჩამოვდივარ. ცრემლები უკვე დაპაღუპით მცვივა. ლაბადიანმა რაინდმა შიშისა და სირცხვილისაგან, ლამის, საძრახი რამ ვქნა. ხმა კი ხარხარებს, ისმის სახანძროს სირენის ზრიალიც და ძეგლიდან ძლივძლივობით მხსნიან.

კოშმარი გრძელდება.

ხმა ახლა ჩემს განათლებას იწყებს. ხელში კალამსა და ფურცელს მაჭერინებს.

- წერე! - მეუბნება შთაგონებით.

რაღაცას მკარნახობს, მეც ვწერ. საერთო რვეულს ვავსებთ ლექსებით. ყოველ შემთხვევისთვის, ნაწერს ლექსის ფორმა აქვს. წერაატანილს ამბიციაც გვიჩნდება, ერთ ცნობილ პოეტს გავაცნოთ ჩემი (თუ მისი) ნააზრევი. პოეტს სასაცილოდ არ ჰყოფნის „ჩვენი" შემოქმედება.

ხმა ამჯერად განაწყენებულია, იმედგაცრუებული, მაგრამ პატივცემულ პირს თითქოს იმდენს ვერ უბედავს. ისევ ჩემზე იყრის ჯავრს. ლანძღვა-გინებით ავყავარ ჩვენი ეზოს წინ მდგარ ყველაზე მაღალ ხეზე.

- მაღლა, კიდევ უფრო მაღლა! - არ ცხრება ხმა.

უკვე წვერზე ვარ.

- ახლა თქვი, მე ვარ ყველაზე ძლიერი, მე ყველაფერი შემიძლია! - ბოლო ბრძანებას მაძლევს ხმა.

- მე...

...გონზე რომ მოვდივარ, ლოგინში ვწევარ, ხელ-ფეხი და თავ-ყბა შეხვეული მაქვს. ოთახში სასიამოვნო სურნელი დგას. მაგიდაზე, ცისფერ ლარნაკში, ცოცხალი ყვავილები აწყვია. ფანჯრიდან დღის ნათელი სასიამოვნოდ მოჩანს.

საიდანღაც ხმა ისევ მოძვრება.

- ჯემალ! - წვრილი ხმით ჩემკენ მოიწევს.



- ხმა! ჩაიწყვიტე ხმა! დაიკარგე აქედან! - ვყვირი მე. შეუვალი ვარ და მოუსყიდველი. ხმა გარეთ იძურწება, გალახულივით. მესმის მისი უკვე წკმუტუნი.

თაროზე მტვერდადებულ „ახალ აღთქმას" ვამჩნევ. რის ვაი-ვაგლახით ვიღებ, ლუკას სახარებას დამარცვლით ვკითხულობ:

„ ...თუ თაყვანსა მცემ, შენი იქნება ყოველივე.

მიუგო იესომ პასუხად: დაწერილია: უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე."

საკუთარ ხმას ვაყურადებ. ტკივილის მიუხედავად, ჩემი სულიცა და სხეულიც შვებითა და სიყვარულით ივსება.

სიცოცხლე მიხარია. თანდათან ვფხიზლდები.

# სიმაღლე, ჭუბერზე მეტი

ნანა ჭანტურია



თამაზ გაბუნია

ომში წასულმა არასოდეს იცის გზა, რომელიც მას უკან დააბრუნებს.

არც მე მიკითხავს თამაზ გაბუნიასთვის, როგორია შიში, როცა მას "დიდი თვალები აქვს?"

აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს ყოფილი სახელმწიფო მრჩეველი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სოხუმიდან დევნილი - ბატონი თამაზ გაბუნია დღეს ოჯახთან ერთად სოჭში ცხოვრობს. ერთმანეთს კი აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთში შევხვდით, თამაზის მამისეულ ოჯახში.

ის ბოლომდე ჟიული შარტავას გვერდით იყო, ქალაქის დამცველთა შორის რიგით ჯარისკაცად, ბოლომდე უერთგულა მშობლიურ ქალაქს, თანამებრძოლთ. ამბობს კიდეც, მე ომის გმირებს კი არ ვიგონებ, მე მათ უბრალოდ არ ვივიწყებ.

ახლა, მტერი ყველაზე მეტად გაავებულია ომის დასასრულს; როცა მან იცის, რომ ბრძოლის ველზე რჩებიან ყველაზე დაუმორჩილებელნი, ძნელად დასამარცხებელნი. და ომშიც მათთან გაბრძოლებით უნდა გაიმარჯვოს.

თამაზ გაბუნიამ ერთ-ერთმა უკანასკნელმა დატოვა უკვე დაცემული სოხუმი.

## გიჟია თუ „მაგარი?"

ომი ახალი დაწყებულია; ომი, რომელიც, უფრო ხშირად, ვერ არჩევს ადამიანებს ერთმანეთისგან, ზნეობას უზნეობისგან.

ქალაქი ბუფერულ წარმონაქმნს ჰგავს. ერთი იბრძვის და, შესაძლოა, მოკვდეს; მეორეც იბრძვის და გამარჯვებას არქმევს „თავის ომში პირველობას".

იმ დღეს თამაზის სამეზობლოშიც, ჭანბას ქუჩაზე, გამოჩნდნენ ფორმიან-ბენდენიანი „მაგარი ბიჭები", ომის დაწყებისთანავე ველურებივით რომ მოედვნენ ქალაქს. რატომაა ესეც ომი, „წამალზე შემჯდარნი" რომ დაძრწიან აღმა-დაღმა, ძარცვავენ, აშინებენ: იჯექი შენს ტყავში, არაფერი გინახავს, არაფერი გაგიგონია; არც არაფერი ხდება საინტერესო – ერთით მეტი სახლი იძარცვება, ისიც – აფხაზის!

ინა აიბას ჭიშკარს „რაფითა" და „ვოლგით" მოადგნენ. თამაზს განსაკუთრებული სიახლოვე არასოდეს ჰქონია აიბებთან, მაგრამ ის ხომ იცის, რომ ინა ახლა მარტოა და დაცვა სჭირდება.

არამკითხე გლახაკებს (ისინი დაახლოებით 15-ნი არიან) ეზოშივე აჩერებს მათ შესახვედრად მარტო გამოსული თამაზი:

- თქვენ ამას არ იზამთ და არ შეხვალთ აფხაზის ბინაში! ხვალ წახვალთ ჩვენი ქალაქიდან, ჩვენ კი ჭირიცა და ლხინიც, როგორც ადრე, ისევ საერთო უნდა გვქონდეს!

ამას კი ვერ წარმოიდგენდნენ ეს ბედოვლათები! ახლა მარტო იმის გაგება უნდათ, ის, ერთი, ყველას წინააღმდეგ, მათ „ავტორიტეტს" რომ შეეხო, გიჟია თუ „მაგარი?". რამდენიმეს ავტომატისკენ მიაქვს ხელი, მაგრამ თამაზსაც, მათ დაბრეცილ მზერას თვალს რომ არ აშორებს, ჩახმახთან აქვს ხელი მიდებული და, როგორ ეტყობა, რომ არაა უკან დამხევი! ახლა ეზოს მოჩვენებითი სიმყუდროვე მხოლოდ ამ ვაჟბატონთა ხელშია.

ყველაზე ცუდი შედეგის მოლოდინში მისტიკას უფრო ჰგავს ამ დროს ავტომატიანებს შორის ერთ-ერთის წამოსროლილი ფრაზა:



- ბიჭებო, სახლების მეტი რაა?! თითო ქალაქს გიჟიც თითო-ოროლა ჰყავს. აბა, წავედით!

როგორც იტყვიან, ბრმების ქვეყანაში ცალთვალა ჭკუიდან გადადისო. ჰოდა, იმ „ერთი გიჟის" ნება-სურვილს დაეკიდა „ბრმების ქვეყანაც" და აიბების ბედიც. ჭირისა და ლხინის თანაზიარი ის „ხვალ", თამაზს რომ ეგონა, აღარ მოვა. ნუთუ აფხაზმა ინამაც დავიწყებული მეხსიერებით გააგრძელა ცხოვრება?

## ცის „ეკრანზე" მიხატული ნაკვერჩხით



მტერი ქალაქშია შემოსული და ნელ-ნელა, მაგრამ გათვლილი სტრატეგიით მიიწევს მთავრობის სახლისკენ. სოხუმის დაცემამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. ჟიული შარტავა და „მისი ბიჭები" მათ იმედად დარჩენილი დაუცველი ქალაქისათვის ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოლებენ.

რუსეთის სამამულო ომის დროს წარმატებული უკან დახევისთვისაც კი ჯარისკაცებს თურმე კუტუზოვის ორდენით აჯილდოებდნენ.

ალყის პერიმეტრები თანდათან მცირდება და მტერი სულ უფრო საშიში ხდება. რამდენს უნდა მოერიოს, გაუმკლავდეს 70-მდე ქართველი? რა მოხდება 5-10 წუთის, 1 საათის შემდეგ? დრო, ისედაც ცოტა, უმძიმესი დასასრულისკენ მიდის.

მთავრობის სახლის მაღლივი კორპუსიდან დანახული ზღვისპირა პეიზაჟი ძველებურად ლამაზაია, ქალაქიც, „სადაც ყველაზე გემრიელი წყალი და ჰაერია. ქალაქი, სადაც ისე ტკბილად გძინავს, როგორც არსად. ქალაქი, სადაც ისეთი მეზობლობა, ნათესაობა, ძმაკაცობა იციან, როგორც არსად. მე მზად ვარ სიკვდილისთვის და ვკვდები შეგნებულად; არ მინდა, შემდგომში რომელიმე უცხვირპირო ქართველმა, სოხუმელმა, რომელმაც ბევრი უღირსი საქმე ჩაიდინა, ჩემს შვილს წამოაყვედროს: მამაშენი უბრძოლველად გაიქცა სოხუმიდან"*, - დაწერს მოგბიანებით თამაზ გაბუნია.

თუ გტკივა და გიყვარს, თამაზ გაბუნიასავით ასე უნდა გტკიოდეს და გიყვარდეს.

მტერსაც სხვა არაფერი შეუძლია; შური იძიოს მაშინ, როცა ყველაზე მეტად გიყვარს, ყველაზე მეტად ერთგული ხარ. სოხუმი მანამდეა შენი, ვიდრე ტყვია-წამალი არ გამოგელევა, ვიდრე „არ ეტყვიან" მტერს, რომ ლამაზად სიკვდილი სიცოცხლის, ამქვეყნად ყველაზე დიდი სიკეთის, ნიჭია.

ალყიდან 20-მდე მეომარი აღწევს თავს.

მათგან რამდენიმე მთავრობის სახლის მარცხენა ფლიგელის უკანა კედლით ფრუნზეს ქუჩაზე მდებარე პატარა სკვერში გადადის და გაზონებში წვება. ოქტომბრის ქუჩიდან, ფუნიკულიორიდანაც ინტენსიური სროლები ისევ გრძელდება.

ამ ვითარებაში, როცა მტერთან მანძილიც თითქმის არ გაშორებს, რაიმე შედეგზე ორიენტირება, მცირედის გათვლაც თითქმის წარმოუდგენელია. უცებ ჭავჭავაძის ქუჩიდან თამაზი ავტომატიან უცხო პირს ამჩნევს. ასეთი წუთები არანაირი გაანალიზების დროს არ გიტოვებს და თამაზიც, გზაჯვარედინთან რომ დგას, ინსტიქტურად ეკითხება ქართულად: სად მიდიხარ?

მომენტალურად ისმის ავტომატიდან გასროლის ხმა და მამაკაცი მოწყვეტით ეცემა ბუჩქებში; თამაზის ბიჭებიდან ერთ-ერთმა, ინტუიციამ რომ არ უღალატა, თურმე დაასწრო იმ უცნობს, რომელიც მოწინააღმდეგე ყოფილა. არადა, მის უკან სხვაც მდგარა.

გარდაუვალ სიკვდილს გადარჩენილი თამაზი სროლის ხმაზე ახლა მეორისკენ ტრიალდება. უფრო დაღესტნელს ჰგავს, მაღალია და საოცრად ეჭვიანი თვალები აქვს. იმდენად ახლოს არიან ერთმანეთისგან, მზერაში ზიზღსაც კითხულობს; თამაზი ლულასაც ამჩნევს, ორიოდე ნაბიჯში მისკენ მოღერებული ავტომატის ლულას.

ამ დროს ხდება ის, რასაც თამაზი ვერც მომავალში ვერასოდეს ახსნის, სახელსაც ვერ დაარქმევს. დროსა და რეალობას აბსოლუტურად მოწყვეტილი უჩვეულო სანახაობის შემსწრეა, რომელსაც მის გარდა იმ წამებში ვერავინ გააცნობიერებს, ვერავინ აღიქვამს.

...თამაზის წინ მდგარი უცნობის თავზე, სადღაც სივრცეში, ეკრანი იკვეთება. კინოფირის ჩაჭრილ-ჩაკბილულ გვერდებსაც ხედავს და ერთმანეთს ენაცვლება სტატიკური ფოტოკადრები: ეკრანზე პირველად სეფიეთის ეზო ჩნდება, სათუთად მოვლილი ყვავილებით, სიმწვანით. იქვე, მოშორებით, სოფლის მოედანზე ბიჭებიც დგანან, პატარა ფეხბურთელები. ერთ-ერთი, ხელში ბურთი რომ უჭირავს, ძალიან ჰგავს მას. უფრო სწორად, თვითონაა ბავშვობაში. მერე დრანდის სახლს ხედავს, სოხუმის ხედებსაც, სანაპიროსაც...



„ცაზე გაკრულ ეკრანს" წამიერადვე ხმაური შლის და თამაზიც ფხიზლდება. მოწინააღმდეგს

* - ფრაგმენტი თამაზ გაბუნიას პუბლიკაციიდან „გასვლისას უკან მოიხედე".



თურმე ავტომატში ტყვიები გაეჭედა; იარაღს ფეხებთან უგდებს თამაზს და გარბის.

ის თამაზზე ბევრად ახალგაზრდაა, მაგრამ იმდენად რა მანძილზე უნდა გაიქცეს, რომ განიარაღებული მოწინააღმდეგის ტყვიას გადაურჩეს. და თამაზიც უმიზნებს...

მაგრამ ღვთის მადლით ზოგჯერ ყველაზე განწირულიც ბედის მებიერაა. ასე ცვლის თამაზი ომი მძიმე ეპიზოდს:

- უფალმა ხომ სულ ცოტა ხნის წინათ სიცოცხლის შანსი მე მომცა, როცა მას ავტომატი გაეჭედა. ახლა მე არ უნდა გავისროლო და ეს მისი შანსი იქნება. მერე რა, რომ მტერია. არ მოკლა, თამაზ, დაბრუნდი, იცოცხლოს!..

თამაზი ჩახმახიდან ხელს იღებს... „და მიხსნა ჩუენ მტერთა ჩუენთაგან, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი," „ადიდეთ ღმერთსა ცათასა, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი".

## საიდანაც სამშობლოში დევნილობა დაიწყო

სოხუმი ახლა ძალიან შორსაა. გოლგოთის სიმაღლეა საჭირო, რომ ლათა-ჭუბერის გზაზე ერთმანეთის ომი გადაიტანონ.

სამშობლოში დევნილობა ამ ტიტანური აღმართიდან დაიწყება. „არაჩვეულებრივი ფაშიზმის გზაც" აქ გაიჭრება, რომ ციცაბო ბილიკმა გააგრძელოს 13-თვიანი ომი; მოგაგონოს, რომ სული და ხორცი თანაბარი საზიდი არაა.

**...თამაზი** მოკლემკლავიანი პერანგით არის; თავისი ქურთუკი გურამს მისცა, დაბამბული შარვალი „კახელოს"; ლათას უკვე ვერ აივლის, საკმაოდ ცივა. მაგრამ ჯერ არ იცის, რომ ომი ჭინჭებზე დახურდავებულ ადამიანთანაც შეახვედრებს.

„იკარუსი", ლათა-საკენის დაგრაგნილი გზის თითქმის ორლესულ ჭიუხთან შეჩერებული, სავსეა სხვადასხვა მარკისა და დიზაინის უცხოური პერანგებით, ქურთუკებით, კოსტიუმებით. ჰალსტუხებიც კი ცალ-ცალკეა დაკიდებული. ისე, როგორი სასაცილო და ეშმაკისგანაა შეგულიანებული აჩონჩხილი „სამზითვო" დევნილობადაწყებულ ავბედით გზაზე.

თამაზი თხოვნით მიდის „მოძრავი გარდერობის" პატრონთან. თანაც, დარწმუნებულია, რომ რაღაცას, თუნდაც, ყველაზე ნახმარს, გაიმეტებს მისთვის.

თურმე, შეიძლება, ისეთი დასჯილი დაიბადო, რომ უმძიმეს წუთებშიც ტკივილი არ შეგეხოს და ამით სული დაიმძიმო. თხოვნაზე, რაიმე გაიღოს, უპოვართა შორის „სასაცილო მდიდარი" უარს ამბობს.

თამაზს გულის ჯიბიდან პასპორტიც კი ამოაქვს:

- ნებისმიერ მისამართზე მოგძებნით, ჩამოვალ, დაგიბრუნებთ, არ გაგიფუჭებთ... ძალიან მცივა.

დიალოგი იმით მთავრდება, რომ საცოდავმა მეჭინჭემ ყველაზე მეტად საკუთარი თავი არ შეიბრალა და გარდერობიდან თამაზისთვის ვერაფერი გაიმეტა.

**...კაცურად** ხელის ჩამორთმევა მარტო კაცურ კაცს შეუძლიაო. „ჭანბელ" კოტე ჭანიას, უკვე დევნილს, ამქვეყნად არაფერი აბადია კოსტიუმისა და ბუშლატის მეტი და ისიც გასაყოფად ემეტება. თამაზს ეუბნება, თითო-თითო გავინაწილოთო.



ის ქუჩა, ერთი რომ ჰქონდათ, სოხუმშია დარჩენილი. ახლა, როცა ათასებთან ერთად და ერთმანეთის გაფრთხილებით მიუყვებიან ამ აღმართს, იცის კოტემ, „დასჯილი კაცისგან" განსხვავებით, რომ იმაზე ბევრად უკეთესი უნდა გახდეს, ვიდრე იყო, თუნდაც, გუშინ.

წლების მერე იმ ბუშლატის გარეცხვის უფლებას არავის მისცემს თამაზი, კისერთან ახლაც ვგრძნობ „ჭუბერის ოფლსო".

რას დააკლებ იმ ერს, სული ხორცზე მაღლა რომ დაუყენებიაო, უთქვამს ერთხელ შაჰ-აბაზს. ესაა ფენომენი, რომელიც ვერც მტერმა და ვერც მტრადმოქცეულმა მოყვარემ ვერასოდეს დაჯაბნა ქართველში.

გამოცდა იყო ჭუბერიც, სადაც შიშის, სიცივის, შიმშილისა



და სიკვდილისთვის გამეტებულნი – დიდი და პატარა, ქალი და მოხუცი, ხეიბარი და დაჭრილი – იყვნენ მათ იმედად, რომლებმაც ომში დამარცხების შემდეგ ჭუბერის კლდოვან აღმართზე ერთმანეთს უერთმანეთობა შეუმსუბუქეს. სიკეთით ძლიერმა ამ უღელტეხილზე ბევრი იხსნა.

**...სოხუმელმა** ცომაიამ (თამაზს სახელი არ ახსოვს) საკენამდე საკუთარი „რაფით“ ტომარა ფქვილი, შაქარი, გაზის ბალონები აიტანა და ზედ გზის პირზე „პურის საცხობი“ მოაწყო (ცოლიც თან ახლდა).

ღია ცის ქვეშ დარჩენილი, სხვებივით უსახლკარო „მასპინძლები“ ჩქარობენ: რაც შეიძლება, მეტი დააპურონ, მეტს თანაუგრძნონ, უთხრან ამ ადამიანებს, რომ სიყვარულისთვის ომს ყოველთვის კეთილი ადამიანები იწყებენ. ცხელი პურიც იქვე ქრება.

სასწაულები მარტო ტიბერიის შემოგარენში არ ხდება, როცა მთაზე ასული მაცხოვარი 5 პურით 5000 დამშეულს აპურებს. „უპურო ქვეყანაში“ ცომაიებმაც პურის რიგი გააჩინეს.

**...თამაზ გაბუნია** უზნეო კაცუნების პოლიგონზე დიდხანს ყოფნას ვერასოდეს უძლებდა. „ვერგაძლება“ კი იმას ნიშნავდა, რომ არამზადას მისგან საკადრისი უნდა მიეღო.

მიუყვებიან ადამიანები აღმართს და უცებ გზა ხელოვნურად იხერგება – ერთმანეთს გადაჯაჭვული 10-15 მამაკაცი სვეტად დგება მათ წინ. ისეთი ვიწრო ბილიკია, გვერდს ვერაფრით აუვლიან. „ჯაჭვის ავტორებს“ შორის არიან ფორმიანებიც, უფორმონიც, ახალგაზრდებიც, ასაკოვანნიც და ყველას ავტომატი აქვს მომარჯვებული. ბედავენ და „ამა ქვეყნის ძლიერთა“ სახელით ურცხვად ძარცვავენ ქალსაც და კაცსაც, ნებისმიერს, ვისზეც ადვილად ძალადობენ.

თამაზს ამ სიტუაციაშიც არ შეუძლია უმოქმედობა, გაჩუმება. მზერით ირჩევს მათ შორის ყველაზე მაღალს, ათლეტურს, მაგრამ გამომეტყველებით უტიფარს, უახლოვდება და თვალს თვალში უყრის, უარესად, ვიდრე ეს იყო აიბების ეზოში. ახლა თითოეულმა წამმა, შესაძლოა, ყველაფერი ააყირავოს. თამაზი ჯიუტად არ იცვლის ფეხს ადგილიდან, მის წინ მდგარიც გაშეშებულ პოზაშია და უცებ... ჯაჭვი წყდება და ატარებენ თამაზს, რომელიც შეუფერხებლად აგრძელებს გზას. მაგრამ ამას არ ჯერდება:

- ბანძუკები და მთხლეები, აი, ვინ ხართ თქვენ! მაგრები რომ ყოფილიყავით, იქ იქნებოდით, სადაც ბევრი იყო, სადაც ჩვენ ვიყავით.

რასაც მათზე ვფიქრობდი, ხმამაღლა უნდა მეთქვა; ალბათ, დიდი ფანტაზია დამჭირდება იმისთვის, რომ წარმოვიდგინო, იმ წუთში მე თვითონ როგორი სასტიკი გამოხედვა მქონდა. ბუშლატში დანა მედო, არც უკან დამხევი ვიყავი; ეტყობა, ესეც მეწერა სახეზე, - იტყვის ჩემთან საუბარში თამაზ გაბუნია.

პიროვნება მისთვის „სირცხვილის ხაზით“ იზომება. ზოგს იგი, თურმე, ზღვრულზე მეტი აქვს, ზოგსაც ნაკლები. მერე უკვე თითოეულ ნაბიჯს ამის მეტ-ნაკლებობა განსაზღვრავს.

გოლგოთის გზაზე ზოგმა მთის სიმაღლე დასძლია, ზოგმაც – მხოლოდ თავისი. და, რაც მთავარია, ადამიანები ცხოვრებას ერთმანეთის თვალებით შეახედა.

P.S. სოხუმის დაცემიდან რამდენიმე თვეში თამაზ გაბუნია ერთჯერად გაზეთ "უკვდავებაში" აქვეყნებს პუბლიკაციას სათაურით "გასვლისას უკან მოიხედე". იმ დღის შემზარავ კადრებთან ერთად ავტორი იგონებს "ბიჭებს, ჟიული შარტავასთან ერთად ალყაში ნებაყოფლობით რომ შევიდნენ":

"გურამ კვარაცხელიას საქციელს სკოლის სასწავლო პროგრამაში შევიტანდი. მაშინ, როცა უკვე გენერლებიც გარბოდნენ, ამ ახალგაზრდა კაცმა ბრძანების გაცემის გარეშე არ მიატოვა საბრძოლო პოსტი.

20 წლის "ცხვირმოუხოცავ" რიგით ჯარისკაცს - ზვიად ძაძამიას შეეძლო ქალაქიდან გაქცევა, მაგრამ შარტავა, ბიჭები არ მიატოვა. ასევე, მოიქცნენ ზურაბ ქომეთიანი, ავთო კვარაცხელია, აკაკი გასვიანი, ზურაბ სუბელიანი, დემურ აკიშბაია, თბილისელი - შოთა ქობულაშვილი, ბათუმელი - კობა ბედინეიშვილი"...

დანარჩენები დაიღუპნენ.

უღმერთოდ ცოტანი და ცოდვანი იყვნენ ზურგშექცეული ქალაქისათვის. ძლიერი კი მაშინ ხარ, როცა იმარჯვებ სხვების წაგებულ ომში. ასეთია თამაზ გაბუნია, ვისი უკან მოსახედი გზა ამ პუბლიკაციაში მოყოლილი ეპიზოდებივით მართალია.




სერგეი ესენინი

რუბრიკას «წერილი მეგობარს» ვაგრძელებთ დიდი რუსი პოეტი-ლირიკოსის - სერგეი ესენინის წერილით, რომელიც მან გაუგზავნა თავის ბავშვობის მეგობარს, გრიგორი (გრიშა) პანფილოვს.

სერგეი ესენინი მაშინ მხოლოდ 18 წლის იყო.

ესენინი და პანფილოვი ერთად სწავლობდნენ სპას-კლეპიკოვსკის ორკლასიან სასულიერო სასწავლებელში. მეგობარზე 3 წლით უფროსი პანფილოვი ესენინის მუდმივი თანამოსაუბრე, აზრების გამზიარებელი და, როგორც ჩანს, კარგი მსმენელიც იყო. ესენინის ბიოგრაფები თვლიან, რომ მისი, როგორც პოეტისა და მოაზროვნის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის პანფილოვს. ამის დასტურია მეგობრისადმი მიწერილი 19 წერილი და მიძღვნითი ლექსები.

სამწუხაროდ, გრიშა პანფილოვი, ჭლექით დაავადებული, ადრეულ ასაკშივე გარდაიცვალა (რამდენიმე თვეში იმ წერილის მიღებიდან, რომელსაც ვაქვეყნებთ).

თითქოს გვესმის პოეტის გულის გმინვა: «ჭლექისგან კვდება პანფილოვი, ჩირაღდანი ჩემი ცხოვრების» (ფრაგმენტი ლექსიდან).

ნიშანდობლივია, რომ პანფილოვის საფლავზეც ესენინის ლექსის სტრიქონებია ეპიტაფიად ამოკაწრული:

«ჩვენო ძვირფასო მეგობარო, იძინე მშვიდად და დაგველოდე შენთან ჩვენც მალე».

ორი გლეხი ბიჭის, გენიისა და პოეტური ბუნების ადამიანის ხანმოკლე მეგობრობის წლები ნათელი და აუმღვრეველი იყო. თუმცა, კითხვებზე პასუხი - «რატომ ვცხოვრობთ?» «რა არის ცხოვრების არსი?» - ახალგაზრდა პოეტმა ვერც მაშინ (როცა ამ წერილს წერდა) და ვერც მერე, ცხოვრების უფრო  დიდ სარბიელზე გასულმა, იპოვა.

თარგმნა ნანა ჭანტურიამ

## ძვირფასო გრიშა!*

მაპატიე, რომ ამდენი ხანი წერილზე არ გიპასუხე. ცოტა ვიავადმყოფე.

გრიშა, ახლა მე ვკითხულობ ბიბლიას და იქ ბევრი სიახლე აღმოვაჩინე... ქრისტე ჩემთვის სრულყოფილებაა. მაგრამ მე სხვებისგან განსხვავებულად მჯერა მისი. მათ, იმ სხვებს, სწამთ შიშის გამო: რა იქნება სიკვდილის შემდეგ? ჩემთვის კი ის ნათელი გონებისა და კეთილშობილი სულის ადამიანივით სუფთა და ამაღლებულია.

ცხოვრება... მე არ მესმის მისი დანიშნულება. არც უფალმა ახსნა ცხოვრების არსი. მან მხოლოდ მიგვითითა, როგორ ვიცხოვროთ.

მაგრამ ამით რას მიაღწევ, არავინ იცის.

მაგრამ ჩვენ ხომ ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რატომ ვცხოვრობთ?

მე ვარ ადამიანი, რომელმაც შეიცნო ჭეშმარიტება... „მე“ ვარ „შენ“. მე შენში ვარ, შენ კი ჩემში. იგივეს ამტკიცებდა ქრისტე.

ოჰ, გრიშა! რა უაზროდ მეჩვენება ხანდახან ჩვენი ყოფა. ის ჩვენ აკვნიდანვე გვამახინჯებს და ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანების ნაცვლად რაღაც გონჯები გამოვყავართ.

ადამიანში რომ არ ყოფილიყო „მე“-სა და „შენ“-ის გონიერი აღქმა, არც ქრისტე დაიბადებოდა და სრულყოფილი სიკეთის პირობებშიც არ იარსებებდა დამღუპველი ჯვრები და სახრჩობელები. აბა, შეხედე, ვინ ვის აკრავს ჯვარზე? ვინ და ვის – ისევ და ისევ, შენ ან მე. მხოლოდ გონებითა და სულით ავადმყოფს არ ძალუძს ამის აღქმა.

შენსა ან ნებისმიერის მდგომარეობაში მყოფმა გადაამოწმე საკუთარი თავი: მოიქცეოდი თუ არა იმ სხვასავით და მაშინ შეიმეცნებ ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებას, რომ: „მე“ ვარ „შენ“.

მე გიჟად მთვლიან და ფსიქიატრიულშიც დამიპირეს წაყვანა, მაგრამ ყველანი სათითაოდ სატანასთან გავაგზავნე; და ვცხოვრობ ასე; ზოგიერთს აშინებს კიდეც ჩემთან სიახლოვე. ალბათ, გესმის, რამდენად მძიმეა ეს, თუმცა იძულებული ხარ, ამას შეურიგდე და ილოცო შენი მოძულეების გამოც.

ჰო, გრიშა, გიყვარდეს და გებრალებოდეს ადამიანები – დამნაშავეებიც, არამზადებიც, ცრუპენტელებიც, წამებულებიცა და წმინდანებიც: ხომ შეიძლება, შენც ნებისმიერი მათგანი ყოფილიყავი. ამიტომაც გიყვარდეს მჩაგვრელები არა მათი სამარცხვინო დამღით, არამედ სიფაქიზით აღმოაჩინე მათივე ადამიანური ავადობანი.



* - იბეჭდება მცირე შემოკლებით.



გრიშა პანფილოვი და სერგეი ესენინი.
1906 წელი.

არასოდეს აარიდო თავი სიმაღლიდან დაშვებას, რადგანაც, ვიდრე ფერხთქვეშ ფსკერს არ იგრძნობ, მასზე წარმოდგენასაც ვერასოდეს შეიქმნი.

მხოლოდ იმ ადამიანს გაუგებ, ვის ნაცვლადაც თავს წარმოიდგენ. ყველა ადამიანი – ერთი სულია. ჭეშმარიტება ჭეშმარიტებად უნდა დარჩეს, რის მიღმა სამანს ვერასოდეს აღმოაჩენ, რადგან ის თავადაა ალფა და ომეგა.*

ცხოვრებაში მუდამ უნდა ეძიებდე და ისწრაფვოდე. ამის გარეშე სიკვდილი და გახრწნაა.

ადამიანმა თუ გადასატანი არ გადაიტანა, ჭეშმარიტებას ვერასოდეს შეიმეცნებს. ჭეშმარიტება წარმოუდგენელია სინათლის გარეშე და სინათლეც ჭეშმარიტების გარეშე, რადგანაც სინათლე ჭეშმარიტებიდან მოდის და პირიქით – ჭეშმარიტება სინათლიდან.

როგორ წარმოგიდგენია ამქვეყნიური სიკეთე? რატომ უნდა მშურდეს გამორჩეული ნიჭის - „მე“ ხომ „შენ“ ვარ, შენს მიერ მიღწეული კი ჩემთვის უკვე მიღწეულია.

შენი სიმდიდრე ჭეშმარიტებაშია და მეც შემიძლია, მივაღწიო იმას, რასაც შენი სული ფლობს.

ცოცხალი სიტყვა აღვიძებს ძილ-ღვიძილით მოთენთილ სულს და აგრძნობინებს მას საკუთარ უსუსურობას. ასე აახელს მთვლემარე გონება სინათლის ჭეშმარიტებით დაბრმავებულ თვალებს და უკვე არასოდეს დახუჭავს მათ; წყვდიადი, რომელშიც ის იმყოფება, მხოლოდ უბედურებას უქადის, მაგრამ უკვე მოპოვებული სილაღით გამოფხიზლებული სული ბევრ გასაჭირს დაძლევს. მერე კი თამამად მიდის სიმართლისკენ, სიკეთისკენ და თავისუფლებისკენ.

ამაშია ადამიანური სიცოცხლის გამოცანა. შორს ჩვენგან სულმოკლეობა! თითოეული გონიერისთვის და ნებისმიერისთვისაც ერთი ჭეშმარიტებაა: „მე“ ვარ „შენ“. ვინც ამას შეიმეცნებს, მისთვის არანაირი აუხსნელი საიდუმლო არ არსებობს.

ამას რომ აცნობიერებდნენ ადამიანები, მით უფრო, სწავლულები და გონიერები, არ იქნებოდა სისხლისღვრა და ძმა ძმას არ ექცეოდა მტრად.

ამის მერე ჭეშმარიტების აღდგენა შეუძლებელია ძალადობით, რადგანაც ჭეშმარიტება მხოლოდ ჭეშმარიტებაშია.

გახსოვდეს, უნდა იცხოვრო ისე, თითქოს მალევე უნდა მოკვდე, რადგანაც ამაზე გადის საუკეთესო გზა ჭეშმარიტებისკენ.

ხედავ, გრიშა, ჩვენზე მინდოდა მესაუბრა, მაგრამ გონებამ და კალამმა სხვაგან გამიტყუა.

ჭეშმარიტების სინათლემ თავისი საუფლოსკენ წამიყვანა იქ, სადაც კარგად გრძნობ თავს, სადაც ლაღად და თავისუფლად სუნთქავ; მაგრამ სადაც არ გაწამებს სინდისის ქენჯნა, რაც ბოროტებითა და უგუნურობით გაბრუებულ ადამიანთა ხვედრია.

ეს არის ცხოვრებაც, რომელიც საზღვრავს მიზანს, თავსა და ბოლოს, ალფასა და ომეგას.



შენი სერგეი
მოსკოვი. აპრილი. 1913 წ.

* - რისამე თავი და ბოლო.



გურამ პეტრიაშვილი

გურამ პეტრიაშვილის უღმერთოდ კეთილი პერსონაჟები, გუდა-მეზღაპრის ჩანთიდან, უერთმანეთოდ და ტკივილის გარეშე არსებობის უაზრობას გახსენებენ მუდამ, იმასაც, რომ ადამიანად ყოფნა არ გაგიჭირდეს ამ შეუწყნარებელ წუთისოფელში.

უკვე ჩავლილ გზაზე გურამ პეტრიაშვილი ისევ რომ გაატარო, ყველა წაგებულ თუ მოგებულ ომს თავიდან იმიტომ დაიწყებს, რომ სიმართლე მისთვის რწმენაზე მეტად ძალაა.

«მოგონებათა წიგნი», რომელზეც მწერალი დღეს მუშაობს, მისი თქმით, მონოლოგი-აღსარებაა საკუთარ თავთან, იმ ახლობელთა, თანამოკალმეთა, ეროვნული მოძრაობიდან იმ თანამოძმეთა წინაშე, შემოქმედის ბიოგრაფიაში სამახსოვრო შტრიხები რომ დატოვეს.

რუბრიკით «შეხვედრა მომავალ წიგნთან» «გადავფურცლავთ» გურამ პეტრიაშვილის ჯერაც დაუბეჭდავ გვერდებს, სადაც წარსულში დაბრუნებით ავტორი ბატონ მიხეილ კვესელავასთან ზიარებისა და შეხვედრის ბედნიერ დღეებს იგონებს.

მიხეილ კვესელავა - ცნობილი ქართველი მწერალი, პროფესორი, ევროპული ენების მცოდნე, როგორც კვალიფიციური გერმანისტი, ნიუნბერგის პროცესის ახალგაზრდა მონაწილე და თარჯიმანი, ბრწყინვალე ტრილოგია «ას ერგასის დღის» ავტორი და ლიტთეორიაში ფუნდამენტური მონოგრაფიების შემქმნელი, კინოსტუდია «ქართული ფილმის» დირექტორი, უცხო ენათა ინსტიტუტისა და თეატრალური ინსტიტუტის რექტორი - დასახელებაში არაფერი იმიტომ არ გამოვტოვეთ, უფრო მთავარი რომ გვეთქვა - ამ რეგალიებისა და ინტელექტის უკან ზნეობრივი თვისებების მატარებელი პიროვნება იდგა.

მიხეილ კვესელავას გახსენებისას მისი თანამედროვე და სულიერი მეგობარი, ცნობილი კინოდრამატურგი რეზო კვესელავა დაწერს:

«პატივს სცემდა გონებას, ნიჭიერებას, ინდივიდუალობის ყოველ გამოვლინებას, სახიფათოსაც კი. მახსოვს, როგორ დაადგა თვალი მან გურამ პეტრიაშვილს, როგორც მარტინ იდენს».

ახლა კი მოვუსმინოთ ბატონ გურამ პეტრიაშვილს.

# ...და წავედით

## გზა ეროვნული მოძრაობისაკენ – მიხეილ კვესელავა, ზვიად გამსახურდია...

გურამ პეტრიაშვილი

1963 წელი იყო.

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ ვიდექით მეოთხეკურსელი მათემატიკოსები.

როგორც მახსოვს, ათამდე კაცი ვიყავით.

ამ ჯგუფისთვის შეიძლებოდა, გვეწოდებინა „კინოს მოყვარულთა ჯგუფი“. ჯგუფს ჰყავდა თავისი ლიდერი - ლედი აბჟანდაძე.

ლედიმ ყოველთვის იცოდა, თუ სად გადიოდა ყველაზე ახალი და ყველაზე საინტერესო ფილმი; და საითაც გაგვიძღვებოდა, უთქმელად მივყვებოდით.

აღმოჩნდა, რომ იმ დღეს კინოში ვერ მივდიოდით, რადგან ყველა ახალი და საინტერესო კინოსურათი უკვე ნანახი გვქონდა.



(მარცხნიდან) ოლეგ პეტრიაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, სულიკო გველესიანი

ვიდექით და ვსაუბრობდით.

ამ დროს ჩვენთან მოვიდა უცხო ენების ფაკულტეტის სტუდენტი - ირინა იზუმოვა.

თავის დას ეძებდა.

მისი და ჩვენს კურსზე სწავლობდა. თან ფრიადოსანი იყო და თან ყველასათვის საყვარელი საამხანაგო გოგო - დარეჯან იზუმოვა.

ირინამ ჩვენს შორის რომ ვერ ნახა თავისი და, მერე გვკითხა, ხომ არავის გინდათ, მიხეილ კვესელავას ლექციას დაესწროთო.

ამ გვარის გაგონება მაინცადამაინც არავის გაგვხარებია; იმიტომ, რომ ყველას გვქონდა ჩაბარებული დავით კვესელავასთან გამოცდა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიაში.

საგანმა საკმაოდ გაგვაწამა: უამრავი ურთულესი თეორემა უნდა გვესწავლა.

შემჩნეული მაქვს, სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც სიმპათია-ანტიპათიები ადვილად გადადის საგნიდან მის მასწავლებელზე და პირიქით: მასწავლებლიდან საგანზე.

მხოლოდ მე ვკითხე, სასხვათაშორისოდ, რა ლექციას კითხულობს მიხეილ კვესელავა-მეთქი.

- შარლ ბოდლერზე, - მითხრა ირინამ და თვალები

გაუბრწყინდა. ეტყობა, წარმოიდგინა, თუ რამდენი სიამოვნების შემცველი იქნებოდა ის ლექცია.

და მე მივიღე გადაწყვეტილება, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში.

ირინას ვუთხარი:

- მე მოვდივარ!

ხუთი წუთიც კი არ იყო გასული იმ ლექციის დაწყებიდან, როცა მომეჩვენა, რომ კათედრაზე პროფესორი მიხეილ კვესელავა კი არა, თვით შარლ ბოდლერი იდგა, რომელიც თავისი სევდიანი თვალებით გვიცქერდა და გრძელი შავი ლაბადის კალთებს აფრიალებდა.

მანამდე არ მინახავს უფრო შთამბეჭდავი სანახაობა...

ბატონი მიხეილი მხოლოდ უკიდეგანო ცოდნის პატრონი კი არ იყო, არამედ, ასევე, უკიდეგანო, მთელი სამყაროს დამტევი გულის მქონე ადამიანიც.



(მარცხნიდან) რეზო კვესელავა (კინოდრამატურგი) და მიხეილ კვესელავა

ამასთანავე, იგი იყო არტისტი, ამ სიტყვის ყველაზე წმინდა, ამაღლებული, რომანტიული გაგებით.

ერთი სიტყვით, იმ ღამეს ვერ დავიძინე.

ლექსებს ვწერდი.

საერთო რვეული არა, მაგრამ თორმეტფურცლიანი რვეული კი გავძეძგე ლექსებით.

ცნობისათვის:

სკოლაში ლექსებს, ცხადია, მეც ვწერდი ყველა ქართველი მოზარდივით, მაგრამ მათემატიკის ფაკულტეტზე რომ გადავწყვიტე ჩაბარება, ყველა ლექსი დავხიე.

საბედნიეროდ, თურმე, დეიდაჩემმა დამიმალა მაშინ რამდენიმე ლექსი და მერე გამომიჩინა.

მას შემდეგ ლექსებზე აღარ მიფიქრია...

და აი, ახლა...

დილით რომ წავიკითხე, რაც ღამით დავწერე, მომეჩვენა, რომ ურიგო არ იყო.

ჰოდა, გადავწერე ლამაზად, ლექსები ერთმანეთისგან გამოვყავი და წავუღე იმას, ვინც ჩემში, ჩემდა მოულოდნელად, ლექსებზე მოფიქრალი ადამიანი გააღვიძა.

თან აი, რას ვფიქრობდი: ბატონი მიხეილი არა ჰგავს ისეთ კაცს, რომელიც დამცინებს, მაგრამ რაღაცით მაინც ვიგრძნობ, თუ არ მოეწონა ლექსები და თუ ნამდვილად არ მოეწონა, აღარასოდეს ლექსებისაკენ აღარ გავიხედავ-მეთქი.

ბატონი მიხეილი არც ისეთ კაცსა ჰგავდა, რომელსაც შეეძლო, დაემალა თავისი გრძნობები და სიმპათია-ანტიპათიები.

ერთი სიტყვით, მას ნამდვილად მოეწონა ჩემი ლექსები და რადგან ყოველი საქმე ნიჭთან ერთად ხელობის ნიუანსების ცოდნასაც მოითხოვს, მტკიცედ გადავწყვიტე, რომ შევისწავლიდი სამწერლობო ხელობას.

მერე ერთხელაც ვიფიქრე, იქნებ, შევეცოდე ბატონ მიხეილს და არ მითხრა, რომ ლექსები არ მივარგა-მეთქი; გადავწყვიტე, სხვებთანაც მიმეტანა წასაკითხად.

ჯერ ჩემს მეგობარსა და თანაკურსელს - ირაკლი ბოკუჩავას ვსთხოვე, ტარიელ კვანჭილაშვილს წააკითხე-მეთქი (იცნობდა ბატონ ტარიელს).

წააკითხა.

შედეგმა ძალიან გამახარა.

ბატონ ტარიელს უთქვამს ირაკლისათვის:

- ამის დამწერი ამაზე არ გაჩერდება და ნამდვილად წინ წავა.

მერე ამ ლექსებზე აზრის გამოთქმა თვითონ ვსთხოვე ბატონ თამაზ ჭილაძეს.

ბატონმა თამაზმა საბოლოოდ გამიქარწყლა ეჭვი.

მითხრა:

- როგორც ვიოლინო არის ხოლმე დაკვრისათვის აწყობილი, ისე ხარ შენც აწყობილი თანამედროვეობაზე.

ამის შემდეგ აღარავინ შემიწუხებია.

რამდენჯერმე კიდევ ვაჩვენე ახალი ლექსები ბატონ მიხეილს.

მერე მან თავის ბინაში მიმიწვია და ოჯახი გამაცნო: მეუღლე - ქალბატონი მერცია და ქალიშვილები - დუდანა და ნუნუ.

ძალიან შემიყვარდა ბატონ მიშასთან მისვლა.



მიხეილ კვესელავა მეუღლესთან - მერციასთან ერთად. გაგრა. 1966 წ.

იმ ოჯახში რაც სუფევდა, ალბათ, სწორედ იმასა ჰქვია სიყვარული, ჰარმონია და სიმშვიდე.

დროთა განმავლობაში ბატონ მიშასა და მე ჩამოგვიყალიბდა ერთგვარი ტრადიცია:

მივდიოდი მასთან სახლში და ის მომცემდა ფულს ბურახის საყიდლად (იცოდა, მე რომ უფულოდ ვიყავი).

წავიდოდი და ვიყიდიდი 5 თუ 6 ლიტრ ბურახს, მოვიტანდი, დავიდგამდით გვერდით, ვსვამდით და განვაგრძობდით უწინ დაწყებულ ლიტერატურულ-ფილოსოფიურ საუბრებს.

მართალი ითქვას, „საუბრები" ნამეტანი ნათქვამია.

ლაპარაკობდა ბატონი მიშა, მე კი ხანდახან კვერს თუ დავუკრავდი.

ვისაც მისი წიგნები წაუკითხავს, იმან იცის, რომ ბატონი მიშას ინტერესთა სფერო უსაზღვრო იყო, და ამასთანავე, იგი ყოველ საკითხზე საფუძვლიანად იყო დაფიქრებული.

მაგრამ მაინც ძირითადად ორი რამ აინტერესებდა:

ქართული კულტურა.

და ქართული კულტურის მიმართება მსოფლიო კულტურასთან.

მაგალითად: თუ საუბარს შექსპირით დაიწყებდა, ვიცოდი, რომ შოთა რუსთაველით დაამთავრებდა, ხოლო გოეთეზე დაწყებული საუბარი, ცხადია, ვაჟა-ფშაველათი დამთავრდებოდა.

* * *

მერე იყო 1967 წელი.

ბატონი მიშა სემინარებს ატარებდა უცხო ენათა ინსტიტუტში.

სემინარებზე ყველას შეეძლო დასწრება და აზრის გამოთქმა განსახილველი თემის თაობაზე.

ხშირად მოდიოდა ამ სემინარებზე ზვიად გამსახურდია.

იგი მაინცადამაინც არ აქტიურობდა, მაგრამ თუ ბატონი მიშა სთხოვდა, შენი აზრი გვითხარიო, უარს არ ამბობდა: გვეტყოდა კარგად დასაბუთებულ, ლაკონიურად ჩამოყალიბებულ აზრს.

ბატონი მიშას დამოკიდებულება ზვიადისადმი აშკარად განსხვავდებოდა იმისგან, თუ როგორ გვექცეოდა დანარჩენებს.

ჩანდა, რომ ეს ჩვენი საყვარელი ბატონი მიშა, რომელმაც, ჩვენი აზრით, ყველაფერი იცოდა სამყაროში, ზვიადს თავის სწორად მიიჩნევდა.

ერთ დღეს ბატონმა მიშამ მითხრა, შემდეგ სემინარზე შენი ლექსები წამოიღეო.

ჰოდა, ეს სემინარი რომ დამთავრდა, ზვიადს უთხრა, ერთ ხუთ წუთს შეყოვნდი, თუ შეიძლებაო.

მეც მიმიპატიჟა მაგიდასთან, ხომ მოიტანე ლექსებიო და ჩემი თავი წარუდგინა ზვიადს, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო პოეტიაო.

ზვიადმა ხელი ჩამომართვა და ყურადღებით ჩამხედა თვალებში.

მე უბიდან ამოვიღე სუფთად გადაწერილი ლექსები და მივეცი ზვიადს.

მან მისამართი მითხრა, მგონი, კამოს ქუჩის (ახლა უზნაძის) რომელიღაცა ნომერი.

- მოდი სამშაბათს, ათ საათზე, არ დააგვიანო, - გამაფრთხილა და გამიღიმა.

მერე ბატონ მიშას მადლობა გადაუხადა.

წამხედურობით მეც ვუთხარი მადლობა ბატონ მიშას.

და მანაც გამიღიმა.

სამშაბათს ათის ნახევარზე უკვე იქ ვიყავი.

როგორც იქნა, დაველოდე და გახდა თუ არა ათი, დავაკაკუნე მინის კარზე.

კარი მალევე გაიღო და გამოვიდა ზვიადი, უკვე პალტოჩაცმული.

ხელი ჩამომართვა და მითხრა:

- კარგი ლექსებია, წავედით „ცისკრის" რედაქციაში.

და წავედით...



(მარცხნიდან) მიხეილ კვესელავა, ანზორ სალუქვაძე, რეზო კვესელავა, თენგიზ მირზაშვილი, თენგიზ აბულაძე. გაგრა. 1966 წ.

მეოცნებეთა დარად, მისი ცხოვრების გზაც ახალგაზრდული გატაცებებით დაიწყო. სწავლობდა თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობო ფაკულტეტზე. მალე აზრი შეიცვალა და პრაქტიკული გადაწყვეტილება მიიღო - ფარმაციაზე განაგრძო სწავლა; საბოლოოდ კი ბიზნესის ფაკულტეტი დაამთავრა.

მაინც რომანტიკოსად დარჩა. ფაქიზი სული ვერ გააუხეშა დამღლელმა ყოველდღიურობამ. ეს, ალბათ, სიტყვის, პოეზიის, შვილებისა და ოჯახისადმი დიდი სიყვარულის «ბრალია».

ბუნებით უპრეტენზიო თეა ხუციშვილი მხოლოდ უბის წიგნაკს ანდობს გულისნადებს, სულის სიმაღლით, გულწრფელობითა და უშუალობით ამოთქმულ ლექსებს.

ვფიქრობთ, ლამაზი სტრიქონებით მოიხიბლება «იალქნის» მკითხველიც.



თეა ხუციშვილი



* * *

...და სიყვარული კვდება შიმშილით,
კვდება წყურვილით, კვდება სიცივით,
კვდება უბრალოდ მაინც გიჟივით,
ის სიხარულის კვდება სიმცირით.

და ელოდება გზას ძნელს და ვიწროს,
ფიქრის დასასრულს დაეძებს მარტივს,
უსმენს მუსიკას, ხან ქარის ხმაურს,
ხან წვიმის ხმას და მის რეჩიტატივს.

* * *

დამძიმდა გული –
უნდა დავხურო ოთახის კარი...
და მერე, ალბათ, შემოვა დედა –
მიმოიხედავს, რამე ხომ არ დარჩათო ბავშვებს,
და მის თვალებში ჩასახლდება უსაზღვრო სევდა.

დამძიმდა გული –
დედა უნდა მარტო დავტოვო
და მისი სუნთქვის ჩავიგუბო ფილტვში ნაწილი...
ო, რამდენ რამეს დავთმობდი ახლა!
ო, ღმერთო ჩემო, როგორ დავმძიმდი!

მე უნდა შევძლო, დედის თვალები
ვაქციო სრული სიმშვიდის სახლად,
მე უნდა ვიყო ძალიან კარგი,
რომ ავაცილო დარდი და დაღლა.

დამძიმდა გული –
ვერაფერს ვერ ვცვლი,
დავხურავ კარს და დავტოვებ დედას,
ნეტავი, ახლა ის ძალა მქონდეს,
შევიგუბო და გავსწიოთ ერთად.

# ინდიელი და ინგლისელი

## თქმულება, ჩაწერილი ლევ ტოლსტოის მიერ

თარგმნა - დალი მუხაძემ



ერთ-ერთი ბრძოლის დროს ინდიელებმა დაატყვევეს ახალგაზდა ინგლისელი. რა განაჩენიც ელოდა, კარგად იცოდა; არ ჰქონდა დანდობის იმედი.

მაგრამ ზოგჯერ ყველაზე მძიმე ვითარება მოულოდნელად და სასიკეთოდ იცვლება.

მართლაც, ტყვე მიაბეს ხეზე და როცა იარაღიც შემართეს და მოკვლა დაუპირეს, თითქოს მიწიდან ამოვიდაო, ინგლისელმა ბერიკაცი შეამჩნია, მისიანებს რომ მიუახლოვდა.

- არ მოკლათ, მას მე წავიყვან, მიმიშვით ტყვესთან...

ეტყობოდა, მიუხედავად ასაკისა, ამ თეთრწვერა, მხრებში გაშლილი მოხუცის სიტყვას წონა ჰქონდა, ანგარიშს უწევდნენ. ვერავინ შეეპასუხა, წინააღმდეგ ვერავინ წავიდა.

ინგლისელი ტყვე მართლაც მაშინვე გადასცეს ბერიკაცს. მან ახალგაზრდას ხელბორკილისგან მკლავები გაუნთავისუფლა და ანიშნა კიდეც, გამომყევიო.

მთელი გზა ხმა არ ამოუღია, მიდიოდა უხმოდ და მძიმე ნაბიჯებით. ფიქრებში ჩაძირულს თითქოს ინგლისელის არსებობაც დავიწყებული ჰქონდა.

მიუახლოვდნენ ერთ პატარა ქოხს.

- ნეტა, რა აქვს გადაწყვეტილი? ხელბორკილი კი მომხსნა, მაგრამ, იქნებ, მოკვდინებისა და შურისძიების განსხვავებული წესებიცა აქვთ ინდიელებს?! - გაიფიქრა ახალგაზრდა ინგლისელმა.

მოხუცი ქოხში შეუძღვა და დააპურა კიდეც. უცნაური მასპინძელი ისევ უხმოდ იყო, მდუმარე, წარბშეკრული მზერით. ისე იქცეოდა, თითქოს იმ ერთ ბეწო ქოხმახში მის მეტი არავინ იყო. სახლში მოყვანილ უცხო ადამიანს თითქოს ვერც ამჩნევდა.

ისევ თვალით ანიშნა რაღაცა ახალგაზრდას. მიხვდა ინგლისელი, კუთხეში დაფენილ ჩალაბულაზე რომ მიუთითა, ამაღამ იქ დაწვებიო.

დიდხანს თვალი ვერ მოხუჭა. ფიქრობდა დილაზე, რომელიც, არავინ იცის, რას უქადდა.

ტყვეს იმ ბერიკაცის ხმა მხოლოდ მეორე დღეს, ახალ გათენებულზე ჩაესმა:

- ადექი და გამომყევი. გიმასპინძლე, მაგრამ ჩვენ მაინც ერთმანეთის მტრებად



ვრჩებით. სხვა არაფერი შემეკითხო!..

ისინი დიდხანს მიდიოდნენ. გზას ისევ იმ ადამიანების სიდინჯით აგრძელებდნენ, მიუხედავად ყველაფრისა, სიმშვიდეს გარეგნულად მაინც რომ ინარჩუნებენ.

ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს ინგლისელთა ბანაკს.

ეტყობოდა, მოხუცი რაღაცას შინაგანად აეფორიაქებინა, რაღაცის თქმა ძალიან ეძნელებოდა.

თითქოს ამ წუთისთვის ამზადებდა თავს. ახალგაზრდას მისი ხმაც შეცვლილი ეჩვენა:

- თქვენიანებმა მომიკლეს უსაყვარლესი შვილი, მაგრამ მე შენ მაინც გადაგარჩინე! მე სიკვდილი მძულს და სიცოცხლის გამო საკუთარი თავის წინააღმდეგ წავედი. ამიტომაც გიშვებ; ახლა კი წადი და შენიანებთან ერთად განაგრძე ჩვენი ხოცვა. ჩემი ერთადერთი შვილი მაინც მკვდარია!..

ინგლისელი ჯერ გაოგნდა. მერე იფიქრა, დამცინისო და ამაყად შეუტია:

- მომკალი, რაღას უცდი! ესროლე შენი შვილის მკვლელს! ჯერ ისევ ტყვე ვარ, ისევ უიარაღო, მაგრამ ინგლისელი მეომრისთვის ღირსება სიცოცხლეზე მეტად ფასობს!

მოხუცმა ახლა პირველად ჩახედა თვალებში თავის ტყვეს. დიდხანს უყურა, თითქოს სურდა, პასუხი მის მზერაში ამოეკითხა. გუგებგაფართოებულმა სათქმელი მაინც დაასრულა:

- როცა შენ უნდა მოეკალი ჩემიანებს, ჩემი შვილი გამახსენდა და იმ წუთში სიკვდილისთვის შენც, შეიძლება, მართლაც ჩემი შვილის მკვლელიც, ვერ გაგიმეტე. არ ვინდომე კიდევ ერთი სიკვდილი, ასე ტკივილის მომტანი; ამიტომაც გადარჩი!..

ინგლისელ ტყვეს, უკვე თავისუფალს, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.





იოსებ არჩვაძე

«აფხაზეთი არ არის მხოლოდ მიწა, წყალი, ჰაერი, არამედ არის თითოეული ჩვენგანის - დევნილისა და არადევნილის სულიერი მდგომარეობა, ჩვენი სისხლის ყივილი და მჩქეფარება და არა აქვს მნიშვნელობა, უცხოვრია თითოეულ ჩვენგანს აფხაზეთში თუ არა», - ეს არის ფრაგმენტი იოსებ არჩვაძის ერთ-ერთი საგაზეთო პუბლიკაციიდან.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პედაგოგი, არაერთი პუბლიცისტური და სამეცნიერო წიგნის ავტორი, სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე - ასეთია იოსებ არჩვაძის ძალზე მოკლე ბიოგრაფიული «ანკეტა».

ავტორი ერთმანეთის მონაცვლეობით, ფრაგმენტული ეპიზოდებით გვიზიარებს წარსულის შთაბეჭდილებებს, ამ გადასახედიდანაც ეოცნებება თუნდაც სოხუმური კილო-კავის მქონე ადამიანთა კომფორტული გარემო, სადაც «ყოვნდება, რათა უფრო გაიხანგრძლივოს ეს მდგომარეობა».

«დაბრუნებამდე სათქმელი» კი, ალბათ, დაგროვილი უთქმელობაცაა, როცა გაგონდება მშობლიური ქუჩა და სახლი, წარსულის სურათები და იმასაც გრძნობ, რომ სევდას ვერასგზით მოერევი.

«მშვიდობით იარაღო - გამარჯობა, აფხაზეთო შენი!» - ასე ჰქვია იოსებ არჩვაძის ერთ-ერთ წიგნს.

მან აფხაზეთი დევნილობამდე დიდი ხნით ადრე დატოვა; ქალაქის დაცემის, უსოხუმოდ გატარებული წლების შემდეგ, სოხუმელობა მისთვის იმედია, რომელიც მიანდო ღირს, რომ «არასოდეს თქვას არასოდეს».

# რითაც საზღვრებს დაიცავ

იოსებ არჩვაძე

1970 წლის სექტემბერი. მე, სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის მერვეკლასელს, მამა მეუბნება, მშვიდობის გამზირზე წიგნების მაღაზიაში ქართულ ენციკლოპედიაზე ხელმოწერა დაიწყო, აუცილებლად გაიარე და გამოიწერეო. მე გაკვირვებით ვეკითხები – იქ თუ იყავი, რატომ შენ არ გამოიწერე-მეთქი?. მამას ეღიმება, რომ ვერ ვხვდები მისი დიდაქტიკის შემცველი წინადადების შინაარსს და თხოვნას მიმეორებს...

მერე, მრავალი წელი, სანამ ენციკლოპედიის ყველა ტომი არ შევიძინეთ, სათუთად ვინახავდი ოთხად გაკეცილ ქვითარს, ხელმოწერის რიცხვის – 1970 წლის 25 სექტემბრისა და შეტანილი ბეს – 7 მანეთის - აღნიშვნით.

1993 წელს ქართული ენციკლოპედიის ყველა ტომი, ისევე როგორც მთელი საოჯახო ბიბლიოთეკა, სოხუმში დარჩა...

ახლა, როცა ბუკინისტებს ჩავუვლი, მზერა თავისით ჩერდება იმ წიგნებზე, რომლებიც ჩვენს ოჯახს სოხუმის დატოვებამდე ჰქონდა შეძენილი. მათი დანახვითა და ხელით შეხებით თითქოს ჩემს ბავშვობას, სახლსა და სოხუმურ წარსულს ვეხები და ვეფერები...

მიუხედავად იმისა, რომ 1973 წლიდან თბილისში ვცხოვრობ, აქ დავამთავრე უნივერსიტეტი, ვმუშაობ, აქ დავოჯახდი, თავს მაინც სოხუმელად ვთვლი...

* * *

თბილისიდან მშობლიურ ქალაქში ყოველი ჩასვლისას მატარებლის ფანჯრიდან განსაკუთრებული გრძნობითა და მადლიერებით თვალს შევავლებდი მშობლიურ მე-17 საშუალო სკოლას, სადაც დაუვიწყარი ათი წელი გავატარე.

ქართულს პირველიდან მეათე კლასამდე მართლაც შეუდარებელი, პედაგოგად დაბადებული მანიკო გოგიაშვილი გვასწავლიდა, საკლასო აუდიტორიის სამარისებურ სიჩუმეში ლიტერატურული მონოლოგებით რომ გვაჯადოებდა.



ამასთან, ილიას, აკაკის, ტატოს, ვაჟასა და გალაკტიონის ნაწარმოებებთან ერთად დაუსრულებლად გვესაუბრებოდა „თავისუფალ თემებზე"; ეს იყო ეთიკაზე, სიყვარულზე, ურთიერთგატანაზე, ქვეყნის წინაშე მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე ჩატარებული მომავლის გაკვეთილები; რამდენჯერ „არ გაუგია" დარეკილი ზარი, რომ უფრო დახარჯულიყო და ერთად ყოფნის დროც უფრო გაგვეხანგრძლივებინა.

სწორედ ამიტომ, 1973 წლის აგვისტოში, როდესაც

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული წერის მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტებს კონვერტი გაგვიხსნეს, უყოყმანოდ ავირჩიე თავისუფალი თემა: „ჩემი საყვარელი მასწავლებელი“.


სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა

* * *

1983 წელი იყო. ოფიციოზი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ზეიმობდა. სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრი გასტროლებს მართავდა თბილისში. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გურამ ბათიაშვილის პიესის „1832 წელი“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლს განსაკუთრებული ოვაცია ახლდა ხოლმე. წარმოდგენის ერთ-ერთი გმირის - ელიზბარ ერისთავის რეპლიკას რუსების საქართველოდან წასვლის აუცილებლობაზე - „...ოღონდ ნებით გაგვეცალონ და დარიალამდე სულ ცეკვა-თამაშით მივაცილებ, დაფნა-ზურნასა და ცივ-ცივ კახურს არ მოვაკლებ, არც აფიცრობასა და არც სალდათობასა...“ - დარბაზში საოცარი გამოცოცხლება და ხაზგასმულად ხანგრძლივი, მქუხარე ტაში მოსდევდა-ხოლმე. აშკარა იყო, რომ ტაშს არა მარტო მსახიობების უდავოდ კარგი თამაში, არამედ ამ ფრაზის თითქმის დაუფარავი ქვეტექსტი იმსახურებდა.

ვხედავდი, რა ენერგიულად უკრავდა ტაშს წინა რიგში, ჩემგან ერთი ხელის გაწვდენაზე მჯდომი საქართველოს კულტურის მაშინდელი მინისტრი - ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი...

* * *

1992 წლის 27 ივლისს „იმელის“ შენობის სააქტო დარბაზში საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის ერთობლივ სხდომაზე სამეურნეო წლის პირველი ნახევრის შედეგები განიხილებოდა. სხდომის შემდეგ მე, როგორც უკვე სტატისტიკის სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე, დამიბარეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან, ედუარდ შევარდნაძესთან; მისი დავალებით, მეორე დილით, სოხუმში ბატონ თამაზ ნადარეიშვილთან უნდა ჩამეტანა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება „1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის დადგენილების თაობაზე.

სოხუმი უკანასკნელ მშვიდობიან დღეებს ითვლიდა...

* * *

P.S.-ის ნაცვლად: დღესაც კი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, თეატრი იქნება ეს, ტრანსპორტი თუ აგრარული ბაზარი, სოხუმური კილო-კავის გაგონებისას გულში სითბო მეღვრება, ვყოვნდები, რათა უფრო გავიხანგრძლივო ეს მდგომარეობა, თითქოს მშობლიურ ქალაქში, ბავშვობაში ვბრუნდები...

დევნილები, რომლებიც აფხაზეთიდან გამოსვლისას "მხოლოდ" თანაკუთხელები, თანაქალაქელები იყვნენ, თავიანთ მშობლიურ კუთხეს, კერას დაშორებულნი, ამდენწლიანი ერთიანი ტკივილით, გაჭირვებითა და თანადგომით, ფაქტობრივად, დამოყვრებულნი, დანათესავებულები არიან... ისინი, მათი ნაგრამი აუცილებლად დაბრუნდებიან მშობლიურ კუთხეში, ქალაქებსა და სოფლებში. დაბრუნდებიან ერთმანეთის უფრო მეტად მოყვარულნი, პატრიოტნი, ვიდრე ოდესმე, რადგან მათ საკუთარ თავზე გამოსცადეს, თუ რამდენად წარმავალი და ეფემერულია პირადი ბედნიერება და კეთილდღეობა, თუკი სამშობლო - როგორც მოცემულობა და როგორც სიმბოლო - არაა სათანადოდ დაცული და გაფრთხილებული...

ერთი იდეის შესახებაც მოგახსენებთ, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ერთხელ უკვე გავაჟღერე "დილის გაზეთისათვის" მიცემულ ინტერვიუში: "როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვართან დავით-გარეჯის მსგავსი დიდი საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსი უნდა აშენდეს, რათა საქართველო დაიცვას არა მარტო მესაზღვრემ და მებაჟემ, არამედ სულიერებამაც, რადგან, ის, რაც დაგვემართა აფხაზეთში, სულიერების დეფიციტის ბრალიც იყო. სწორედ იქ, სადაც ჰაერიც კი მაცდუნებელია და ამა ქვეყნის სიამეებს მოჭარბებულად გვთავაზობს, გვჭირდება სულიერების ისეთი მძლავრი ბურჯი, რომელიც ჩვენს მართლმადიდებლობას, ღირსებას, ქართველობას, სიმშვიდეს დაიცავს..."



ენგურის ხიდი.
როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება...“

1. იოანე ნათლისმცემელი ქრისტეზე რამდენი ხნით ადრე დაიბადა?
   ა) ერთი თვით ადრე.
   ბ) სამი თვით ადრე.
   გ) ექვსი თვით ადრე.

2. ვაჟა-ფშაველას რომელი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ თქვა ილია ჭავჭავაძემ, ძველებმა კალამი ძირს უნდა დავდოთ და გზა ვაჟას უნდა დავუთმოთო?
   ა) „ხმელი წიფლის“.
   ბ) „მოხუცის ნათქვამის“.
   გ) „შვლის ნუკრის ნაამბობის“.

3. რამდენ ხანს გრძელდება მზის ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო?
   ა) ერთი კვირის მანძილზე.
   ბ) ერთი თვის მანძილზე.
   გ) ერთი წლის მანძილზე.

4. ვის მიიჩნევენ ავტორად ნაშრომისა „აფხაზეთის მეფეთა ნუსხა?“
   ა) ბაგრატ III-ს.
   ბ) გიორგი I-ს.
   გ) ბაგრატ IV-ს.



5. დიდებული ჭყონდიდ-მარტვილის ტაძარი აფხაზეთის რომელმა მეფემ ააგო?
   ა) გიორგი II-მ (X ს.).
   ბ) ბაგრატ I-მა (IX ს.).
   გ) ლეონ II-მ (VIII ს.).

6. გავრცელებული მითის მიხედვით, ვინ არის მუსიკის გამომგონებელი?
   ა) ორფევსი.
   ბ) აპოლონი.
   გ) სირინოზები.

7. ვისი სტრიქონებია ფრაგმენტი ლექსიდან - „ფუტკარი“: „იმაზე დიდი რა უნდა იყოს, კაცს თაფლი მისცე, ღმერთს კი - სანთელი?“
   ა) მურმან ლებანიძის.
   ბ) შოთა ნიშნიანიძის.
   გ) მორის ფოცხიშვილის.

8. რომელი სიტყვის სინონიმებია „ჯომარდი“, „კისკასი“, „ცქაფი“?
   ა) მაღლის.
   ბ) გულადის.
   გ) ამაყის.

9. „ქორწილი კანაში“ - რენესანსის ეპოქის რომელი დიდი მხატვარია ამ ცნობილი ტილოს ავტორი?
   ა) რაფაელი.
   ბ) ვერონეზე.
   გ) დიურერი.

10. დაასრულეთ აინშტაინის ცნობილი გამონათქვამი: „მე არავითარი ტალანტი არ გამაჩნია. მაქვს მხოლოდ ის, რაც ასე ახასიათებთ ბავშვებს. ეს . . . “
   ა) მოუსვენრობაა.
   ბ) სიჯიუტეა.
   გ) ცნობისმოყვარეობაა.



„სალამურას“ პასუხები იხილეთ გვ. 59



გალაკტიონის „რითმების რვეული“. სოხუმი. 1953 წ.

გასული საუკუნის 10-იან წლებში ქუთაისში ჩატარებულ ლიტერატურულ საღამოზე გალაკტიონს პირველად უნდა წაეკითხა საკუთარი ლექსი.

19 წლის ახალგაზრდა პოეტი თურმე საშინლად ღელავდა. ისიც იცოდა, რომ სხვებთან ერთად საღამოში მონაწილეობას იღებდა მხცოვანი აკაკი წერეთელიც.

გალაკტიონი აკაკის შემდეგ გამოსულა.

დაიწყო და ხმა აუკანკალდა თურმე. საგანგებოდ დაზეპირებული ლექსი დაავიწყდა.

«ბედად, იმ რითმაზე, რომელზედაც გავჩერდი, მომაგონდა სრულიად ახალი რითმა; რაღაც წამებში ექსპრომტად, ავადმყოფური თავგანწირულობით მოვიდა ახალი სიტყვები, ახალი აზრები. თუმცა არც ერთ დამსწრეს არ უგრძვნია ჩემი კრიტიკული მდგომარეობა», - დაწერა მოგვიანებით გალაკტიონმა.

- რა სიბრიყვეა, უკითხო ხალხს ლექსები. თუ ასე ძალიან სურთ, თავად იკითხონ წიგნები, გაზეთები, - უთქვამს საღამოს ბოლოს პოეტს.

## ე რ თ ხ ე ლ

თბილისის თავისუფლების მოედანს თითქმის ორი საუკუნის ისტორია აქვს.

1828 წელს თბილისის მთავარმართებელმა - პასკევიჩმა ერევნის ციხე-სიმაგრის აღების გამო მიიღო ტიტული «პასკევიჩ-ერევანსკი». თბილისის ერთ-ერთ გამორჩეულად გაშლილ ადგილს კი, ბედის ირონიით, იმავე წლის 23 თებერვალს, სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით დაერქვა «ერევნის მოედანი». 1917 წლის რევოლუციის მერე მოედანს სახელი «თავისუფლების მოედნად» შეეცვალა, შემდეგ ეწოდა «ამიერკავკასიის მოედანი» და ბოლოს მას მიენიჭა «ლენინის» სახელი. დღეს ამ მოედანს ისევ «თავისუფლების მოედანი» ჰქვია.

«ერევნის მოედნის» შუაგულში გამართული იყო ბაზრობა. რა არ იყიდებოდა აქ: მწვანილი და ფართალი, ავეჯი და ბუკინისტური წიგნები, ოთხფეხა საქონელი და შეშა, ქათიბი და მენდირი. ერთი პეტერბურგელი ჟურნალისტი, ადარებდა რა ერევნის მოედნის ბაზრობას პეტერბურგის ასეთსავე თავშეყრის ადგილს, დასძენდა: «პეტერბურგის ბაზარი წვეთია ზღვაში, ხოლო თბილისის ბაზარი - ზღვაა წვეთში».

ქვებით მოკირწყლული ქუჩები (ქვაფენილი) აქ ცოტა მოგვიანებით გაჩნდა.

1837 წელს, რუსეთის მეფის - ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლის გამო, გ. ი. ზუბალაშვილის სახლში (რომელიც 1837 წელს სამღვდელოებამ შეიძინა და 1840 წელს იქ სასულიერო სემინარია გაიხსნა)* თავადაზნაურობამ ხელმწიფეს მეჯლისი მოუწყო. სწორედ ამ დროს დაუშინა კოკისპირულმა წვიმამ და ისედაც მოუვლელი მოედანი მიმდებარე ქუჩებით ისე ატალახდა, რომ შეუძლებელი გახდა ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადასვლა.



თბილისი. „ერევნის მოედანი“. XX ს.-ის 20-იანი წლები.

რა უნდა ექნათ მოწვეულ სტუმრებს? მეფის ვახშამზე დაპატიჟებულმა ქალბატონებმა და ბატონებმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: დაიქირავეს კურტნიანი** მუშები, რომ «ბავშვივით ხელში ატაცებულებს მაინც მიეღწიათ მოედნის საპირისპირო მხარეს», იუწყებოდა გაზეთი «კავკაზი».

* - დღეს ამ შენობაშია განთავსებული შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.
** - საზურგე, ადამიანის მიერ ტვირთის საზიდად.



მარინე ჯაიანი

როდესაც «ივერიის» ახალი რუბრიკა უნდა დაგვესათაურებინა, შოთა რუსთაველის სტრიქონები «არდავიწყება მოყვასისა» ამისთვის ყველაზე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ.

ამჯერად ჩვენი პუბლიკაციის ადრესატი დავით ჩქოტუაა.

«ჯერ კიდევ ვალში ვართ ამ შესანიშნავი მწერლისა და პიროვნების, უსამართლოდ მივიწყებული მოღვაწის წინაშე», დაწერს დავით ჩქოტუაზე მისი შემოქმედების ერთ-ერთი მკვლევარი, ცნობილი მეცნიერი - სარგის ცაიშვილი.

ბევრისთვის უცნობი დავით ჩქოტუას ბიოგრაფია მართლაც იმსახურებს გახსენებას; მიუხედავად ტრაგიკული ხვედრისა, ღირსეული მამულიშვილის მიერ ტკივილით, მაგრამ უხინჯოდ განვლილი ცხოვრების გზა რწმენით გავსებს.

დავით ჩქოტუა იყო ცნობილი აფხაზი შემოქმედისა და სახელოვან გვარიშვილთა ღირსეული მემკვიდრის - გიორგი შარვაშიძის ძიძიშვილი და ქართული მწერლობის სარბიელზე მოღვაწე ამაგდარი აფხაზი, მეცნიერი და პუბლიცისტი.

იმ ავბედით საღამოს, 1876 წლის 22 ივლისს, მთელი საქართველო რომ შეძრა, იმპერიისთვის არასასიამოვნო პირის - გიორგი შარვაშიძის დისკრედიტაციის მიზნით გაწირეს მისი ძიძიშვილი - დავით ჩქოტუაც. «უდანაშაულო დამნაშავის» კვალიფიკაციით საბრალდებო თაროზე დაიდო წლების მანძილზე ასე გახმაურებული «ნინო ანდრეევსკაიას მკვლელობის საქმე».

სამამულო კრიმინალისტიკაში დაშვებული უხეში შეცდომები (ეს აღიარა რუსეთიდან საგანგებოდ მოწვეულმა ცნობილმა ადვოკატმაც) და ციმბირის კატორღაში უსამართლოდ გატარებული 27 წელიწადი დავით ჩქოტუასათვის უდიდესი სულიერი განსაცდელი შეიქნა; მძიმე ჯვარიც, სიცოცხლის ბოლომდე ღირსეულად რომ ატარა.

ამ ყველაფერზეა საუბარი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის - მარინე ჯაიანის საინტერესო ლიტერატურულ თხზულებაში (ქალბატონი მარინეს სადოქტორო თემა სწორედ დავით ჩქოტუას ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს).

ქეშმარიტად გვმართებს «არდავიწყება მოყვასისა», გადასახლებაში ყოფნისას 800-გვერდიანი ნაშრომით «ვეფხისტყაოსნის» ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო საკითხები აფხაზ მკვლევართაგან ერთ-ერთმა პირველმა ვინც გააანალიზა.

## უდანაშაულო დამნაშავე

### დავით ჩქოტუა - XIX საუკუნის ქართული კულტურის ერთ-ერთი ამაგდარი

მარინე ჯაიანი

"პირველად ვხედავთ ჩვენს ქალაქელებს ასე ერთგვარად მომართულს, ასე აღელვებულსა და აღშფოთებულს. შავ-ბედით ხუთშაბათს აქეთ ვის ახსოვს გერცოგოვინელები და სლავიანები, ვის ახსოვს ზაქათალას გადაწვა და ერევნის დაზიანება. ყველას ერთი სიტყვაადგია ენაზე: ვინ არის ანდრეევსკის ქალის მკვლელი?" - წერდა სერგეი მესხი გაზეთ "დროებაში".

იგივე გაზეთი მანამდეც იუწყებოდა: "მთელი ქალაქი ამჟამად ანდრეევსკის ქალის დახრჩობაზე ლაპარაკობს. ეს სამწუხარო შემთხვევა ისეთი საიდუმლო ბურუსითაა შემოსილი, რომ მართლაც გასაკვირველი არ არის, რომ იმან სალაპარაკო მართლა ბლომად მისცა ქალებს".

ქალბატონი ანდრეევსკაიას, უმშვენიერესი ნინოს "მკვლელობის საქმემ" მთელი საქართველო მოიცვა. წამოიშვა მრავალი ვერსია. ოფიციალურმა კვლევა-ძიებამ, სრულიად უსაფუძვლოდ, ეჭვი დავით ჩქოტუაზე, თითქოსდა ამ საზარელი დანაშაულის საგულვებელ მოთავეზე, მის ძმასა და შინამოსამსახურეებზე მიიტანა.

აღგილობრივ მმართველობას სურდა, საბრალდებულო სკამზე დაესვა, პირველ რიგში, გიორგი შარვაშიძე, რომელიც, გარკვეულ მიზეზთა გამო, არ მოსწონდა დიდ მთავარს - მეფისნაცვალ მიხეილს. რაკი ეს ვერ მოხერხდა, გაწირეს მისი ძიძიშვილი - დავით ჩქოტუა.

### წარმომავლობა



„დავით ჩქოტუა“. უჩა ჯაფარიძის ნახატი

დავით ჩქოტუა მე-19 საუკუნის ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, პირველი სწავლული აფხაზი, რომელმაც უმაღლესი განათლება რუსეთის სასწავლებლებში მიიღო. მისთვის უცხო იყო ეროვნული შეზღუდულობა. რაინდული ბუნების ადამიანი ეთაყვანებოდა როგორც მშობლიურ აფხაზეთს, ისე სრულიად საქართველოს.

დავით ჩქოტუა დაიბადა ისტორიული სამურზაყანოს სოფელ საბერიოში. მისი წინაპრები მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ. მათ შორის, გამოირჩეოდა მანუჩარ ჩქოტუა. ზურაბმა და გუჯმახანმა მამის სამფლობელო კიდევ უფრო გააფართოვეს. ზურაბი, რჩინით - გენერალი, ზედმიწევნით ფლობდა რუსულ ენას, გატაცებული იყო ისტორიით, ლიტერატურით, გეოგრაფიით, ღვთისმეტყველებით; ჰქონდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა. ზურაბის მიერ აშენებულ ეკლესიასთან 1897 წელს გაიხსნა საბერიოს მესამე სკოლა.

საინტერესოა ერთი ფაქტიც: მან თავისი ხარჯებით სათანადოს კიდე ააფუთქა, იქ საურმე გზა გაიყვანა და საბერიო გალს მოკლე მანძილით დააკავშირა. ხალხმა ამ გზას "ზურაბიში

მიკოტახილი"* უწოდა.

ზურაბ ჩქოტუას მეუღლე და დავითის დედა, დადიანის ქალი, სათნო და განათლებული იყო. წერა-კითხვას თვითონ ასწავლიდა შვილებს. პატარა მანჩა (ასე ეძახდნენ დავითს ბავშვობაში) ოჯახური წრეში გაეცნო "ვეფხისტყაოსანს", რომელიც მომავალში მისი ცხოვრების საზრისი გახდა.

აფხაზეთის მთავრები - შარვაშიძეები სწორედ ამ კეთილშობილ, განათლებულ ოჯახს დაუკავშირდნენ და თავიანთი მემკვიდრეების აღზრდა მას დააკისრეს. ჩქოტუების ოჯახში გაიზარდა ცნობილი აფხაზი პოეტი და საზოგადო მოღვაწე - გიორგი შარვაშიძე.

ძიძიშვილები - დავითი და გიორგი თითქმის თანატოლები იყვნენ, ბავშვობაც ერთად გაატარეს და სიცოცხლის ბოლომდეც ერთგულეს ერთმანეთს.



სანაპიროს ხედი გიორგი შარვაშიძის სამუშაო ოთახიდან. სოხუმი

## სასწავლებლად ქუთაისში, ოდესაში, პეტერბურგში...

შინაური განათლების შემდეგ დავით ჩქოტუა მშობლებმა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარეს. იქ სწავლების ხანა მისთვის ქართულ გარემოსთან დაახლოების წლებად იქცა.

დავითმა გიმნაზია წარმატებით დაამთავრა და ერთხანს საბერიოში ცხოვრობდა. ფიქრობდა გლეხობის ცხოვრების გაუმჯობესებაზე, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის ჩამოყალიბებაზე.

განათლების სრულყოფის მიზნით დავით ჩქოტუამ გამოცდები ჩააბარა ჯერ ოდესის უნივერსიტეტში, მოგვიანებით კი საბუთები გადაიტანა პეტერბურგში.

დავით ჩქოტუასა და გიორგი შარვაშიძის მეგობრობა ამ წლებშიც გაგრძელდა.

პეტერბურგში სწავლის პარალელურად დავითი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ პრესაში; სამართლიანადაც მოიხვეჭა ნიჭიერი პუბლიცისტისა და მწერლის სახელი. კორესპონდენციებით ამარაგებდა გაზეთ "დროებას", რომელსაც სერგეი მესხი** რედაქტორობდა; თანამშრომლობდა "კრებულში", "სასოფლო გაზეთში".

მაგრამ ხშირი ავადმყოფობის, უსახსრობის გამოც დავითი იძულებული გახდა, დაეტოვებინა პეტერბურგი. თბილისში მისი დაბრუნება განაპირობა იმანაც, რომ გიორგი შარვაშიძემ იგი საკუთარი მამულების მმართველად მიიწვია.

დავით ჩქოტუა იმთავითვე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ილიამ ჟურნალ "ივერიაში" მუდმივ თანამშრომლადაც კი მიიწვია 26 წლის ახალგაზრდა პუბლიცისტი.

"თუ არა უბედური შემთხვევა, დავით ჩქოტუას კვალი ქართულ ჟურნალისტიკასა და ლიტერატურის სარბიელზე დღეს უდავოდ საგრძნობი იქნებოდა", - დაწერს სერგეი მესხი.

## ერასტი ანდრეევსკის ოჯახი

ერასტი ანდრეევსკი - კავკასიის ახალი ისტორიიდან კარგად ცნობილი მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმი - დიდი ოჯახის პატრონი იყო, ამასთან, უზარმაზარი და მდიდარი მამულების მფლობელიც. ყირიმსა და საქართველოში მონაცვლეობით ცხოვრობდა. მეუღლეც ქართველი ჰყავდა, ცნობილი მსახიობი - ბარბარე თუმანიშვილი. საქართველოზე უზომოდ შეყვარებულმა აქაური სამოსახლო და ეზო-კარი ანდერძით ქალიშვილებს დაუმტკიცა, ხოლო ვაჟიშვილს - კონსტანტინეს ყირიმის მამულები.

ელენე და ნინო ანდრეევსკებს შესანიშნავი დობა ჰქონდათ. მამულის გაყოფაზე არც უფიქრიათ. მათ ქონებას ჯერ ანიშჩენკო განაგებდა, მერე კი, გერმანელი ვეინსფელდი, რომელიც, ასევე, საქმის არცოდნის გამო დაითხოვეს. სწორედ მაშინ მოიწვია დავით ჩქოტუა პეტერბურგიდან გიორგი შარვაშიძემ მამულების მმართველად. დავითი ამ მოვალეობას 1875 წლის 1 მაისიდან შეუდგა.

გიორგი შარვაშიძემ ანდრეევსკების ოჯახი ჯერ კიდევ ოდესაში ყოფნის დროს გაიცნო და ელენე (ელო), ერასტის ქალიშვილი, ცოლად შეირთო.

ელენესა და ნინოს მამულებს ახალგაზრდა დავით ჩქოტუა კეთილსინდისიერად განაგებდა. 1876 წელს დებმა ქონების გაყოფა მაინც მოისურვეს. ოდესიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ ნინო, დედამისი - ბარბარე და დაბინავდნენ სასტუმრო "ევროპაში"; გიორგი შარვაშიძეც ოჯახით ამ დროს იქ ცხოვრობდა (ელენეს სახლი ჯერ კიდევ კეთილმოუწყობელი იყო). 1876 წლის 3 ივლისს მამულები გაიყო და ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

გიორგი შარვაშიძის სახლში (ეზო-კარი, რომელიც მამამ დებს ზიარად დაუტოვა, გიორგი შარვაშიძემ გამოისყიდა) ცხოვრობდნენ დავით ჩქოტუა, ძმა ნიკო ჩქოტუა, დარაჯი-ზურაბ ქორიძე, მებაღე-ივანე მგელაძე და მზარეული - პეტრე გაბისონია.



ელო ანდრეევსკაია და გიორგი შარვაშიძე

* - ზურაბის გადასასვლელი (მეგრ.).
** - დავით ჩქოტუას გიმნაზიელი მეგობარი.



ნინო ანდრეევსკაია

## მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა?

1876 წლის 22 ივლისს ბარბარე ანდრეევსკაია ქალიშვილთან ერთად დღეობაზე იყო; ნინომ ბიძაშვილებს სიტყვა მისცა, საღამოს 10 საათისთვის "კრუჟოკის" ღობესთან დაგელოდებითო ("კრუჟოკი" - თბილისში არისტოკრატთა თავშეყრისა და გართობის ადგილი).

დედა-შვილი შინ საღამოს დაბრუნებულა. დავითი დახვედრიათ, ჩაიც ერთად მიურთმევიათ. სეირნობიდან დავითის ძმა - ნიკოც მოსულა; დავითი კი ქალაქში ყოფილა.

ნინო ანდრეევსკაია საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილა და გიორგი შარვაშიძისათვის გასაგზავნი ბარათი შეუთხზავს. 10 საათისთვის უკვე მზარეულ გაბისონიასთან ჩასულა განმენდილი ფეხსაცმელების გამოსართმევად. ნინოს დიდი სანთელი დაუქრია, პატარა კი იქვე, აივანზე დაუტოვებია და "კრუჟოკის" ღობისკენ წასულა. "კრუჟოკი" ზედ გიორგი შარვაშიძის ბაღს ეკვროდა. ნინო შინ უკვე აღარ მობრუნებულა. ნაპირთან კოხტად დაწყობილი მისი ტანსაცმელი შინ ახლადდაბრუნებულმა და დაკარგულის საძებრად გასულმა დავით ჩქოტუამ პირველმა შეამჩნია.

მეორე დილით, დაახლოებით რვის ნახევარზე, მეთევზეებმა პიდუა მენაბდიშვილმა და ესტატე ქიაბერიშვილმა მტკვარში შეამჩნიეს ქალის გვამი, ხელზე სამაჯურებით. ეს იყო თბილისიდან თითქმის 30 კმ-ის მანძილზე.

შემთხვევის ადგილზე მივიდა ბოქაული წინამძღვრიშვილი. ექიმმა მირველიშვილმა, პოლიციის ოფიცერმა ლოლაძემ და მამულების მმართველმა სულხანიშვილმა ცხედარი ამოიცნეს. ეჭვისთვის საბაბი მთლიანად გამოირიცხა - გარდაცვლილ ქალბატონს მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი არ ჰქონდა, რაც ულამაზესი ნინო ანდრეევსკაიას ერთადერთი ნაკლი იყო.

ეს შემთხვევა ძალზე გახმაურდა და წლების მანძილზე გრძელდებოდა. "იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში და ა.შ. ეს საქმე კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს", - წერდა ნიკო ნიკოლაძე. მეფის ხელისუფლების ოფიციალურმა ძიებამ სრულიად უსაფუძვლოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეჭვი მიიტანა დავით ჩქოტუაზე, როგორც თითქოს მკვლელობის მოთავეზე, ნიკოზეც - მის ძმაზეც და შინამოსამსახურეებზეც.

თავის დროზე კავკასიის მეფისნაცვლის პოლიტიკურ ინტერესებს შეეწირა გიორგი შარვაშიძის მამაც, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, მიხეილ (ჰამუდ-ბეი) შარვაშიძე. ამჯერად ოფიციოზმა გადაწყვიტა, შური მის ვაჟზე, ცარიზმის თვითმპყრობელობის მოძულე - გიორგი შარვაშიძეზე ეძია, შეელახა მისი რეპუტაცია. "უდანაშაულო დამნაშავე" დავით ჩქოტუა სწორედ ამ უთანასწორო სახელისუფლო ორთაბრძოლის მსხვერპლი შეიქნა.

სასამართლო ძირითადად დაეყრდნო გიორგი შარვაშიძის მიერ ქუთაისიდან (სადაც ტრაგედიის დღეს იმყოფებოდა) გიორგისადმი გაგზავნილი დეპეშის შინაარსს: შენთვის მომინდვია, როგორც გსურდეს, ისე ქენიო. გიორგი შარვაშიძე თურმე ნებას რთავდა ძიძიშვილს, ესარგებლა ანდრეევსკების ოჯახში დაცული უმდიდრესი ბიბლიოთეკით.

## "მითითება ზემოდან"

"ადგილობრივმა მთავრობამ ჯერ ყრუ ხმები დაარხია გარკვეულ არისტოკრატიულ წრეებში, რომ გიორგი შარვაშიძემ ანგარების მიზნით (თითქოს, ნინოს სიკვდილის შემდეგ მისი ქონება გიორგი შარვაშიძეს დარჩებოდა) გადაადგმევინა ეს ნაბიჯი დავით ჩქოტუასო. ეს იყო ყოვლად უსაფუძვლო ბრალდება და აშკარა ცილისწამება.

გიორგი შარვაშიძე იცნობდა თავისი სიმამრის ანდერძს, სადაც გარკვევით იყო აღნიშნული, რომ, "ვინიცობაა, ნინოს რამე მოუვიდეს, მემკვიდრეობა ძმაზე - კონსტანტინეზე გადადიოდა."* მთელი კვირა მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი. სრულიად თბილისის საზოგადოება სასამართლოს კარებთან იყო მოგროვილი. ყველას უნდოდა, შეეტყო "... თუ მართლა ამ უმაღლეს სწავლა მიღებულს ყმაწვილს კაცს ჩაუდენია ეს საძაგელი საქმე. ყველას სურდა, შეეხედა ბრალდებულისათვის და იმის სახეში, იმის თვალებში ამოეკითხა - შეეძლო იმას ამ ბარბაროსული საქმის ჩადენა, თუ არაო?" - წერდა გაზეთი "დროება".

ბევრისთვის მიუღებელი იყო ეს შემზარავი ბრალდება. დავითს გამოექომაგნენ ილია ჭავჭავაძეც, აკაკი წერეთელიც, ნიკო ნიკოლაძეც, სერგეი მესხიც და არაერთი სხვა საზოგადო მოღვაწე. "ივერია", "დროება" და "ტფილისის ვესტნიკი" თანმიმდევრულად აქვეყნებდნენ პუბლიკაციებს ამ გახმაურებული საქმის შესახებ.



ვლადიმერ სპასოვიჩი

"მართალია, ჩვენ პროვინციელები ვართ, მაგრამ სამართლის შემთხვევაში თქვენი არ გვეშინია", - წერდა აკაკი წერეთელი "ტფილისის ვესტნიკში". თვით ნინოს დედა ბარბარე თუმანიშვილი გულმოკლული იყო ცილისწამებებით: "ძალიან მაწუხებს, რომ ამ საქმეს ჩემს სიძეს, გიორგი შარვაშიძესა და დავით ჩქოტუას აბრალებენ. არავითარი უკმაყოფილება ნინოს დავით ჩქოტუასთან არ ჰქონია."

მაგრამ ოფიციოზი და სასამართლო არავის და არაფერს უწევდა ანგარიშს.

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი გამოძიებით დანაშაული ვერ უმტკიცდებოდა, დავით ჩქოტუას 20 წლით კატორღა და სამუდამო გადასახლება მაინც მიუსაჯეს.

სერგეი მესხი იგონებს: "...სასამართლო აღიარებს - დავით ჩქოტუას დანაშაულს... სხვა საჭირო აღარ არის. ყველას თვალები ერთბაშად დავით ჩქოტუასკენ მობრუნდა. ჩემ დღეში ამისთანა სახე, ამისთანა თვალები არ მინახავს. უეცრად გაფითრდა, ესე მეგონა, გაქვავდა კაციო..."

* - ოთარ ჭურღულია. „დავით ჩქოტუა“. სოხუმი. 1969 წ. გვ. 24.


ვასილ პეტრიაშვილი

უფრო ულმობელი აღმოჩნდა სასამართლო სხვა ე.წ. "დამნაშავეთა" მიმართ: ორს წამებით ამოხადეს სული, შეთითხნილი ბრალდებით გაასამართლეს ივანე მგელაძე და ზურაბ ქორიძე.

როგორც დავითის დამცველი, ცნობილი იურისტი ვახტანგ ორბელიანი იხსენებს, ასეთი იყო "მითითება ზემოდან"; როგორმე უნდა დამტკიცებულიყო, რომ ჩქოტუა მოქმედებდა შარვაშიძის დავალებით; მეორე ადვოკატმა - ტიხომიროვმაც ამ საქმეს "ციხის საიდუმლო ინკვიზიცია უწოდა". რუსი პროკურორი ბიკოვი კი აღიარებს, რომ გამოტეხვას პოლიციამ უკანონობით მიაღწია.

დავით ჩქოტუას დასაცავად სააპელაციო ინსტანციაში მთელს რუსეთში ცნობილი პეტერბურგელი ადვოკატი - ვლადიმერ სპასოვიჩიც მოიწვიეს. მას თავიანთ თანამოაზრედ და მეგობრად მიიჩნევდნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვა "სამოციანელები".

დავით ჩქოტუას სასამართლოზე სპასოვიჩმა წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა, რომელიც, სხვათა შორის, შესულია "რჩეულ იურისტთა გამოსვლებით" ცნობილ გამოცემათა სერიაში.

მაგრამ ვერც სპასოვიჩის განსაკუთრებულმა მონდომებამ და პროფესიონალიზმმა შეაბრუნა დავით ჩქოტუას ბედი. "ნინო ანდრეევსკაიას საქმე" სამუდამო ტკივილად გაჰყვა ცნობილ იურისტს. აქ ინკვიზიციის წესი სრულდებაო, განაცხადა მან.

სპასევიჩის სასამართლო პროცესიდან 8 წლის შემდეგ, როცა გამოვიდა ვლადიმერ სპასოვიჩის თხზულებათა მეოთხე ტომი, მან კიდევ ერთხელ გულისტკივილით გაიხსენა: "თბილისის საქმესთან დაკავშირებით დღემდე თავი ვერ დამიღწევია იმ მტანჯველი აზრისგან, როგორი სავალალო შეცდომებით დასრულდა სასამართლო, როგორ დაზარალდნენ უდანაშაულო ადამიანები".

## "ჭირთა დათმენის" წლები

დავით ჩქოტუას ცხოვრებაში დადგა უმძიმესი დღეები, მაგრამ მას შორეულ ციმბირშიც ღირსეულად ეჭირა თავი. მეგობრებმა არც გადასახლებაში დაივიწყეს დავით ჩქოტუა. გიორგი შარვაშიძის გარდა იყო ვასილ პეტრიაშვილიც, სტუდენტობისდროინდელი მეგობარი (შემდგომ ოდესის უნივერსიტეტის რექტორი), რომელიც მატერიალურად და სულიერად ეხმარებოდა სიყრმის მეგობარს. საინტერესოა დავითის ერთი საპასუხო წერილი, გაგზავნილი მეგობრისადმი:

"თუ მე კვლავ ვარსებობ ზნეობრივი და გონებრივი სიცოცხლით და არ გავბოროტებულვარ ცხოვრების, ადამიანებისა და თვით საკუთარი თავის მიმართ, ამას მე უნდა ვუმადლოდე ჩემს მეგობარს, რომელიც დასაყრდენია ჩემგვარ უბედურებაში ჩავარდნილი კაცისათვის."

საჭირო ნივთების გარდა ვასილ პეტრიაშვილი უგზავნიდა წიგნებს. დავით ჩქოტუა შორეული ჩიტას გუბერნიაშიც, ინტელექტუალურად ცხოვრობდა, და რაც მთავარია, დღენიადაგ ჩაჰკირკიტებდა "ვეფხისტყაოსანს". სწავლობდა უცხო ენებს, წერდა პუბლიცისტურ წერილებს. ასე შეიქმნა გადასახლებაში 800-გვერდიანი ნაშრომი "ვეფხისტყაოსანზე" (რომლის უმეტესი ნაწილი დღემდე დაკარგულად ითვლება). ცხოვრების საუკეთესო წლები მან კატორღაში გაატარა.

27 წლის შემდეგ ჯანგატეხილი დავით ჩქოტუა სამშობლოში დაბრუნდა. დასახლდა მშობლიურ კუთხეში, სოფელ რიყეში, სადაც პატარა სახლი დადგა. ცოლი არ შეურთავს. არც ძმებთან ისურვა ცხოვრება და არც მამულები მოითხოვა მათგან. ჩვეული ენერგიით შეუდგა ინტელექტუალურ თუ პრაქტიკულ საქმიანობას და წამოიწყო მრავალი სასიკეთო საქმეც.

მთიან ადგილებში დავითს აღმოუჩენია წითელი ქვები, რომლისგანაც საღებავი დაუმზადებიათ. გამოუყვანია ქერის ახალი ჯიშიც და შესაშური მარცვალიც მიუღიათ. გამხდარა სამეგრელოში ჩაის კულტურის შემოტანისა და გავრცელების მოთავე. მისგანვე უსწავლიათ ჩაის დამუშავების ტექნოლოგიაც. თანასოფლელ ბავშვებს ასწავლიდა წერა-კითხვას, გერმანული ენის სპეციალისტიც მოუწვევია, რათა ბავშვები უცხო ენას დაუფლებოდნენ.

"დავითს ღვთიური სახე ჰქონდა, ამასთან მრავალნატანჯი იერი, მაგრამ მხნედ გამოიყურებოდა - თეთრი, სპეტაკი წვერი ამშვენებდა. ჩქოტუების სახლობის ეკლესიაშიც ბევრჯერ მინახავს მარტო ასული," - ასე გაიხსენა ჩქოტუა ჩემთან საუბარში თანასოფლელმა - იასონ მურღულიამ. ისტორიკოსი და მეცნიერი ნოდარ შონია იგონებს: "ახალგაზრდებს მისი მოსმენა მუდამ გვწყუროდა. ენაწყლიანი და უზადო მოსაუბრე იყო. ზურაბ ჩქოტუას შვილებს შორის იგი იყო ყველაზე განათლებული, ალალი და მიმდობი." საახლობლო მას "გენიოს ჩქოტუათი" მოიხსენიებდა. შალვა დადიანმა კი რომანში "გვირგვილიანების ოჯახი" დავით ჩქოტუა ვამეხის პროტოტიპად გამოიყვანა.

დავით ჩქოტუა გარდაიცვალა 1929 წელს, 80 წლის ასაკში. დასაფლავებულია გალის რაიონში, სოფელ საბერიოს ჩქოტუების საგვარეულო ეკლესიის ეზოში.

## სტუმრად ბაბო დადიანთან


ბაბო დადიანი

დავით ჩქოტუას პიროვნების უკეთ გასაცნობად ვეწვიე თბილისში მცხოვრებ ღირსეულ ქალბატონს, გიორგი შარვაშიძის დის - თამარის შვილიშვილს, ბაბო დადიანს, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა დავით ჩქოტუას თავს დატრიალებული ტრაგედია.

ჩემს შეკითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა დავით ჩქოტუას მოეკლა ნინო ანდრეევსკაია, მიპასუხა: როგორც ამ წუთში თქვენგან არ მოველი იმას, რომ მომკლავთ და ამ ძვირფას რელიქვიებს გაიტაცებთ, ისე დავითისგან, ამ ჩინებული, ნიჭიერი, უპატიოსნესი კაცისგან, მსგავსი რამის გაფიქრებაც მკრეხელობად მიმაჩნია.

იმ წუთში გამახსენდა დავით ჩქოტუას სიტყვები, უფრო სწორად, უახლოესი მეგობრისადმი, ვასილ პეტრიაშვილისადმი ციმბირიდან გამოგზავნილი წერილის ფრაგმენტი:

"საწყალი ნინა ერასტოვნა! რომ შეეძლოს იმის შეტყობა, თუ რამდენი ადამიანი გაუბედურდა მისი მიზეზით."



ლამარა ასიეშვილი

ლამარა ასიეშვილის სახელი უცხო არ არის «იალქნის» მკითხველისთვის. მისი წერილები რამდენჯერმე დავბეჭდეთ რუბრიკით - «ხარობს მხოლოდ აფხაზეთში». ქალბატონი ლამარა «ნომრის სტუმარია». ამ რუბრიკას, ტრადიციულად, ინტერვიუს სახით ვთავაზობთ მკითხველს, მაგრამ ამჯერად თემას განსხვავებული ფორმატი მოერგო.

თქვენ გელით თავბრუდამხვევი მოგზაურობა აფხაზეთის თვალწარმტაც მთებში, გაეცნობით უნიკალურ ქართულ ტიტას, სხვა კუთხით დაინახავთ დიდებულ მამულიშვილს, ცნობილ ბოტანიკოსს, აკადემიკოსს - ბატონ ნიკო კეცხოველს.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ლამარას იშვიათ მცენარეთა კოლექციაში დღესაც არის სოხუმის ბოტანიკური ბაღიდან ჩამოტანილი ველური ენდემური ჯიშები: ვიტმანის იორდასალამი, ოლღას ფოლიო, ბზიფის ქონდარი, ბარბეის ღიღილო, აფხაზეთის ხარისძირა და კავკასიის დიოსკორეა.

ლამარა ასიეშვილი გვიამბობს თბილისის ბოტანიკური ბაღის შესახებაც, რომელიც მეფის რუსეთის დროს, 1845 წელს დაარსებულა «სამეფო ბაღის» სახელწოდებით. თუმცა საქართველოში ჯერ კიდევ V ს.-დან ვხედავთ ბოტანიკური ბაღის კონტურებს; ვახტანგ გორგასალი თურმე მის სიახლოვეს ნადირობდა, სწორედ იქ, სადაც ნანადირევი ხოხობი თბილ წყალში ჩავარდნილა. ოდნავ მოგვიანებით ცნობილი ფრანგი მოგზაური შარდენი იხსენიებს ბაღს, რომელიც, სავარაუდოდ, დღევანდელი ლეღვთახევია.

როგორია დღეს ბოტანიკური ბაღი? როგორც ქალბატონმა ლამარამ გვითხრა, იგრძნობა გამოცოცხლება, იმატა მცენარეთა კოლექციებმა, ახალმა სახეობებმა, აღდგა ორანჟერეა, საცდელ-სასელექციო ნაკვეთები, გაკეთდა საფეხმავლო გზები, ხიდები და, რა თქმა უნდა, მოიმატა მნახველთა რაოდენობამ. აღსანიშნავია, რომ ბოტანიკურ ბაღს ახლახან შეემატა ძვირადღირებული, იშვიათი ჯიშის პალმა და იაპონელების მიერ გაშენებული «იაპონური ბაღი».

ქალბატონი ლამარა ასიეშვილი თბილისის ბოტანიკურ ბაღში კავკასიის იშვიათი, გადაშენებადი და სამკურნალო მცენარეების განყოფილების უფროსია. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა თუ პროექტის ავტორი (მნიშვნელოვანია მისი წიგნი სახელწოდებით «ტიტას კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში»), რაზეც მოპოვებული გრანტები და ჯილდოები მეტყველებს.

# ჩიფშირის სველ მთებში

პუბლიკაცია მოამზადა ნუნუ ჯანელიძემ

აფხაზეთთან უმშვენიერესი მოგონებები მაკავშირებს. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად მიწევდა იქ ჩასვლა. აფხაზეთი, სადაც ზღვისა და მთის ჰავა შეზავებულია მზით, გამოირჩევა უნიკალური ფლორით. იქ ყველაზე მეტი ენდემური ჯიშია, რომელიც კირქვოვნებში კარგად იზრდება (საქართველოში 4000 მცენარიდან ყვავილების 2000 სახეობა მარტო აფხაზეთშია).

გასული საუკუნის 70-იან წლებში ინგლისიდან, ქიუს რიჩმონდის „სამეფო ბაღიდან“ დამიკავშირდა ჩემი კოლეგა - ბრაიან მათეო, რომელიც ბოლქვიანებზე მუშაობდა. მასთან ერთად ბევრი მიმოგზაურია საქართველოში.

ბრაიანი მწერდა, სელექციურ მუშაობას ვაწარმოებ და ძალიან მჭირდება შაფრანის ყვავილი, რომელიც მხოლოდ აფხაზეთში, ჩიფშირის სველ მთებში, 4000 მეტრზე ხარობსო.

სოხუმის ბოტანიკური ბაღის ხშირი სტუმარი ვიყავი, მყავდა ბევრი ნაცნობი. მათ შორის, იყო წარმოშობით პოლონელი, აკადემიკოსი ალფრედ კალაკოვსკი, რომელიც აფხაზეთის ფლორაზე მუშაობდა. აფხაზეთის ბუნებით მოხიბლული სოხუმში დასახლებულა. მის მიერ გამოცემული ოთხტომეული ახლაც ჩემს სამაგიდო წიგნებს შორისაა.

ჩავედი სოხუმში, შევხვდი კალაკოვსკის, ვუთხარი, რა დავალებაც მქონდა. კალაკოვსკის გაეცინა: ქალაქელო, შენ იქ ამსვლელი ხარ? მე ერთხელ ძლივს შევძელი ეს, ისიც ახალგაზრდობისას, შენ, ალბათ, ხუმრობ?!.

საბოლოოდ კალაკოვსკი დამყვა და მეგზურად ფლორით დაინტერესებული აფხაზი გამომიძებნა. ბოტანიკური ბაღის მაშინდელი დირექტორი გივი აიბაც დაგვეხმარა.



ბარბეის ღიღილო - ხარობს მხოლოდ აფხაზეთში

**ვიცოდი, შაფრანი მხოლოდ 8-10 დღე ჰყვავის, 1-დან 10-სექტემბრამდე, მერე ქრება და მიწაში ძვრება მომავალ წლამდე. როცა ის გამოჩნდება, მალე თოვლიც მოდის.**

ცხენზე მხოლოდ ბავშვობაში ვიჯექი. მახსოვს, ბახმაროში სტუმრობისას ბებია ბავშვებს ცხენზე დაგვაკრავდა და ისე გვასეირნებდა. იმის შემდეგ იმდენი დრო იყო გასული, მაგრამ შაფრანის ნახვისა და ბრაიანის გახარების სურვილით შიში არ გავამხილე, არ შევიმჩნიე, დიდი ცხენოსანი რომ არ ვიყავი.

**ავმხედრდით მე და ჩემი აფხაზი მეგზური და ავუყევით აღმართებს. მივდივართ ვიწრო ბილიკით, ციცაბოა,**



ლამარა ასიეშვილი

**მერე მდელო. საოცარი სილამაზეა, ხელშეუხებელი, პირველყოფილი ბუნება - სუბალპური ზონა. აქ ყველაფერი სხვანაირია, ცა, ჰაერი. ხარბად ვათვალიერებ ჩემს ირგვლივ გადაშლილ პეიზაჟებს, თვალებით ვისრუტავ ახალ სამყაროს, ლაღად ვსუნთქავ. მინდა, ყველაფერი დავიმახსოვრო, სამუდამოდ აღვიბეჭდო ჩემს გონებაში** (ვნანობ, რომ მაშინ არ იყო ვიდეოგადაღება და ყველაფერი მხოლოდ ჩემმა გულმა დაიმახსოვრა).

მე და ჩემი მეგზური ლაპარაკით მივიწევთ წინ, ვეცნობით ერთმანეთს. გზა თანდათან ძნელდება, ცხენებიც იღლებიან, მაგრამ წუწუნის გარეშე ვაგრძელებთ სვლას.

საღამოსთვის ავდივართ გაშლილ ადგილზე. მხლებელი მეუბნება, რომ ახლოს სადღაც მწყემსების ქოხია, სადაც, სავარაუდოდ, ღამე უნდა გავათიოთ.

შუა ხნის აფხაზები, კეთილგანწყობით გვხვდებიან, ვსაუბრობთ რუსულად.

**ერთი ქალი ვარ ამდენ მამაკაცს შორის, ახალგაზრდა, არც თუ ურიგო გარეგნობის, მაგრამ შიში არ მეუფლება. ვგრძნობ, ყოველი მათგანისთვის რა წმინდაა სტუმარ-მასპინძლობისა და ნდობის ადათი.**

მწყემსები იგებენ ჩემი სტუმრობის მიზეზს. ერთმანეთს ეკითხებიან, რა მცენარეა, სად იზრდება, როგორიაო. მე შაფრანს მხოლოდ წიგნიდან, სურათით ვიცნობ, მორფოლოგიურად. ვიცი, რომ შაფრანი პატარა, 5-7 სმ-ის მუქ-ლილისფერი ყვავილია. ერთ მწყემსს ახსენდება, ასეთი აქეთ მინახავსო. გახარებული ვეხვევი ამის მთქმელს. მისი განცვიფრებული თვალები ახლაც მახსოვს.

ქოხში შუა ცეცხლი ანთია. მწყემსებს სულუგუნები მოაქვთ, ისეთია, რძე გადმოსდის. ღომის გაკეთებას არავის ვანებებ, კეთილ მასპინძლებს ქალაქიდან წამოღებულ ტკბილეულსაც ვთავაზობ. ვახშმის შემდეგ იქაურობას ვალაგებ და ვასუფთავებ. ჩემთვის ვფიქრობ, სად უნდა მომასვენონ. ქოხის სიღრმეში პატარა ადგილია, ნიშასავით ხის აჭედილი ტახტით. ნაბადიც მომახურეს. გაუხდელი ვწვები, შარვლიანად.

დილით ადრე ვდგებით, ვსაუზმობთ. აფხაზ მწყემსებს ჩემთვის მოჰყავთ ულამაზესი, ნაცრისფერი ბედაური, შავხალებიანი. ისევ გაბედულად ვჯდები ცხენზე, ვგრძნობ, ყველანი მოხიბლულნი არიან ჩემი სიჩაუქით. ორი მწყემსი მოგვყვება, უფრო ახლოს ვეცნობით ერთმანეთს. **როგორც მაშინ შევიტყვე, „მუზეუმში ღია ცის ქვეშ" რიკულებითა და ჩუქურთმებით დამშვენებული ორი აფხაზური ოდა თურმე მათ აუშენებიათ.**

მივდივართ. ჯერჯერობით არაფერი ჩანს. **ეჭვები არ მასვენებს, ნუთუ ვერ ვიპოვი, ნუთუ დავმარცხდები? 3 სექტემბერია. მზე ანათებს, ირგვლივ ყველაფერი ულამაზესია. 3-4 საათია, მთის ტაფობზე მივდივართ. უეცრად, ვხედავ, აგერ ლილისფერი ყვავილი! არც კი ვიცი, როგორ გადმოვხტი ცხენიდან - როგორც ქორი დააცხრება ნადავლს, ისე დავაფრინდი ჩემს საოცნებო ყვავილს. მინდა, ვიყვირო, მაგრამ ხმა არ ამომდის. ვიჩოქებ. ირგვლივ, 20-30 მეტრის რადიუსში, ლილისფერი ზღვაა. უკან ვიხევ, ყვავილები რომ არ დავსრისო.**

ყვავილებს მიწიდან დანებით ფრთხილად ვიღებთ. გახარებული მწყემსებიც გვეხმარებიან. გულზე მიხუტებული ყვავილებით ვბრუნდები ქოხში. უკვე გვაღამდება. მეორე დღეს სოხუმში ვარ და გახარებულ კალაკოვსკისაც 50 ცალ ულამაზეს შაფრანს ვუტოვებ.

თბილისში ბედნიერი ვბრუნდები და ბოტანიკურ ბაღში ვახარებ აფხაზებთან ერთად მოძიებულ უიშვიათეს მცენარეს.

**სხვა დროსაც ჩავდიოდი აფხაზეთში, მაგრამ განსხვავებული იყო მოგზაურობა ჩიფშირის სველ მთებში, ისეთივე დაუვიწყარი და განუმეორებელი, როგორც შაფრანის ლილისფერი ყვავილი და ახალგაზრდობის წლები.**

## აყვავებული ჯვრები



წითელი ტიტა (ქართული)

**ტიტა ძველთაგანვე აღმავლობისა და ძლიერების სიმბოლოდ ითვლებოდა. არის თქმულება, რომ მაცხოვრის მამას, იოსებს, ტიტები იესოს საფლავზე დაუდვია; ამიტომ ტიტებს აყვავებულ ჯვრებსაც ეძახიან.** ტიტას თურქულად ლალი ჰქვია და წითელს ნიშნავს. თურქეთში ტიტას მრავალი სახეობაა, მაგრამ ნაკლებად გამძლეა და მალევე ავადდება. იქ ძველად წვეულებაზე მოსულ უცხოელ სტუმარს პატივისცემის ნიშნად ტიტას ბოლქვებს ჩუქნიდნენ.

მაგრამ მცდარია გადმოცემა, რომ ტიტა თითქოს თურქული წარმოშობისაა. სინამდვილეში ტიტა უძველესი ქართული ყვავილია და მისი სამშობლო

* - ვერტიკალური ქვის სვეტი, წარწერით ან რელიეფური გამოსახულებით.


ბოტანიკური ბაღი. ხედი ახლადგახსნილი „იაპონური ბაღიდან“.

საქართველოა. ჯერ კიდევ IV ს.-მდე, როდესაც ქრისტიანობა შემოდიოდა, ჩვენში მისი 2 სახეობა-წითელი და ყვითელი ტიტა არსებობდა. არქეოლოგიური გათხრების დროს ბოლნისში, ლამაზ გორაზე აღმოჩენილ სტელაზე* სწორედ ეს ყვავილია ამოტვიფრული. საყურადღებოა ერთი ფაქტიც: სპილენძის უძველეს ჭურჭელზე, რაშიც მირონი იხარშებოდა, ასევე, აღბეჭდილია ტიტა.

სამწუხაროდ, დაუდევრობით საქართველოდან ბევრი მცენარე გავიდა. ზემოთ მოხსენიებულ ლამაზ გორაზე გადიოდა საქარავნე გზა. უცხოელი ვაჭრები შემოდიოდნენ ამ გზით და აქლემებს ტვირთავდნენ ენდროს ძირებით. ქართული ენდრო განთქმული იყო თავისი ხარისხით, ფერი არ გასდიოდა. ენდროთი მატყლსა და მოქსოვილ ხალიჩებს ღებავდნენ.

ქართული ტიტა დღესაც გამორჩეულია, ცნობილია გამძლეობითაც. ეს მისი ქრომოსომების დამსახურებაა. ჩვეულებრივ ტიტას 16-17 ქრომოსომა აქვს, ქართულ ტიტას კი - 25-დან 36-მდე.

ამჟამად თბილისის ბოტანიკურ ბაღში ორივე ფერის ქართული ტიტა გვაქვს, წითელიც და ყვითელიც. ტიტა ძნელად გასამრავლებელ ჯიშთა სიაშია და წითელ წიგნშია შეტანილი.

ყვავილის ამ სახეობით დაინტერესდა უდიდესი ჰოლანდიელი სელექციონერი - ლეფებერი. მას სწორედ გამძლე ჯიშები აინტერესებდა და როცა ქართული ტიტები შეაჯვარა, აღფრთოვანებულმა თქვა: თქვენმა ტიტებმა რევოლუცია მოახდინეს!

## საქორწილოდ მორთული პატარძალივით

არასდროს დამავიწყდება ბატონ ნიკო კეცხოველთან ჩემი პირველი შეხვედრა. როცა გავიგე, მიბარებდა, დიდი გლადიოლუსები დავკრიფე და მივართვი. ბატონმა ნიკომ ცალი ხელით ყვავილები გამომართვა, მეორეთი კი გულზე მიმიხუტა. მერე თაიგული მაგიდაზე დადო და გულითადი საუბარი გამიბა. ამის შემდეგ ხშირად მირეკავდა, რამდენჯერმე ექსპედიციაშიც მიმიწვია. მახსოვს, როგორი სიხარულით ხვდებოდნენ გლეხები, უყვარდათ იგი, რომელიც გულუხვი იყო მათ მიმართ.

**ბატონი ნიკო მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი, ნამდვილი ერისკაცი. ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა, სიხარულისგან ტიროდა. სახლში ჰქონდა სპილოს ძვლის ძვირფასი ჭადრაკი და ის დაუნანებლად გაუგზავნა საჩუქრად ქალბატონ ნონას.**

ბატონი ნიკო ხშირად სტუმრობდა ბოტანიკურ ბაღს და ხარობდა მცენარეების ნახვით. მახსოვს მისი გამონათქვამი უსაყვარლეს ყვავილზე - ქართულ ზამბახზე: ნახეთ, საქორწილოდ მორთულ პატარძალს არა ჰგავს!

ერთხელაც მომინიშნა ნაკვეთი, აქ ხელი არაფერს ახლო, უცხოელმა სტუმარმა უნდა ნახოს, ბუნებრივად რა იზრდება ბოტანიკურშიო. რა თქმა უნდა, თხოვნა შევუსრულე, ბილიკიც გავიყვანე იქამდე მისასვლელი. მართლაც, მალე გვესტუმრა გერმანელი ჰერცოგის მეუღლე, რომელიც ორქიდეაზე მუშაობდა. იმდენად მოიხიბლა ველური ბუნებით, ჩემს გაკვალულ ბილიკს ფეხშიშველი აჰყვა და იქიდან სურათი გადაიღო.


ქართული ზამბახი - ნიკო კეცხოველის უსაყვარლესი ყვავილი

მაიკო თუ გაქვსო, მკითხა ერთხელ ბოტანიკურში მოსულმა ბატონმა ნიკომ, იორდასალამს გულისხმობდა. ვუპასუხე, რომ არ მქონდა და ისიც დამპირდა, აუცილებლად გაჩუქებო.

ბატონი ნიკო ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იშვიათი იორდასალამი ქართლში იპოვა და შვილიშვილის, მაიკოს სიყვარულით მას მაიკოს იორდასალამი დაარქვა. მაშინ ამ აღმოჩენამ მთელ ქვეყანაში აღტაცება გამოიწვია. მაიკოს იორდასალამი მართლაც გამორჩეულია, მოიპოვება მცირე რაოდენობით. ველურ ბუნებაში წვრილფოთოლა და კავკასიური იორდასალამი შეჯვარდა და გამოვიდა ჰიბრიდი.

**ვიცოდი, ბატონ ნიკოს მაიკოს იორდასალამის ერთადერთი ძირი ჰქონდა, კერძო სახლის ეზოში გახარებული. ერთ დღეს იქ დამიბარა და მეც გულაკანკალებული მივედი. მომიტანეთ ჩემი ბარიო, ბრძანა ბატონმა ნიკომ. მან მცენარე მიწიდან ბარით ფრთხილად ამოიღო და მისი ფესვები შუაზე ჩაჭრა.**

**შენზე უკეთესს ვის მივცემ, იმედი მაქვს, გაამრავლებო, მითხრა.**

**გავამრავლე...**

* პირველი ქართველი წამებული მეფის - არჩილის (VIII ს.) ქალიშვილმა - სილამაზით განთქმულმა შუშანამ ცოლობაზე უარი შეუთვალა ხაზართა ხაკანს. ამ მიზეზით წარმართი ხელმწიფის ბრძანებით, ხაზარებმა აიოხრეს ქართლ-კახეთი. დატყვევებულმა შუშანამ გზაში ბეჭდის თვლის ქვეშ დამალული საწამლავი ამოსწოვა და თავი მოიკლა.

* უფლის დედა - მარიამი 14 წლის იყო, როცა დააქორწინეს ბევრად მასზე უფროსზე, მართალ იოსებზე.

* როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ჰეროსტრატემ, სახელი რომ გაეთქვა, მსოფლიოს 7 საოცრებიდან ერთ-ერთი - არტემიდას ტაძარი - სწორედ იმ დღეს დაწვა, როცა დაიბადა ალექსანდრე მაკედონელი.

* ახი-ბოხი - მთაა აფხაზეთში, ბზიფის ქედზე და აფხაზურად ნიშნავს "მთავრის მთას"; მდებარეობს ზღვის დონიდან 2518 მ სიმაღლეზე.

* ყველაზე სწრაფი თევზია - აფროსანა; ის 110 კმ/სთ-ით დაცურავს; ხმელეთის ცხოველებს შორის - ავაზა (100 კმ/სთ-ის სიჩქარით); ფრინველებს შორის - პატარა ნამგალა (170 კმ/სთ-ის სიჩქარით); თუმცა ნამგალა შეუჩერებლად მხოლოდ 10-20 წმ მოძრაობს; ამასთან, აქვს ფართო პირი, სადაც ერთდროულად ინახავს 370-მდე მწერს.

* ინდიელები მიიჩნევენ, რომ თავიდან შვილს უნდა მოექცე, როგორც მეფეს, შემდეგ - როგორც მონას, ბოლოს კი - როგორც მეგობარს.

* ვაჟა-ფშაველა - ეს ფსევდონიმი დიდ მწერალს დაარქვა მისმა მეგობარმა - დიმიტრი ცისკარიშვილმა.

* ძველ რომში, როცა კონსული თანამდებობას იბარებდა, ფიცს სდებდა, რომ კანონებს კეთილსინდისიერად დაიცავდა. ერთი წლის შემდეგ, როცა თანამდებობის ვადა ამოიწურებოდა, იფიცებდა, რომ დანაპირები პირნათლად შეასრულა.

* ერთ-ერთი უძველესი, 1918 წელს იაპონიაში დაარსებული ელექტრო-მწარმოებელი ფირმა - "მაცუსიტა-ელექტრონიკს" გამოყოფილი აქვს საგანგებო ოთახი, სადაც დგას დირექტორის ფიტული. განაწყენებულ მუშას უფლება აქვს, ჯავრი იყაროს დირექტორზე მისი ფიტულის ცემა-ტყეპით.

* XIV ს.-დან აფხაზეთის კათალიკოსები იყვნენ: ჩხეტიძე, საყვარელიძე, გურიელი, მაჭუტაძე, ქვარიანი, ლორთქიფანიძე, ნემსაძე, აბაშიძე... ყველა იყო ქართველი. 1830 წელს აფხაზეთში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, დამყარდა რუსული მმართველობა. ქართველი ეპისკოპოსები უკვე შეცვალეს რუსმა სასულიერო პირებმა.

* "მადლიერი მკითხველისაგან 4-დან 70 წლამდე", - აწერია პინოქიოს ძეგლს იტალიაში.

* ცნობილ ქართველ ფეხბურთელს - სლავა მეტრეველს ინგლისელებმა - პეპელა - "ბატერფლაი" შეარქვეს - პეპელასავით არის, ვერ ვიჭერთო.

* იტალიის ჩრდილოეთით მდებარე - ბოლონიის უნივერსიტეტი ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. იგი დაარსდა 1088 წელს.

* პარიზში დამზადებული "თავისუფლების ქანდაკების" ავტორია ფრედერიკ ბართოლდი, რომელმაც 47 მეტრის სიმაღლის თავისი ქმნილება აჩუქა ამერიკელებს. მოდელად მას თურმე საკუთარი დედა ჰყავდა.

* XIX ს.-ში რუსეთში ერთ-ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდა ალექსანდრე პუშკინს; რაც შეეხება დუელს: მას 30-მდე დუელში მიუღია მონაწილეობა.

* საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს, 17 სთ-სა და 10 წთ-ზე. ეს იყო ეროვნულ საბჭოში, დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში. 1918 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა. ჯერ რუსეთმა, შემდეგ სხვა სახელმწიფოებმაც (გერმანია, ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, იაპონია, შვეიცარია... სულ 17-მა ქვეყანამ) ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ ძალიან მალე, 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია.



თამარ ჯანელიძე

ნიკო ლორთქიფანიძისა და ოტია იოსელიანის მშობლიურ წყალტუბოში, რა გასაკვირია, თუ დიდია ლიტერატურისადმი ინტერესი. 2014 წელს აღდგა ძველი ტრადიცია: ყოველ წელს ტარდება სახალხო დღესასწაული "შემოდგომის წყალტუბო". ამავე ფორმატში მცირე პროზასა და პოეზიაში მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის ეწყობა ლიტერატურული კონკურსი.

კონკურსანტებს დასაწერად ეძლევათ დრო 2-3 საათი და რამდენიმე სიტყვა-მინიშნება, რომელზეც უნდა აიგოს ჩანახატი. ერთ-ერთი კონკურსის პრიზიორად დასახელდა წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახელობის #1 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე - თამარ ჯანელიძე.

ახალგაზრდა შემოქმედი სათაურშივე გვაფიქრებს სოფლის ამაოებაზე; "თიბათვეს ყველა მოიცელება", შფოთავს ავტორი. მას გულს უკუმშავს ნაადრევად წვეული ე. წ. მსოფლიო სევდა. ამავე დროს, ვხედავთ, წუთისოფლის წარმავლობაზე დაფიქრება როგორ აკეთილშობილებს აზრებს, სამყაროზე დაკვირვება და უზენაესის წვდომის უნარი კი წუხილთან ერთად მშვენიერს ხდის ყოფას.

ვიმედოვნებთ, თამარ ჯანელიძე თავისი ნიჭიერებით მომავალშიც გაგვახარებს.

## თიბათვეს ყველა მოიცელება

თამარ ჯანელიძე

მეოცნებე ვარ, მაგრამ, ვერ გეტყვით, ეს კარგია თუ ცუდი. საკუთარ ოცნებებში ხშირად განვმარტოვდები. აი, ისე, როგორც ერთხელ ღამით, როცა ვერ ვიძინებდი და ოცნებებით დავუპირე შავბნელ ღამეს გულის გამოთეთრება.

მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა. უმეტესად კი ვმეგობრობ მათთან, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, დიდად ახირებული ხასიათი მაქვს. ჩემს ოცნებებში ხშირად მარტო ვბორიალობ, ვეძებ რაღაცას, რაც გულიდან მოდის, სულის შთაგონებით და გონება ხშირად მას ვერ წვდება. აი, მაგალითად:



გაშლილ მინდორზე ერთადერთი ხის ძირას, მწვანე ქათიბად დაფენილ ნორჩ ბალახებში წამოწოლილი, ხელებგაშლილი, სუნთქვაშეკრული, გაშტერებით ავყურებ ცას. ვაკვირდები ხის ფოთლებში გამოჭყეტილ მზის სხივებს, დედამიწას რომ ათინათად ეფრქვევა და ვხვდები, რომ არ კმარა მზის გულიდან ამოსროლილი სითბო, რომელიც ძლივს აღწევს ჩემამდე: ვხვდები, ეს საკმარისი არაა, გული გავითბო, გათოშილი სხეული მოვიბრუნო და სხივებს თან ავყვე მაღლა ცაში; ვხვდები, ხის ფოთლები საიმედოდ კრავენ სხივთა შარავანდედს და თუ არ გავიქეცი, თუკი ასე გაქვავებული დავრჩი, ქვად გადავიქცევი და ძეგლი შევიქმნები, სახელად - „უმოქმედო მეოცნებე“. არა, არა, უნდა გავიქცე, არ კმარა ეს სხივი, ეს სინათლე, ეს სითბო; არა, არა, მე მეტი მინდა.

ამ ფიქრებში ვიყავი, მოცელილმა ბალახმა მომაკვდავის ხმით რომ ჩამჩურჩულა:

- ესაა ჩვეულებრივი კაცის ცხოვრება. იცხოვრე ისე, რასაც გული და სული ერთად შეაჯამებს და მთავარი - ნაფიქრი საქმედ აქციე.

ალაპარაკებული ბალახით გაკვირვებულმა ვიგრძენი, როგორ ავმაღლდი და დავინახე საკუთარი სხეული, ბალახის ღეროდ ქცეული. გაოცება ვერც მოვასწარი, რომ ის ისევ გამომესაუბრა და დარდით დამძიმებული კილოთი მითხრა:

- თიბათვეს ყველა მოიცელება!

ეს თქვა და გამაჟრჟოლა, რადგან მთელი სიმძაფრით ვიგრძენი თიბათვის მოახლოების ყოველდღიური შესაძლებლობა და ჩემი ისევ ჩრდილში გაუნძრევლად ყოფნის სევდა.

დამფრთხალმა გამოვიღვიძე და ვნახე, იმდენ ხანს მძინებია, რომ სახეზე ცხრა ნაოჭი ღრმად მეტყობოდა...

გალელი ცოტნე გუჩუა დღეს ხობის #2 საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეა (ოქროს მედლის კანდიდატი).

ამბობს, რომ უყვარს კითხვა, განსაკუთრებით კი, ისტორიული მოთხრობების. ჩვენი ქვეყნის წარსული, მისი გმირი წინაპრების მაგალითები ასაზრდოებს ცოტნე გუჩუას არანაკლებ კეთილშობილ, ფაქიზ სულს (რაც იკვეთება კიდეც მისი სტრიქონებიდან).

კალამიც, ნიჭთან ერთად, ალბათ, ადამიანებისადმი თანაგრძნობის სურვილმა აალებინა ხელში. მისი სიყვარული უთვალთმაქცოა, უანგარო. როგორც თხზულებიდან ვიგებთ, მთავარი ღირებულება ამქვეყნად ადამიანია, რადგან ყველა "ადამის მოდგმაა" და ყველას ერთნაირად აქვს უფლება სიხარულის, სიყვარულის.

ცოტნე გუჩუა აბიტურიენტია; ოცნებობს ქირურგობაზე. მომავალი ექიმისთვის კი საშური და აუცილებელია, გადაარჩინოს საკუთარ თავში სულიერება და სიფაქიზე.



ცოტნე გუჩუა

## სულის გაზაფხული

ცოტნე გუჩუა

...ის მუდამ ჩუმად, ფეხაკრეფით მიუყვება გზას. ჩერდება, მიმოიხედავს, თითქოს ვიღაცას ემალება, გაურბის და ცდილობს, ჩქარი ნაბიჯებით იაროს. დადის მთელი დღე; ხან სად არის და ხან ვის მიადგება; ეძებს სამუშაოსა და ლუკმა-პურს. მასაც შია და სწყურია. ობოლია, მარტოდმარტო, თვალცრემლიანი. გულჩათხრობილი თხრის, თოხნის, ჩეხავს, ტვირთს ეზიდება. ამუშავებენ გროშების საფასურად. ხშირად იმასაც არ აძლევენ, რამდენიმე ნაჭერ პურსა და ცოტა ყველს ან ძეხვს ჩაუდებენ ხელში და კარს გამოუხურავენ.

დღეს ღამე მოსდევს, ღამეს კი - დღე. წლებია, გრძელდება ასე. ჯანმრთელობაც შეერყა, ხშირად ავადმყოფობს, მაგრამ ცოცხლობს; თუმცა ისევ აბუჩად იგდებენ, დასცინიან, თავში უთაქუნებენ და ხალისობენ ადამიანები, არსებები, რომლებიც უფალს სანთელს უნთებენ, ლოცულობენ, მარიამ ღვთისმშობელს ევედრებიან, პირჯვარს იწერენ და სხვისი უბედურების საპირწონედ თავიანთ მაძღარ სახეებს ამქვეყნიურ სრულყოფილებად მოიაზრებენ. არადა, მზად არიან, ნებისმიერ დროს გათელონ, შეურაცხყოფა მიაყენონ და არც ახსოვთ, რომ ისიც ადამის მოდგმაა და აქვს უფლება, შეიგრძნოს ის ბედნიერება, რაც განუსაზღვრა უფალმა წუთისოფელში მოვლენის ჟამს.

მას სითბო სჭირდება.

...ქუჩაში მხვდება და ღონივრად ვართმევ ხელს, მოვიკითხავ, ვესაუბრები. უხარია და თვალები უელავს, შუქი ეფინება სახეზე, შუბლი ეხსნება. სახლში ვეპატიჟები, ვსადილობთ და ამბებს ვუყვებით. ჭადრაკი აინტერესებს. ვეთამაშებით.

ჭადრაკის პაიკად მოიაზრებს საკუთარ თავს.

სევდა იკითხება მის თვალებში, მაგრამ არ გაბოროტებულა, სული სუფთა აქვს. ზოგჯერ ხალისობს, თითქოს თავის გაზაფხულს ელოდება.

ბიჭები ვიკრიბებით და ფეხბურთს ვთამაშობთ; ის ჩვენთანაა და უხარია, მალულად იღიმის. მდინარეზეც ერთად მივდივართ. გრძნობს, რომ ის მხოლოდ „იმ სხვების" გვერდით არ ცხოვრობს; აქ ჩვენც ვართ, მისი მეგობრებიცა და ძმაკაცებიც.

თითქოს ელოდება რაღაც ახალს, სათუთს, ისეთს, რაც მას ფეხზე დააყენებს. სხვანაირად არაფერი გამოვა, ისევ თავის სიმარტოვეში დარჩება.

ჩვენ, ბიჭები, მას სულის გაზაფხულს აუცილებლად მოვუყვანთ, ძალას შევმატებთ და, ისიც მიხვდება: ბნელში მიყრუებული ადამიანი არაა ბოლომდე განწირული, თუ მას უფალი შეეწევა და ჰპოვებს თავის ადგილს ქვეყნის საწიერზე.

მისი გახარებით ჩვენი გამარჯვება ძალიან მინდა!




კონსტანტინე გამსახურდია

# კონსტანტინე გამსახურდია
## (1891-1975 წ.წ.)

„ჯერ კიდევ 7 წლის ბიჭი ვიქადნიდი, წამოვიზრდები და ჩვენი ქვეყნის მტრებს გავჟუჟავ-მეთქი. მთელი ჩემი სიყრმის მანძილზე ვოცნებობდი: დიდი გენერალი გავმხდარიყავი, ლაშქარი შემედგინა და საქართველოს მტრები შემემუსრა.“

„სამივე გიორგის, ხუთივე ბაგრატის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალისა და სვიმონ მეფის მახვილნი პერმანენტულად ელავდნენ ტფილისის, ლორეს, ბირთვისის, ბოჭორმის, ანისის, დვინის ციხეთა დაცვისას...“

„პროპორციულად არც ესპანეთს, არც იტალიასა და არც საფრანგეთს, ძველი ხუროთმოძღვრების ამ კლასიკურ ქვეყნებსაც არ გააჩნია იმდენი ციხე და ბასტიონი, გოდოლი, რამდენიც საქართველოს. ჩვენი ხალხი არასოდეს მოკვდება, რადგან ყოველი გზის პირას ციხეს ნახავ და ყოველი გზის ასაქცევთან ვაჟკაცს შეხვდები...“

ასე აზროვნებდა და წერდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე გამსახურდია, ვინც საკუთარ თავს ილიას სულიერ შვილად მიიჩნევდა; ვინც შემოქმედებითი გზა სტრიქონებთან, დროსთან, ჩინოვნიკებთან, უსამართლობასთან მუდმივ ჭიდილში გალია; ვისთვისაც მამულზე დიდი ღმერთი მხოლოდ უფალი იყო.

## აზნაურთა შტო

გამსახურდიები აზნაურები იყვნენ. გამსახურდიას გვარის ერთ-ერთი შტო მეფე ვახტანგ VI-ს გაჰყოლია რუსეთში.

კონსტანტინეს მამა - სვიმონ გამსახურდია ბუნებით უშიშარი იყო. ერთხელ თურმე ყველას თვალწინ ცხენი შეუგდია ნაპირებიდან გადმოსულ აბაშაში და ახლობლების თხოვნაზე, ნუ იზამ ამასო, შეუძახა მათ უშიშრად: მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ ჩვევიაო.

ბუნებით აზარტული თავს მუდამ ჯირითითა და ნადირობით იქცევდა, მაგრამ წიგნების კითხვა, მაინცდამაინც არ ჰყვარებია.

„თავის სიცოცხლეში „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითნის“ გარდა წიგნი არ წაუკითხავს და მე აგრე მახსოვს, იგი გულდასმით ამტკიცებდა: რაც დასაწერი იყო, ამ ორ წიგნში უკვე დაუწერიათ და სხვა რამ არც არისო საჭირო“, - იგონებდა მამის შესახებ კონსტანტინე.

კონსტანტინეს დედა - ელისაბედ თოფურიძე, წარჩინებული აფხაზების შთამომავალი, დიდებული ქალბატონი იყო, ფრიად მორწმუნე, მშრომელი, ქველი.

„დედაჩემს ელისაბედს ხელსაქმე უყვარდა, „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა; ყოველ საღამოს, დაწოლის წინ, ხატების წინაშე დაჩოქილი ლოცულობდა, ფსალმუნის ლექსებს გალობდა, წირვა-ლოცვასაც არასოდეს გამოტოვებდა,“ - ასეთი სიყვარულით იხსენებს დედას მწერალი.

კონსტანტინე, სვიმონ და ელისაბედ გამსახურდიების ნაბოლარა შვილი (ჰყავდათ 8 ძე და 1 ასული), დაიბადა 1893 წლის 5 მაისს, სოფელ ძველ აბაშაში.

უმცროსი ვაჟი სვიმონს გამორჩევით უყვარდა და სასიყვარულო სახელსაც - უტას ეძახდა. თუმცა, წერს კონსტანტინე გამსახურდია, „მამაჩემი ალერსით მაინცდამაინც არ მანებივრებდა. არასოდეს მას ჩემთვის არ უკოცნია. მხოლოდ გვიან გავიგე, როცა იგი გვიან ღამით შინ მობრუნდებოდა, თურმე, ჩემი საწოლის წინ დაიჩოქებდა და თვალებს ამომიკოცნიდა“.

## ცხოვრების პირველი გაკვეთილები


გიმნაზიელი კონსტანტინე

ბუნებით მამაცი სვიმონი შვილსაც აჩვევდა მამაცობას. დაუჯერებელია, მაგრამ ერთხელ, 6 წლის კონსტანტინე მამამ თურმე მორევში გადააგდო, ცურვას ისწავლისო; ერთხელაც კი, მაშინაც სკოლამდელი ასაკის ბიჭუნა, შეუკაზმავი ცხენის ზურგზე შემოსვა და ბედაურს მოულოდნელად მათრახი გადაჰკრა:

- აბა, შენ იცი, არ ჩამოვარდე! - მიაძახა დამფრთხალ „მხედარს“, რომელსაც ცხენი უკვე მთელი სისწრაფით მიაქროლებდა სოფლის გზაზე.

„ცხენის ფაფარს ჩაფრენილი ჯერ შეშინებული ვყვიროდი და გზად შემხვედრ გლეხებს საშველად ვუხმობდი; მაგრამ, როდესაც მივხვდი, ჩემი თავისთვის მე თვითონ უნდა მეშველა, უფრო მაგრად ჩავებღაუჭე ფაფარს, ფეხებიც ცხენის ტანს შემოვაჭდე და შევატყვე, რომ დამემორჩილა,“ - იგონებდა მოგვიანებით მწერალი.

მაშინაც ძალიან პატარა იყო კონსტანტინე, ფეხშიშველა დედამ ქუთაისში,


დედა -
ელისაბედ თოფურიძე

გელათის აკადემიაში რომ წაიყვანა პირველად. იქ დავით აღმაშენებლის ფრესკა უნახავს. როდესაც დედამ მის შესახებ უამბო, იმ დღიდან წმინდა მეფის დიდი თაყვანისმცემელი გამხდარა.

მრავალი წლის შემდეგ დიდმა მწერალმა თავის უკანასკნელ ბრწყინვალე რომანს „დავით აღმაშენებელი" უწოდა (ამ ტეტრალოგიისთვის, რომელზეც 20 წელი იმუშავა, 1965 წელს, ერთ-ერთ პირველს, რუსთაველის პრემია მიენიჭა).

დედამისის შემდეგ კონსტანტინეს ყველაზე მეტად უყვარდა გადია ეკაია. მწერლის თქმით, „ყველაფერი, რაც მე დავწერე „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში" და „მთვარის მოტაცებაში" მთვარის მოქცევისა და პაგანისტური*, წარმართული ამბების გამო, ეს ყოველივე ეკაიას შთაგონებით მაქვს აღებული. მისგან მაქვს განაგონი უამრავი კოლხური ლეგენდა, ზღაპარი, შეგონება."

გადიას გარდაცვალებას კი ასე აგვიწერს დიდი კონსტანტინე:

„ატირებული შევვარდი სამზადში, მუხლი მოვიყარე ჩემი გამზრდელის ცხედრის წინაშე, ვკოცნიდი მის ჩაცვენილ თვალებსა და დამჭკნარ ლოყებს."

## ანბანით ხელში

ანბანი პატარა კონსტანტინემ სოფლის სამრევლო სკოლაში ისწავლა.

„ანბანი გვასწავლა დიაკონმა ევგენი ქოიავამ; იგი ლამაზი, ჩოხიანი ვაჟკაცი იყო და მაყარს უფრო ჰგავდა, ვიდრე მასწავლებელს. დიაკონმა შემაყვარა ბიბლია, სახარება," - იხსენებს მწერალი.

შემდგომ სვიმონმა ძმები - კონსტანტინე და მასზე 3 წლით უფროსი ვანო, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მიერ 1884 წელს დაარსებულ ძველი სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებელში მიაბარა.

ქართულს აქ ასწავლიდა ცნობილი ისტორიკოსის - ნიკო ჯანაშიას პაპა, ნიკო ჯანაშია.

სასწავლებელში გამსახურდიები დირექტორს, შესანიშნავ პედაგოგს - არსენ წითლიძეს შვილივით მიუღია. მაგრამ ძმები დააბინავეს თურმე ადგილობრივ ყასაბთან - ლოთ ნიკოლასთან. სახლის მეპატრონე უდიერად ექცეოდა ბიჭებს. აშიმშილებდა, აკისრებდა მოჯამაგირეობას, რასაც ვერ გაუძლეს უზრუნველად გაზრდილმა ყმაწვილებმა და შინ გაიპარნენ.

მამამ შვილები სენაკში აღარ დააბრუნა. ვანო ბაქოში გაგზავნა სასწავლებლად, კონსტანტინე კი - ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარა. ეს იყო 1904 წელს.

„ძალიან პატარა ვიყავი, როცა წიგნების კითხვას მივყევი ხელი. „ქართლის ცხოვრების" კითხვის დროს არაერთხელ მიტირნია ვახტანგ გორგასლის, გიორგი I-ის, ბაგრატ IV-ის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, სვიმონ მეფისა და ერეკლე II-ის გამო; თანაც ვიქადნიდი: როცა გავიზრდები, საქართველოს დიდ გალავანს შემოვავლებ-მეთქი."

ეს ციტატაც კონსტანტინე გამსახურდიას მოგონებიდანაა.

## გიმნაზიელი „ცხრამუხლები"

ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლეს, ოჯახიდან მოშორებულს, ენატრებოდა სახლი, ახლობლები, მაგრამ იმთავითვე შეიმეცნა განათლების ფასი.

მაშინდელი ქართული ინტელიგენციის უდიდესმა ნაწილმა სწორედ ეს სასწავლებელი დაამთავრა. ყმაწვილი კონსტანტინეც დიდ ერუდიციას, ღრმა განსწავლულობას ქუთაისის გიმნაზიაში იძენს. იმდენად სრულყოფილად დაეუფლა რუსულ, ლათინურ და გერმანულ ენებს, რომ გერმანულიდან „ზარატუსტრას" თარგმნაც დაუწყია. მომავალ მწერალს იმჟამად არსებულ ქუთაისის ერთადერთ ბიბლიოთეკაში გადაუკითხავს მსოფლიო ლიტერატურის შედევრები.

მოწაფეობის წლებიდანვე ლიდერობს მეგობრებში და ამისათვის აქვს ყველა მონაცემი – ჭკუა-გონება, განათლება, სიბეჯითე, კეთილაღნაგობა, უღალატობა, გამბედაობა, რაინდობა.


მამა -
სვიმონ გამსახურდია

ერთხელ ეჭვიანობის ნიადაგზე თანაკლასელმა კონსტანტინეს თურმე ბებუთი დაარტყა. ამასობაში ზარი დაირეკა, დირექტორი შემოვიდა და სისხლის კვალი რომ დაინახა, მერხზე მდუმარედ მჯდარ კონსტანტინეს მიუახლოვდა. შეკითხვაზე, ვინ გაგიმეტა, შვილოო, ფეხზე ამდგარმა უპასუხა, არ ვიციო და იქვე უგონოდ დაეცა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ დიდმა კონსტანტინემ ეპოპეა „დავით აღმაშენებლის" მთავარი გმირი ფრესკიდან გაიცნო. პორტრეტიდან გაიცნო ილია ჭავჭავაძეც და ოცნებობდა მასთან შეხვედრაზე.

14 წლის იყო, მისი მკვლელობა რომ შეიტყო; იმდენად მტკივნეულად განიცადა ეს ტრაგედია, რომ საკუთარ თავს ფიცი მისცა, მთელი სიცოცხლე ემხილებინა ილიას მკვლელები.

ეს ბრძოლა კი იმით დაიწყო, რომ გიმნაზიის მოსწავლემ მეგობრებთან

* - პაგანიზმი - წარმართობა, კერპთაყვანისმცემლობა.


კონსტანტინე გამსახურდია ევროპაში

ერთად ჩამოაყალიბა პატრიოტული ორგანიზაცია „ცხრა მუხა“ (9 მეგობრისგან შემდგარი გაერთიანება).

„ერთხელ იოსებ ოცხელმა შეგვისწრო „ცხრამუხელებს“ ქუთაისის ბინაში, - იგონებს ბატონი კონსტანტინე, - მხარბეჭიანი ჩვენი ამხანაგი ჯიქია ჩვენს წინაშე ფიცს რომ დებდა:

- თქვენ იყუჩეთ, ბიჭებო, მე ჩავალ თბილისს, ერთ-ერთი ბიჭიც თან გამაყოლეთ და ჩემი რევოლვერით კატის კნუტებივით გავჟუჟავ ილიას მკვლელებს.

იოსებ ოცხელმა, ამ დარბაისელმა მესხმა და დიდმა პატრიოტმა, ენერგიულად რომ დაგვაშოშმინა ახალგაზრდები, რევოლვერი ჩამოართვა ჯიქიას:

- რას ამბობთ, ყმაწვილებო, ილიას მკვლელები ტყვიით რომ მოჰკლათ, აქედან რა გამოვა; ეს გარეწრები სულიერად უნდა მოვკლათ.“

იმ დღეებში მოხდა კიდევ ერთი შემზარავი ფაქტიც: შავრაზმელმა კუსტინოვიჩმა ქართულს „ძაღლის ენა“ უწოდა.

რევოლვერებითა და ხელკეტებით შეიარაღებულან „ცხრამუხელები“, სადგურზე დახვედრიან ცოლშვილიანად სააგარაკოდ მიმავალ კუსტინოვიჩს და მაგრადაც უცემიათ. უფრო მეტიც: რომანოვების დინასტიის 300 წლის იუბილეზე „ცხრამუხელები“ პროტესტის ნიშნად შეჭრილან გიმნაზიის სააქტო დარბაზში და კედლებიდან რუსეთის მეფეთა პორტრეტები ჩამოუფხრიწავთ.

„ცხრამუხელები“ ჟანდარმერიამ, რა თქმა უნდა, დააპატიმრა; მათ შორის კონსტანტინე გამსახურდიაც. „ჩემთვის ეს პირველი პატიმრობა იყო; ბედნიერი გრძნობისგან შეპყრობილი ვიმეორებდი ბრწყინვალე სიტყვებს: „ნეტარ იყვნენ თქვენ, რამეთუ გდევნონ ჩემი სახელით“.*

## 50 წლის შემდეგ


„გორგასლიანის“ წევრები (მარცხნიდან): ზვიად გამსახურდია, ვოვა სიხარულიძე, გურამ დოჩანაშვილი

თავს ნება მივეცით, დროში პარალელით სათქმელიდან ოდნავ გადაგვეხვია.

გავა 50 წელი და კონსტანტინეს შვილი, მეათეკლასელი ზვიად გამსახურდია, მომავალში საქართველოს პირველი პრეზიდენტი, თანაჯგუფელთან მერაბ კოსტავასთან, მეგობრებთან (გურამ დოჩანაშვილი, ვოვა სიხარულიძე, თეიმურაზ მეტრეველი, ანატოლი მიქაძე, თეიმურაზ ცერცვაძე...) ერთად აარსებენ არალეგალურ, ანტისაბჭოთა გაერთიანებას - „გორგასლიანი“.

1956 წლის 2 დეკემბერს, თბილისში ბიჭებმა გააკრეს ანტისაბჭოთა პროკლამაციები, რითაც ერს ბრძოლისკენ, გამოფხიზლებისკენ მოუწოდეს:

„სხვა არავინაა ჩვენი მშველელი, ჩვენი საკუთარი თავის გარდა. ბრძოლით უნდა მივაღწიოთ თავისუფლებას! გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!“

„ცხრამუხელების“, იმ პირტიტველა ბიჭების დარად, საფიჩხიის ეკლესიაში ერთმანეთს რომ შეჰფიცეს, უშიშროებამ „გორგასლიანის“ წევრებიც დააკავა, მაგრამ მათი არასრულწლოვნების გამო თითოეულს პირობითი მსჯავრი შეეფარდა.

## „მე არ შემიძლია შენგან ნახევრობა“

მათი სიყვარული ქუთაისიდან დაიწყო. აბაშელი ბიჭი გიმნაზიაში სწავლობდა. ჭიათურელი ყმაწვილი გოგონა რებეკა კი – ეპარქიულ სასწავლებელში.

კონსტანტინე გამსახურდია იგონებს:

„ერთხელ ვალტერ სკოტის „აივენჰო“ გვქონდა გაკვეთილად. ამ რომანის გმირს ჰქვია რებეკა. როდესაც გაკვეთილის მოყოლისას რებეკაზე დავიწყე საუბარი, გავწითლდი. ბიჭებმა იცოდნენ ჩემი სიყვარულის ამბავი და ფხუკუნი დაიწყეს. „*Что с вами?*“ - მკითხა გაკვირვებულმა მასწავლებელმა.“

რებეკა და კონსტანტინე თანატოლები იყვნენ, მაგრამ მაშინ ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები ცალ-ცალკე იყო. ერთ ქალაქში იყვნენ და ერთმანეთს ბარათებით ესაუბრებოდნენ.

ჩვევა, თუ ვერ ნახავდა, წერილით გასაუბრებოდა სატრფოს, უცხოეთშიც გაჰყვა კონსტანინეს.

„მოუდინებოდა ბარათები პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, კენიგსბერგიდან, ლაიფციგიდან, ბერლინიდან, ბაქოდან, ტუაფსედან, ჟენევიდან, მატარებლიდან, სადგურიდან, ტყვეთა ბანაკიდან; უწოდებდა რების, რევას, რებოს, პენელოპეს, უყვებოდა ყველა წვრილმანს“.**

აი, ფრაგმენტები კონსტანტინე გამსახურდიას წერილებიდან:

„რას შვება ჩვენი ქუთაისი? დიდებულია იქ, სადაც მე და შენ ერთიმეორე ვნახეთ – გენერლის ქუჩა,



* - ფრაგმენტი ავტობიოგრაფიული მოთხრობიდან „ლანდებთან ლაციცი“.
** - „პირადი წერილები“ - თიურა ვაშაძე-ბიბილური.

კელენჯერიძის სახლში, გორა, კოზაკოვას ქუჩა. ესენი სულ მექა და მედინაა ჩვენი სიყვარულისა.“

„მე რომ შენ არ მიყვარდე, დედა, ღმერთო, რა უდაბნოდ მომეჩვენებოდა საწუთრო.“

„შენ იყავ ტირანი, მე შენი მონა – რა მენაღვლება, ოღონდ კი გიყვარდე.“

„ან მე დამკარგე და ყველას დაუბრუნდი, ან მარჩიე ყველას. მე არ შემიძლია შენგან ნახევრობა, ყოყმანი. შენ ყველაფერი უნდა მიიტანო ჩვენი უმანკო სიყვარულის სამსხვერპლოზე.“

რებეკა ვაშაძე კონსტანტინე გამსახურდიას პირველი მეუღლე გახდა. წლების შემდეგ მწერალი კონსტანტინე გამსახურდია „მთვარის მოტაცების“ დაწერას იმ დღეს დაიწყებს, როცა რებეკას გარდაცვალებას შეიტყობს. ამ დროს ისინი ერთად უკვე არ ცხოვრობდნენ.


რებეკა ვაშაძე

## დიდებისაკენ - გოლგოთის გზით

1912 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ წარმატებით დაასრულა გიმნაზია და იმავე წელს გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. აქ იგი დაბინავდა თურმე თავის თანატოლთან, აკაკი შანიძესთან,* ვისთანაც სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა.

„მე დავიბადე მსოფლიოს უძლიერესი და უმოკლესი მდინარის პირას. მას ჰქვია ზანა. მე მომიხდა რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლა: ლენინგრადში, კენიგსბერგში, ლაიფციგში, მიუნხენში, პარიზში, ბოლოს – ბერლინში; ყველგან და ყოველთვის მე მიხდებოდა მეგობრობა გერმანელებთან, ებრაელებთან, პოლონელებთან, ამერიკელებთან და ფრანგებთან. არავის ვუმხელდი, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნებოდი: შენ, ჰეი, მსოფლიოს უმცირესი მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა“, - ასე განაცხადა მწერალმა თავისი 70 წლის იუბილეზე.

ევროპაში ჩასვლისთანავე სტუდენტი გამსახურდია აქტიურად ჩაება იქ ჩამოყალიბებული „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მუშაობაში.

1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბერლინის საელჩოს უხელფასო ატაშეა. ესეც ცნობილი ფაქტია: ჰამბურგში, I მსოფლიო ომში 3500-მდე ტყვედყოფილი ქართველი შეკრიბა და სამშობლოში წამოიყვანა, თავის მიერვე დაქირავებული ხომალდით „ქრისტიანი“.

ეს იყო 1921 წელს, როცა მწერლის სამშობლოს ყველაზე მეტად უჭირდა.

წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ლენინს მისწერა საპროტესტო წერილი; ორჯონიკიძეს კი შეუთვალა: სერგო, მეშინია ჩემი ხალხის მოსპობის, თორემ შენ და შენს რუს წითელარმიელებს როსტოვის იქით გაგყრიდითო.

განვლო ურთულესი და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება: ევროპის საკონცენტრაციო ბანაკში ტყვეობა, არაერთგზის დაპატიმრება, რუსეთში, „ბუტირსკის“ ციხეში სიკვდილმისჯილთა საკანში ყოფნა, მწერალთა კავშირიდან გარიცხვა, მისი ტომეულების გამოცემათა აკრძალვა („დავით აღმაშენებლის“ ერთი ტომი საერთოდ დაწვეს), ანტისაბჭოთა და რეაქციონერი მწერლის სახელის „მოხვეჭა“... იცვამდა ჩოხას და ამკვიდრებდა ევროპულ ესთეტიკას, ჩაჰკირკიტებდა გერმანელ ფილოსოფოსებსა და ხევსურეთში შემორჩენილ სიტყვებს აგროვებდა.

და მაინც: ულმერთოდ აკრიტიკებდნენ, უქმნიდნენ აუტანელ პირობებს, ასახლებდნენ სამშობლოდან, თუმცა გაუძლო ყველას და ყველაფერს; იცოცხლა 82 წელიწადი.

„კრიტიკას რომ კაცი მოეკლას, მე დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი ვერის სასაფლაოზე“, - დაწერს გამსახურდია. ცნობილი კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე კონსტანტინე გამსახურდიას ამსგავსებს იმ ადამიანს, რომელსაც შინ პური მიაქვს და უკან ქოფაკი მისდევს. ამიტომაც იძულებულია, დროდადრო ნაგაზს პურის ნატეხი გადაუგდოს. ასე უყრიდა საბჭოთა ხელისუფლებას „ბელადს“, „ვაზის ყვავილობას“, ნარკვევებს, რომ დაწერილიყო „დიონისეს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“.

ჩოხაში გამოწყობილი მუდამ წელგამართული, ამაყი მზერითა და ღირსებით სავსე დააბიჯებდა რუსთაველზე, ყოფილი გოლოვინის გამზირზე, რომელსაც რუსთაველის სახელი 1918 წელს მისი ინიციატივით დაერქვა.

დაბადების 80 წლისთავზე უთქვამს: „არც დიდხანს სიცოცხლე ვარგებულა, მაგრამ სიბერესა და სიკვდილს შენს ქვეყანაში უნდა დაუხვდე კაცი.“

უკანასკნელ განსასვენებლადაც გამორჩეული ადგილი მოუნახეს და ვერავინ დაუდგა წინ მწერლის ანდერძს, დაკრძალულიყო საკუთარი სახლის, „კოლხური კოშკის“ ეზოში. ეს იყო 1975 წელს.

„გოლგოთას მაყურებელი მრავალი ჰყავს, მაგრამ მასზე ამსვლელი ძლიერ ცოტაა. მოხალისეები მას არ აკლია, მაგრამ, თქვენც იცით, მოხალისეებს არასოდეს მოუგიათ ომი“.

ომში ჩაბმით მოგებული ომების რაინდად დარჩა ბატონი კონსტანტინე.


კოლხური კოშკი

* - აკადემიკოსი, უდიდესი ენათმეცნიერი.

## განწმენდილი აკაკი



სისხამ დილით ქუთაისში, სასტუმრო „გრანდ-ოტელთან“ აკაკი წერეთელს შეხვდა მისი ძმისშვილი - ვარინკა წერეთელი.

- სად ბრძანდებოდით, ბატონო აკაკი, ასე დილაადრიან? - შეეკითხა ბიძას ვარინკა.

- ჩემო ვარინკა! - ღიმილით უპასუხა აკაკიმ, - მთელი ჩემი სიცოცხლე სულიერ სიწმინდეზე ვზრუნავდი და, მგონი, ხორციელადაც სრულიად განწმენდილი გახლავარ: წუხელ, მთელ ღამეს ბანქოს ვთამაშობდი და, რაც ფული მებადა, მთლად წავაგე. ასე რომ, ალალი ვარ საკუთარ თავთანაც, სინდისთანაც.



## ქურდი და ბალზაკი

გამოჩენილი ფრანგი მწერალი - ონორე დე ბალზაკი ხელმოკლედ ცხოვრობდა. ერთ ღამეს ბინაში ქურდი შეიპარა. სიბნელეში საწერ მაგიდასაც მიაგნო და ფულს დაუწყო ძებნა.

ბალზაკი, რომელიც ოთახში დახვდა, მოულოდნელად ახარხარდა. სანთელიც აანთო და ხმაურისგან დაფეთებულ ქურდს მიაძახა:

- არ გაგიკვირდეთ, გეთაყვა, ჩემი თავშეუკავებლობა. თქვენ სიბნელეში ცდილობთ ჩემს ოთახში მიაგნოთ იმას, რასაც მე დღის შუქზეც ვერ ვპოულობ!

## ენაკვიმატი თომას მორი

XV ს.-ში ინგლისის მეფემ - ჰენრიჰ VIII-ემ უბრძანა თავის ერთ-ერთ მინისტრს, თომას მორს, ცნობილი წიგნის - „უტოპიის“ ავტორს, წასულიყო პარიზში და საფრანგეთის მეფისთვის წარედგინა შესაბამისი ნოტა.

- თქვენო უდიდებულესობავ, - უთხრა მორმა, - თქვენ ხომ იცით, როგორი ფიცხია საფრანგეთის მეფე: ის მაშინვე თავს წამაცლის!

- ნუ გეშინია, ჩემო კარგო! თუ ის ამას ჩაიდენს, მე ვბრძანებ, თავები მოჰკვეთონ ინგლისში მცხოვრებ ყველა ფრანგს!

- ძალიან კეთილი ბრძანდებით, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ, ვშიშობ, რომ არც ერთი ფრანგის თავი არ მოერგება ჩემს მხრებს, - არ დაიბნა ენაკვიმატი თომას მორი.



# საძიებელი


ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
ესმა მანია -
აფხაზეთის გავლით ... 3

პროზა
ოტია იოსელიანი -
მეწინავე ... 4

ქვათა ღაღადი
ჭუბურხინჯის ეკლესია ... 8

ზღვისპირა იალქანი ... 9

ეთნოკულტურა
ბარონ დე ბაი -
მინიატურები ... 10

ბჭეთა მცველნი
ჯემალ გამახარია -
საქართველოს პირველი წამებული მეფე ... 12

პოეტის ერთი ლექსი
იოსებ ნონეშვილი -
ინდიელი გოგონას ლოცვა, პერუში გაგონილი ... 15

ბონდის ხიდზე
შალვა კიკალიშვილი -
სტერეოტიპებში დამალული ქუვეითი ... 16

ო, ენავ ჩემო
ორბელიანთა ოჯახი
იგავი - მღმერთობელი მეფე და მისი ვაზირი ... 20

კირიე ელეისონ
არქიმანდრიტი სერაფიმე (ჭელია) -
რაც ვერ შევძელით ... 22

პოეზია
ელა გოჩიაშვილი ... 25

მინიატურული პროზა
ნუნუ ჯანელიძე -
ბატონი ხმა ... 26

13 თვე და 13 დღე
ნანა ჭანტურია -
სიმაღლე, ჭუბერზე მეტი ... 28

წერილი მეგობარს
სერგეი ესენინი ... 32

შეხვედრა მომავალ წიგნთან
გურამ პეტრიაშვილი -
...და წავედით ... 34

უბის წიგნაკში ჩაწერილი ლექსები
თეა ხუციშვილი ... 37

თარგმანი
ლევ ტოლსტოის თქმულება -
ინდიელი და ინგლისელი ... 38

დაბრუნებამდე სათქმელი
იოსებ არჩვაძე -
რითაც საზღვრებს დაიცავ ... 40

დაეხმარე სალამურას ... 42

ერთხელ ... 43

"არდავიწყება მოყვრისა"
მარინე ჯაიანი -
უდანაშაულო დამნაშავე ... 44

ნომრის სტუმარი
ნუნუ ჯანელიძე -
ლამარა ასიეშვილი ... 48

ირმის ნახტომი ... 51

დაფიონი
თამარ ჯანელიძე - თიბათვეს ყველა მოიცელება ... 52
ცოტნე გუჩუა - სულის გაზაფხული ... 53

გენიოსები ბავშვობაში
კონსტანტინე გამსახურდია ... 54

რჩეულნი ხუმრობენ ... 58


„სალამურას" პასუხები:

1 - გ, 2 - ბ, 3 - გ, 4 - ა, 5 - ა, 6 - ა, 7 - ბ, 8 - ბ, 9 - ბ, 10 - გ.


**ჩვენი მისამართია:**
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.
ტელ.: (+995) 598 93 92 84;
(+995) 599 12 66 80;
ელ-ფოსტა: jurnali.ialqani@gmail.com



იალქანი № 2 (34). 2016 წ.
აფქიო № 2 (7). 2016 წ.

ტირაჟი: 500 ც.
ფასი სახელშეკრულებო.

ჟურნალი გამოდის აფხაზეთის ა. რ. მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერით



მარიამ ხინტკირია. 16 წლის. თბილისი.